კვარციანი პორფირიტები აქ მორიგეობენ (ვიმეორებ, გაურკვეველი ურთიერთობით) შედარებით ღია ფერის პირიტთან და ხშირად კვარციან ტუფ-ბრექჩიებთან, ლავურ ბრექჩიებთან და ლაბრადორიან-ქლორიტიან (ზოგჯერ ამფიბოლიანი, არის ავგიტიანიც) ატაქსიტურ და მანდელშტეინურ პორფირიტებთან. მათ შორის მონაწილეობს დიაბაზური პორფირიტიც, გამკვეთი ძარღვი უნდა იყოს. საგულისხმოა, რომ ღელის ამ ნაწილის ქანებს საერთოდ კვარცი ახასიათებს: ლავური ბრექჩიები და ტუფური აგებულების ქანები, რომელთა ბუნება ხშირად კარგად არც კი ირკვევა, აქ აშკარად პირველადი წარმოშობის კვარცის შედარებით მეტი რაოდენობით ხასიათდებიან.

ფაქტიური მდგომარეობის განმეორებითი ანალიზის შემდეგ ამჟამად მე ამ ქანებს მთლიანად ბაიოსური ვულკანიზმის პროდუქტად ვთვლი. ეფუზიური აქტივობის ეს მომენტი შედარებით გვიანია; ის, ალბათ, სულ ბოლო დროს ეკუთვნის.

მოსაზრებას კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ წიფის ინტრუზივის ასაკი ბაიოსურის ბოლო დროით უნდა ისაზღვრებოდეს. ეს ინტრუზივი კიდევ კვარციან პორფირიტზე ზოგჯერ გარკვეულ კონტაქტურ ზეგავლენას ახდენს (ნიმ. № 184/34).

გოლათუბნის ღელის ზემო ნაწილის ქანების ხასიათი ქვედასაგან განსხვავებულია და ბლიხევის შუა და ზემო ნაწილის ანალოგიური ჩანს.

ღელის აღმოსავლეთით ფონამდე და შემდეგ ნიკორაგულ-საბუათის ზოლშიაც დაცულია ის საერთო სურათი, რომელიც ზემოაღწერილ ხეობებშია მოცემული.

ნეონიტრუზივს აქ, ისე როგორც გოლათუბნის ღელის აუზში, ყველგან მიუყვება კონტაქტური ზეგავლენით გარაგავიკებული ქანების ზოლი. მათ შორის არის უდავო ტიპური კვარციანი პორფირიტიც, ისე რომ ეს უკანასკნელი გარკვეულად წიფის ინტრუზივის წინამორბედ ქანს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ თითქმის არსად არ ვხვდებით გოლათუბნის ღელეში და მის აღმოსავლეთით ისეთ ალბიტიზებულ პლაგიოკლაზიან, სახეშეცვლილ კარბონატიზებულ ქანებს (ლავას თუ ტუფს, სულ ერთია), როგორც მოლითის მდამოებში გვაქვს.

პორფირიტული წყება ძირულის ხეობის შუა ნაწილში. ძირულა-ჩხერიმელის წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთისაკენ მიმართულ ფერდზე პორფირიტული წყება უწყვეტი ზოლის სახით მხოლოდ ჩრდილო ფერდს და მდ. ბჟინეურის აღმოსავლეთ ტოტებს გაუყვება. წყების ეს გაგრძელება ტექტონიკურად ანტიკლინური ამაღლების ჩრდილო ფრთას წარმოადგენს, რომელიც ჯგოლის ღელის პარალელზე გაწყვეტილია და მეორე ტექტონიკურ ზოლში გადადის. ეს უკანასკნელი ბჟინე-ხუნევის სინკლინურ დებრესიას წარმოადგენს. გაწყვეტა ხასიათდება დებრესიის სამხრეთი ფრთის ამოწვეით და შეცოცებით ფრთის მოწყვეტილ სამხრეთ გაგრძელებაზე.

ანტიკლინური ამაღლების ჩრდილო ფრთის ლითოლოგია ისეთივე ბუნებით ხასიათდება, როგორც ჩხერიმელისაკენ მოქცეული ფერდის: ჩრდილო ფერდზეც გვაქვს მკვრივი, ნეონიტრუზივის გავლენით მეტ-ნაკლებად გაკვარცხებული, ლაბრადორიანი პორფირიტები და მათთან დაკავშირებული ლავური ბრექჩიები, აქა-იქ მასივი მიკროტუფბრექჩიებით თუ კრისტალური ტუფებით, დასავლეთისაკენ კიდევ ტუფური და ტუფოვანი კომპონენტების როლის თანდათან გაზრდით.

ძირულის სინკლინური დებრესიაც (ლიჩი—ხუნევი—ბჟინევი) სრულიად ისეთივე ტიპებით და მასივობით ხასიათდება, როგორც ჩხერიმელის ხეობის წყება, მხოლოდ აქ აღსანიშნავია მკაფიო ფაციესური ცვლილებები აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ,— მდ. რიკოთულის და ძირულის შეერთების შემდეგ სწრაფად იზრდება ტუფური ქანების როლი.



ნადაბურ-ლიჩის ნაწილში შრებრივობის სრული უქონლობა და მასთან ზშირი დიზიუნქტური წყვეტები შეუძლებელს ხდიან ქანების სტრატოგრაფიულ მიმდევრობაზე რაიმე მსჯელობას. თუმცა პეტროგრაფიული ტიპების ერთფე-როვნება არც მოითხოვს ყურადღების გამახვილებას ამ მომენტზე, — როგორც ლავები, ისე ბრეჭჩიები, ფუძეპლაგიოკლაზიანი ავგიტიანი ან ავგიტ-რქატყუა-რიანი სახეობებით არიან წარმოდგენილი. ფერადი კომპონენტი აქაც ძალიან ხშირად მთლიანად ქლორიტით და მისი თანამგზავრი სხვა მეორადი მინერა-ლებით არის ჩანაცვლებული. მკვლევარები [10] ამ უბანში რიბაზურ პორ-ფირიტებსაც აღწერენ. გვხვდება, როგორც ჩანს, ძარღვის სახით კვარციანი პორფირიტიც.

ბჟინეურის აუზში შესამჩნევი ხდება ერთი გარემოება: ისე რო-გორც ჩხერიმელის ხეობაში, ძლიერ სახეშეცვლილი ქანები, ალბიტჩებული პლაგიოკლაზით, აქაც თითქოს ქვედა ნაწილში — ლიასის მახლობლად არიან ძირითადად ლოკალიზებული. თუმცა აქ ამგვარი ქანები მეტწილად ტუფებით და ტუფ-პორფირიტებით არიან წარმოდგენილი, მაგრამ მათ შორის ვხვდებით მაინც ცხად პორფირიტებსაც. ბისილიკატი მათში ჩვეულებრივ მთლიანად გაქლორიტებულია; ზოგჯერ შესაძლებელი ხდება ამფიბოლის ფორმების გარ-ჩევა, უფრო იშვიათად კიდევ — რელიქტებისაც.

ბიჯნის — ჩორჩანის ზოლი. მდ. ორხევის აღმოსავლეთით პორფი-რიტული წყების პეტროგრაფიული ბუნება ჩხერიმელის ანალოგიური ჩანს (ზოგიერთი საკუთარი ნიმუშის შესწავლისა და ლიტერატურული წყაროების მიხედვით). აღსანიშნავია შუალელის ხეობაში მძლავრი ორთოკლაზიანი პორ-ფირის არსებობა, რომელიც აქ ცარცის საზღვართან შიშვლდება. ამ რაიონის დასავლეთი ნაწილიდან აღწერენ აგრეთვე ამფიბოლ-ავგიტიან პორფირიტებს [10]<sup>1</sup>. პეტროგრაფიული ბუნებით ეს ქანები საესებით ანალოგიურია მოლითის რაიონის ქლორიტიზებული ამფიბოლ-ავგიტიანი პორფირიტების. გ. ბარსა-ნოვიც წნელისის მიდამოებიდან აღწერს ავგიტიან და ავგიტ-ამფიბოლიან, მეორადი პროცესებით ძლიერ შეცვლილ, პორფირიტებს. საგულისხმოა მისი დაკვირვება აქაურ ვულკანურ ბრეჭჩიებზე: გარეგნულად თითქოს ტუფ-კონ-გლომერატი, ქანი ნამდვილად არაერთგვაროვანი აგებულების პორფირიტი აღმოჩნდა; მკვრივი, მოიისფრო ავგიტიანი პორფირიტის მომრგვალო უბნები მოქცეულია მურა-მომწვანო შედარებით ფხვიერ, ძლიერ დაშლილ პორფირიტში. ავტორი მას სამართლიანად ტაქსიტურ ლაყას მიაკუთვნებს.

პორფირიტულ წყებას წნელისის მიდამოებში ჰკვეთს მკავე ქანის ძარღვი რომელსაც გ. ბარსანოვი კვარციან კერატოფირად აღწერს. ქანს ის ზედა იურულად სთვლის (ცარცს არ ჰკვეთს).

## II. ქანების აღწერა

შევეცდები ქვემოთ ჩხერიმელა-ძირულის ხეობების პორფირიტული ფორ-მაციის ძირითადი დამახასიათებელი ტიპების გამოყოფას.

<sup>1</sup> შრომაში ქანის ქიმიური ანალიზიც არის მოყვანილი.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ წყების ისედაც რთულ, დეტალებში ზოგჯერ გაურკვეველ ლითოლოგიურ ბუნებას, რაც წარმოშობის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების თავისებურებით უნდა იყოს გამოწვეული, არაჩვეულებრივად ართულებს შემდგომი პოსტულკანური პროცესების მოქმედება. ხშირად ძნელდება ქანის მიკუთვნება ამა თუ იმ გარკვეულ ტიპზე. მეორე მხრივ, მიუხედავად თითქოს (ძირითადი ტიპების თვალსაზრისით) საკმაო ერთფეროვნებისა, თითქმის ყველა ნიმუში, როგორც ახლოც არ უნდა იყოს ის აღებული მეორისაგან, ატარებს ზოგიერთ თავისებურ ნიშნებს, ზოგჯერ საკმაოდ ორიგინალურს. ყველაფერი ეს ძალიან აძნელებს შესწავლილი ქანების სისტემატიზაციას და მათი დახასიათებისას ტიპური ნიმუშების განსაზღვრული რიცხვით დაკმაყოფილებას.

ქანების დაჯგუფების საფუძვლად პლაგიოკლაზის და ფერადი კომპონენტის ბუნებას ვიღებ. პირველი ნიშნის მიხედვით წყების შემადგენელი ტიპური პორფირიტები და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა ვულკანოგენები ყველა ფუძეპლაგიოკლაზიან ტიპს ეკუთვნიან. მხოლოდ შემდეგში პლაგიოკლაზის შეცვლის მიხედვით ამ ძირითად ტიპში ორგვარი წარმომადგენელი შეიძლება გავარჩიოთ:

- 1) ქანები უცვლელი პირველადი ფუძე პლაგიოკლაზით და
- 2) ქანები თითქმის მთლიანად ალბიტოზებული პლაგიოკლაზით.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამგვარი გაყოფა რამდენადმე სტრატეგრაფიულ მდებარეობასაც უნდა ეთანხმებოდეს.

ფერადი შემადგენლის მიხედვით გამოირჩევა ავგიტიანი, ავგიტ-რქატყუარიანი, რქატყუარიანი და სხვა ჯგუფები.

თავის მხრივ სტრუქტურულ-ტექსტურული და ზოგიერთი სხვა დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით ამათში კიდევ სხვადასხვა სახესხვაობები შეიძლება გამოვყოთ.

ცალკე უნდა მოვათავსოთ კვარციანი პორფირიტები, ალბიტოფირები და ზოგიერთი სხვა ქანი, როგორც დამოუკიდებელი და ამავე დროს პეტროგრაფიული ბუნებითაც განსხვავებული ქანები.

## 1. ავგიტიანი პორფირიტები

ა) პირველადი ფუძე პლაგიოკლაზით. ამ ტიპს მიეკუთვნებიან ნიმ. № 43/34 (ბლიხევის წუა ნაწილიდან), № 176/35 (ბლიხევის სათავეებიდან), № 149/34 (სოფ. ფონის მიდამოებიდან), № 168/35, № 169/35, № 90/36 (სხვადასხვა ადგილიდან) და სხვ.

გარგნულად ჩვეულებრივ მუქი რუხი, მკვრივი, საღი ქანებია. ზოგიერთს მომწვანო ელფერი გადაპკრავს (№ 176/35). ზოგ შემთხვევაში ქანი რუხ-მოიისფრო, არათანაბარი შეფერვისაა (№ 169/35), ზოგჯერ კიდევ თავისებური მოწითალო (№ 90/36—ბენიფურის სათავეებიდან), ან მოიისფრო (№ 24/34—ბარნალის დელიდან) ელფერით ხასიათდება.

მიკროსკოპში მუდამ მკაფიო პორფირული სტრუქტურით ხასიათდებიან. ძირითადი მასა მეტწილად ვიტროფირული ან პიალოპილიტური, მეტ-ნაკლებად

(ჩვეულებრივ სუსტად) განმინებული ბაზისით (გაურკვეველი, გრანელიტური მარცვლები). ზოგჯერ ინტერსერტალურია (№ 168/35—ს, ნებოძირის ქედიდან), იშვიათად კიდევ წვრილმარცვალა, თითქმის სრულკრისტალური (№ 93/34); ასეთი ქანები ხშირად ძალიან უახლოვდებიან დიაბაზურ პორფირიტებს. მუდამ ინტენსიურად არის შეცვლილი, პირველ რიგში ძლიერ ქლორიტიზებულია, ხშირად არის აგრეთვე კარბონატიზებული და პელიტიზებული. უხვად შეიცავს მადნის მინერალის პირველად და მეორად მიკროგამონაყოფებს; ამ უკანასკნელთა განსაკუთრებით მდიდარია მოწითალო და მოიისფრო ელფერის ქანები. პლაგიოკლაზის მიკროლითებს ჩვეულებრივ მცირე რაოდენობით შეიცავს, ზოგჯერ—სრულებით არა; ასეთ შემთხვევაში ის წმიდამარცვალა, „ქვიშბერივი“ ხასიათისაა (№ 113/36). ბაზისი თითქმის მუდამ დაშლილია და ჩანაცვლებული ქლორიტის ბადებრივი ხლართით და რკინის ქანვის მიკროლაქებით (ზოგჯერ კარბონატის მეტ-ნაკლები მონაწილეობით). ფერადი კომპონენტის მიკროაგრეგატებით (ქლორიტი, ეპიდოტი, რკინის ქანგი, იშვიათად კარბონატი და სხვ.) არის ჩანაცვლებული; ძალიან იშვიათად თუ ჩანს ავგიტის რელიქტური მარცვალი (№ 168/35). პლაგიოკლაზი შედარებით საღია; ის ხშირად ორი გენერაციისა ჩანს: მცირერიცხოვანი წვრილი მიკროლითების გვერდით უფრო აღრინდელი მიკროჩანაწინწყლებია წარმოდგენილი.

მოცულობით ძირითადი მასა, ფენოკრისტალლებთან შედარებით, მეტწილად დამორჩილებულ მდგომარეობაშია.

ფენოკრისტალები ჩვეულებრივ წარმოდგენილია პლაგიოკლაზით, მეორადი მინერალებით ხშირად მთლიანად ჩანაცვლებული მონოკლინური პიროქსენით და მადნის მინერალებით.

პლაგიოკლაზი ჩვეულებრივ სხვადასხვა ზომისაა, ხშირად გვაქვს თანდათან გადასვლა მიკროჩანაწინწყლებიდან 1—1,5—2 კვ. მმ-ან ლეისტურ აგრეგატებამდე. ხასიათდება საერთოდ საკმაო სისაღით; ზოგჯერ სრულიად სუფთა, უფერო, გამჭვირვალე არის. ჩანარტებით მეტწილად ღარბია, ჩანართის სახით უმთავრესად დაშლილ ძირითად მასას შეიცავს. განიცდის უბნობრივად კარბონატიზაციას და ქლორიტიზაციას ქლორიტის ჭიხებური, ბუჩქბრივი, ზოლებრივი და სხვ. გამონაყოფებით; კალციტი ბუდებრივი, ძარღვებრივი და წინწყლების სახითაა. კარბონატიზაცია სხვა მეორად პროცესებთან შედარებით ზოგ შემთხვევაში სრულიად უმნიშვნელოა (შლ. № 90/36, № 113/36). ზოგიერთ შლიფში პელიტიზაცია და სერიციტის მიკროქერცვლები არის ზოგჯერ შესამჩნევი (№ 24/34, 168/35). იდიომორფულია; გვერდები ზოგჯერ შემღვალ-შელრღნილი. მრჩობლები პოლისინთეზური და მარტივი.

პლაგიოკლაზი თითქმის ყოველ ნიმუშში მეტ-ნაკლებად ზონურია. ემჩნევა ზოგჯერ რიტმულობა (№ 43/34, № 176/35 და სხვ.). ზონების რიცხვი ზოგიერთ შლიფში 12—15-მდე აღწევს. გარე ზონა ჩვეულებრივ შედარებით მკაფია.

გაზომვების მიხედვით (ცხრილი 1) პლაგიოკლაზი ლაბრადორის რიგს იშვიათად თუ სცილდება. მიკროლითები და პატარა ჩანაწინწყლები შედარებით მკაფია. განსხვავება ზოგჯერ საგრძნობ სიდიდეს აღწევს (შლ. № 43/34). შესაძლებელი ხდება ზოგიერთ შლიფში რამდენიმე გენერაციის დადგენა,

მაგალ., შლიფ № 43/34-ში პლაგიოკლაზი სამი გენერაციისა არის: 1) დიდი ფენოკრისტალები, ზონური № 74-დან 57—52-მდე; 2) პატარა ჩანაწინწკლები, აგრეთვე ზონური—№ 57-დან № 40-მდე და 3) მიკროლითები № 40.

ცხრილი 1

პლაგიოკლაზის გაზომვის შედეგები ავგიტიან პორფირიტებში

შლიფის №	მარცვლის ხასიათი	ჩაქრობის მეთოდით			მრჩობლის მეთოდით				
		ჩაქრობის მაქსიმ. <		პლაგიოკლაზის №	მრჩ. ღერძის (B) კოორდინ.			მრჩობლის კანონი	პლაგიოკლაზის №
		სიმ. (010) ⊥ ზონაში	PM-ს ⊥ კვეთში		Ng	Nm	Np		
43/34 <sup>1</sup>	1) დიდი ფენოკრისტალი 2) " " ზონური 3) საშუალო " " 4) პატარა: ა) გარე ზონა ბ) შიგა " 5) პატარა მარცვალი 6) ჩაქრობა Np-სა და მრჩობლის ხაზს შორის Nm-ს ⊥ კრილში = 12°	43,5° <sup>1</sup>    31°	  36,5°  22° 30°	74 70  40 57 57	40° 60° 67°		ალბიტური	74	
176/35	1) ფენოკრისტალი შლიფის ერთი ნაწილიდან <sup>2</sup>			52	71,5°	36°	60°	რთული ⊥ [001] (010)	64
168/35	2) ფენოკრისტალი შლიფის მეორე, განსხვავებული ნაწილიდან ზონური ფენოკრისტალის ფუძე ნაწილი	40°		70	62°	54,5°	47,5°	კარლსბ.	50
169/35	ფენოკრისტალი		37°	70					
113/36		31°		57					
149/34	1) ფენოკრისტალი 2) " " ზონური 3) ა) გარე ზონა ბ) შიგა "		36°, 38°	68—72	26°	67,5°	77°	ალბიტ.	52
24/34 <sup>4</sup>	1) მოზრდილი ფენოკრისტ. 2) საშუალო " 3) პატარა 4) მოზრდილი ფენოკრისტალი	37°	37,5°	71 66 60					
304/34	1) ფენოკრისტალი 2) "		12°	28°	44 68	60 27	60 75	ალბიტ. ⊥ [001] (010)	88 88

<sup>1</sup> შიგა ზონისთვის.

<sup>2</sup> მიკროლითების ჩაქრობის მაქსიმალური <PM ზონაში = 10°—11°, —პლაგ. №—39—40

<sup>3</sup> 2V = +79° (ერთი გამოსავლით).

<sup>4</sup> მიკროლითების მაქსიმ. ჩაქრობა PM ზონაში = 28°, პლაგ. № 55.

<sup>5</sup> მარცვალი, როგორც ჩანს, დეანორტიტიზებულია.

ზოგიერთ შლიფში (№ 24/34) პლაგიოკლას ალბიტოზაცია ემჩნევა: ლაბრადორის რიგის აგრეგატებში გამოირჩევა შედარებით დაბალი სხივტეხის ძარღვებრივი და ლინზებრივი უბნები; არის მთლიანად დიანორტიტიზებული მარცვლებიც (ცხრ. 1).

პიროქსენი ჩვეულებრივ ინტენსიურად არის დაშლილი, უმთავრესად ქლორიტშია გადასული. ხშირად ქლორიტთან ერთად მეტ-ნაკლები რაოდენობით არის კარბონატი და ეპიდოტი. ზოგჯერ (შლ. 24/34) ჩანაცვლებებს ჰემატიტის სქელი ოპაციტური ქერქი აქვთ განვითარებული. მასთან ზოგიერთი მარცვალი მთლიანად მარტო მაგნეტიტით არის ჩანაცვლებული, ზოგი კიდევ—რკინის ჟანგით გამოუქებული კარბონატი. ფერადი კომპონენტის პირველადი ბუნება მტკიცდება ფსევდომორფოზებში აქა-იქ (თითქმის ყოველ შლიფში) ავგიტის მცირე რელიქტების, ზოგჯერ კიდევ (შლ. 93/34, 113/36, 176/36) მთლიანი სალი, უფერო მარცვლების არსებობით; იშვიათად კი მასზე მსჯელობა მხოლოდ ფსევდომორფოზების დამახასიათებელი კვთების მიხედვით თუ ხერხდება (შლ. 24/34 და 90/36).

კონსტანტების მიხედვით (ცხრ. 2) მონოკლინური პიროქსენი დიოპსიდთან ახლო მდგომ ავგიტს მიეკუთვნება.

ცხრილი 2

შლიფის №	Ng—Np	Ng—Nm	Nm—Np	CNg	2v	შენიშვნა
93/34	0,025	0,019		42°	+48° (ერთი გამოსავლით)	შლიფის სისქე ნაპრალით.
149/34	0,026		0,006	40°—42°	+53°	ორი გამოსავლით. შლიფის სისქე კვარცით

ზოგიერთ შლიფში ავგიტთან ერთად არის დამორჩილებულ როლში ამფიბოლიც (შლ. 93/34, 24/34). ისიც აგრეთვე დაშლილია. მისი არსებობა ზოგჯერ ფსევდომორფოზების 6-კუთხიანი კვეთით მედავნიდება (შლ. 24/34), ზოგჯერ კი ის რელიქტური უბნების და ქერქის სახით არის წარმოდგენილი ქლორიტიზებულ მარცვლებში (შლ. 93/34). დაშლის პროდუქტებს შეადგენენ: ქლორიტი, კარბონატი, რკინის ჟანგი და აქა-იქ წვრილაგრეგატული ქალცელონი. ამფიბოლს ზოგჯერ პიროქსენის ხარჯზე წარმოშობა ემჩნევა (შლ. 149/34).

მადნეული მინერალის ფენოკრისტული იდიომორფული გამოწყობები მეტწილად მაგნეტიტს მიეკუთვნება. ემჩნევა ზოგიერთ შლიფში ჰიდროქსენში გადასვლა. ქანი ზოგჯერ შეიცავს აგრეთვე დაკბილულ, ჩონჩხებრივ ილმენიტს და პირიტის (ხშირად ლიმონიტიზებული) საშუალო და პატარა იდიომორფულ კრისტალებს. ჩანს ზოგჯერ პირიტის წარმოშობა მაგნეტიტის ხარჯზე (პირიტიზებული მარცვლები მაგნეტიტის რელიქტებით); განსაკუთრებით ძლიერია ეს მოვლენა ნეოინტრუზივის მეზობლად კონტაქტური ზეგავლენით გარაგავიკებულ ქანებში (შლ. 176/35).

ჩანართების სახით ბისილიკატებში და მეორადი მინერალების ფსევდომორფოზებში, ზოგჯერ დამოუკიდებლადაც, არის აპატიტის იდიომორფული პატარა პრიზმული კრისტალები.

მეორადი მინერალებიდან მთავარი როლი მუდამ ქლორიტს ეკუთვნის; შემდეგ მეტ-ნაკლები რაოდენობით წარმოდგენილია კარბონატი, ეპიდოტი, რკინის ქანგები. პელიტური ნივთიერება და კვარცი; ზოგჯერ, უმნიშვნელო რაოდენობით, სერიციტის მიკროქერცლებიც არის შესამჩნევი.

ქლორიტული ნივთიერება მრავალნაირ ფორმაშია წარმოდგენილი: უსტრუქტურო ხლართის, დატოტვილ-ბუჩქებრივი და უფორმო გამონაყოფებიდან (მეტწილად ბაზისის ხარჯზე) სხვადასხვა სიდიდის მეტ-ნაკლებად წესიერ ფირფიტებრივ აგრეგატებამდე. ბისილიკატის მიმართ მკაფიო ფსევდომორფოზებში ის მეტწილად ასოცირებულია სხვა მეორადი მინერალებით. ლეისტურ ფორმებში ზოგჯერ დამოუკიდებლადაც, სუფთა სახით არის წარმოდგენილი. ფირფიტების ნაწილი პლაგიოკლასის ჩანაცვლების შედეგი უნდა იყოს. ქლორიტი მეტწილად ღიაფვანე ფერისაა, მეტ-ნაკლებად პლექროული. ხშირად მელნისებრ-ლურჯი ანომალური ინტერფერენციული ფერები აქვს, თითქმის იზოტროპულია; ზოგჯერ კი შედარებით მაღალი (ყვითელ-ნარინჯისფერი) ინტერფერენციული ფერით და ბოჭკოვანი აგებულებით ხასიათდება (შლ. 43/34). პენინს და დელესიტს უნდა მიეკუთვნებოდეს.

კარბონატი ჩვეულებრივ წარმოდგენილია როგორც ქლორიტის თანამგზავრი წვრილაგრეგატული მეორადი მინერალი, იშვიათად დამოუკიდებელი გაურკვეველი ფსევდომორფოზების სახითაც არის (შლ. 25/34). ხშირად მღვრიე-ბინდიანია, „გაჭუჭყიანებული“ ჩანს დისპერსული რკინის ქანგით ან პელიტური ნივთიერებით. ზოგ შემთხვევაში მას მნიშვნელოვანი როლი უჭირავს, ზოგჯერ კი—სრულიად უმნიშვნელო, თითქმის სრულებით არ ჩანს (შლ. 90/36).

ეპიდოტის გამოვლინების ხასიათი და როლი დაახლოებით ისეთივეა, როგორც კარბონატის, მხოლოდ ერთსა და იმავე შლიფში ისინი თანაბარი რაოდენობით არასოდეს არ გვხვდებიან: კარბონატით მდიდარ ნიმუშში ეპიდოტი უმნიშვნელოდ, ან სრულებით არ არის წარმოდგენილი და პირიქით (შლ. 168/35, 24/34 და სხვ.). სხვადასხვა ფორმებშია. ჩვეულებრივ მურა-მოყვითალო, ან მოყვითალო არათანაბარი შეფერვისაა; „გაჭუჭყიანებულია“ ხშირად მადნეული ნივთიერების მტერისებური მინარევებით. ზოგ შლიფში (№ 169/35) რადიუსურ-სხივური აგებულებისაა. ხასიათდება დაბზარვით. მეტწილად მჭიდრო ასოციაციაშია ქლორიტულ ნივთიერებასთან; მაგრამ არის დამოუკიდებელი, სხვადასხვა სიდიდის—ზოგჯერ საკმაოდ მოზრდილი (შლ. 176/35)—წაგრძელებული აგრეგატების სახითაც. ოპტიკური თვისებები ტიპური ეპიდოტური აქვს. ზოგჯერ კლინოკოიზიტს უახლოვდება.

მეორადი რკინის ქანგების გამოვლინება ჩვეულებრივია: სულ სხვადასხვა სიდიდის, უწყესო ფორმის ლაქებრივი, ზოგჯერ მტერისებური აგრეგატების სახით არის წარმოდგენილი; ხშირად თითქმის დისპერსულადაა შერეული ქლორიტთან, კარბონატთან და ზოგჯერ ეპიდოტთან.

ზემოაღნიშნული მეორადი მინერალები ზოგჯერ წმინდააგრეგატულ, ზოგ შემთხვევაში თითქმის დისპერსულ, ლაქებრივი ფორმის ნარევებს ჰქმნიან. ამგვარი ასოციაციები ზოგჯერ წესიერ ფსევდომორფოზებში გვხვდებიან, განსაკუთრებით ოპაციტიზებულ მარცვლებში (შლ. 24/34).

კვარცი თითქმის მუდამ არის რამდენიმე პატარა, იშვიათად მოზრდილი მარცვლის სახით;  $\text{SiO}_2$ -ს წვრილი აგრეგატები—მქიდრო კავშირში პირველადი მინერალების დაშლის სხვა პროდუქტებთან—ქალცედონურ მოდიფიკაციას უნდა ეკუთვნოდნენ (შლ. 24/34, 169/35, 304/34 და სხვ).

ზოგჯერ ქანში პორებია განვითარებული. ზოგ შემთხვევაში ჩანს, რომ ის მეორადია (შლ. 176/35, 169/35 და სხვ.). ამოვსებულია ქლორიტით, კედლებზე ქალცედონის თხელი ქერქით, ან ქლორიტით და კარბონატით, ზოგჯერ კიდევ ქლორიტით და ეპიდოტით (შლ. 169/35). ხშირად კი პორი პირველადია. მინდალინების მოცულობითი როლი ზოგ შემთხვევაში იმდენად დიდია, რომ ვლებულობთ ტიპიურ მანდელშტაინურ პორფირიტს. მაგალითად, № 304/34 უხვად შეიცავს მინდალინებს. ამოვსება კვარცით, ქლორიტით და კალციტით. დაჯგუფება ხაზებრივი, რაც წყვეტილი (ჯაჭურვი) ძარღვის შთაბეჭდილებას სტოვებს. ხშირად მინდალინი მარტო კვარცით არის ამოვსილი; ამ უკანასკნელს ტალღებრივი ზედაპირი აქვს. ზოგჯერ ცენტრში კარბონატია, შემდეგ კვარცი და ბოლოს ქლორიტის ქერქი. ზოგჯერ კალციტი და ქლორიტი ძარღვის სახით სჭრიან კვარცს. საერთოდ რაიმე კანონზომიერება თითქმის არ ემჩნევა: ხან ქლორიტია კვარცში ჩართული, ხან კი პირიქით; ხანდახან კიდევ ისინი ერთიმეორის გვერდით არიან მოთავსებული, მაგრამ მაინც მეტწილ შემთხვევაში პორის კედლებზე ქლორიტის თხელი ქერქია განვითარებული. ერთ მინდალინში კალციტთან ერთად პრენიტიც არის.

ზოგიერთი ნიმუში გამოირჩევა გაკვარცების მკაფიო ნიშნებით, რაც წიფის ინტრუზივის გავლენას უნდა მიეწეროს. მაგალითად, შლ. № 176/35-ში ძირითადი მასა უბნა-უბნა არის გარავავიკებული, რის გამო ატაქსიტურ სახეს იღებს, მასთან პლაგიოკლაზი ზოგჯერ  $\text{SiO}_2$ -თ არის ნაწილობრივ ჩანაცვლებული. გარავავიკების კიდევ უფრო მკაფიო სურათი გვაქვს № 149/43-ში (აღებულია კონტაქტის მახლობლად): ძირითადი მასა თითქმის მთლიანად ქლორიტ-მადნის მინერალის ქსელში ჩასმულ წმინდამარცვალა კვარცისაგან შედგება<sup>1</sup>.

აღწერილი ჯგუფის ქიმიური შედგენილობის დასახსიათებლად მომყავს ორი ნიმუშის ქიმიური ანალიზი (ცხრილი 3).

ცხრილი 3

(წონით %/0-ით)

ნიმუში \ ქანგი	$\text{SiO}_2$	$\text{TiO}_2$	$\text{Al}_2\text{O}_3$	$\text{Fe}_2\text{O}_3$	FeO	MnO	MgO	CaO	$\text{Na}_2\text{O}$	$\text{K}_2\text{O}$	$\text{SO}_3$	ხურობ. ნაკრები	$\text{H}_2\text{O}$	ჯამი
№ 43/34	56,85	0,84	18,68	3,03	4,64	0,12	2,97	7,07	2,00	1,02	0,37	2,16	0,34	100,09
№ 149/34	60,42	0,85	18,30	4,57	3,20	0,10	2,46	6,20	1,87	1,01	0,32	0,53	0,24	100,07

<sup>1</sup> დაწვრილებით კონტაქტურ მოვლენებზე იხ. ქვემოთ.

მაგმური ფორმულა (ლევისონ-ლესინგის წესით).

5. № 43/34—3,18  $\overline{RO}$  2,13  $R_2O_3$  9,47  $SiO_2$ ;

1,49  $\overline{RO}$   $R_2O_3$  4,44  $SiO_2$ ;  $R_2O:RO=1:6,4$ ;  $\alpha=1,98$ .

6. № 149/34—2,61  $\overline{RO}$  2,08  $R_2O_3$  10,06  $SiO_2$ ;

1,25  $\overline{RO}$   $R_2O_3$  4,84  $SiO_2$ ;  $R_2O:RO=1:5,21$ ;  $\alpha=2,27$ .

თუ შევადარებთ ამ ქანების ქიმიურ შედგენილობას დელის [4] და ლევისონ-ლესინგის [8] მიერ გამოთვლილ საშუალო დამახასიათებელ მაჩვენებლებს, აღმოჩნდება, რომ ნიმ. № 43 ერთგვარი საშუალოა ტიპურ ავეტიან პორფირიტსა (იგივე, რაც დიაბაზი) და ჩვეულებრივ პორფირიტს შორის (ანდეზიტ-ბაზალტების ჯგუფში ხვდება). მეორე ქანი შედარებით მეტე ჩანს. ქიმიური ბუნებით ის ტიპურ პორფირიტს მიეკუთვნება, მხოლოდ მას რამდენადმე შემცირებული  $\overline{RO}$  და განსხვავებული  $R_2O:RO$  ახასიათებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მეორადი პროცესებით ქანის საგრძნობი სახეცვლა (იხ. ზემოთ) შედარებას რამდენადმე ხელოვნურს ხდის და დასკვნას, ბუნებრივია, არა სავსებით მტკიცე საფუძველზე აყენებს. კერძოდ, № 149 წიფის ნეონტრუზივის გავლენით გაკვარცხებულია.

საინტერესო შედეგს იძლევა შედარება მეზობელი ადგილებისა ანალოგიურ ქანებთან:

1. პორფირიტი მწვ. საბუათიდან, — როგორც ჩანს, ძალიან ახლოს ჩვენი ნიმ. № 149-დან, გ. სმირონოვის, თ. ყაზახაშვილის და ნ. თათრიშვილის მიხედვით [11]:

1,26  $\overline{RO}$   $R_2O_3$  4,74  $SiO_2$ ;  $R_2O:RO=1:3,78$ ;  $\alpha=2,2$ .

2. პორფირიტი ძირულის მარჯვენა ნაპირიდან. იმავე ავტორების მიხედვით [11]:

1,18  $\overline{RO}$   $R_2O_3$  4,72  $SiO_2$ ;  $R_2O:RO=1:3,05$ ;  $\alpha=2,26$ .

3. პორფირიტი ლოპანისწყლის ხეობიდან (გ. ბარსანოვი):

1,17  $\overline{RO}$   $R_2O_3$  3,94  $SiO_2$ ;  $R_2O:RO=1:1,54$ ;  $\alpha=1,88$ .

4. სამხრეთ ოსეთიდან გ. ძოწენიძის მიერ აღწერილი ქანებიდან ქიმიური ბუნებით ახლოს დგანან ჩვენს ქანებთან მდ. ფაწის ხეობის კვარციანი დიაბაზები [2]:

ქანი № 243. 1,68  $\overline{RO}$   $R_2O_3$  4,83  $SiO_2$ ;  $R_2O:RO=1:5,13$ ;  $\alpha=2,07$ .

ქანი № 258. 1,76  $\overline{RO}$   $R_2O_3$  4,69  $SiO_2$ ;  $R_2O:RO=1:4,41$ ;  $\alpha=1,97$ .

მოყვანილი ფორმულებიდან ნათლად ჩანს დასახელებული ქანების ქიმიური ბუნების თითქმის იგივეობა. ეს გარეპოვება მტკიცედ მიგვითითებს მკვებავი კერის ერთიანობაზე და ერთგვაროვან შედგენილობაზე.

ბ) ალბიტიზებული პლაგიოკლაზით. როგორც აღვნიშნეთ, პლაგიოკლაზს ზოგჯერ დეანორტიტიზაცია ემჩნევა. რიგ შემთხვევაში ეს პროცესი ისე შორს არის წასული, რომ ქანში პლაგიოკლაზი მთლიანად გაალბიტებულია. ასეა შლ. № 27/34, № 288/34, № 257/34-ში (ბარნალის ლელიდან) და სხვ.



ალბიტიზებული ქანების მიკროსკოპული მორფოლოგია ზემოაღწერილის ანალოგიურია სავსებით. შეიძლება მხოლოდ აღინიშნოს, რომ ისინი დაშლის უფრო მეტი ინტენსივობით გამოირჩევიან.

ამ ქანების პლაგიოკლაზის მიკროსკოპული თავისებურებების დასახასიათებლად მომყავს ზოგიერთი შლიფის პლაგიოკლაზის აღწერა.

შლ. № 27/34-ში პლაგიოკლაზის ფენოკრისტალები მოზრდილი, მღვრიე, მურა-ჟანგისფერი პელიტიზებული მარცვლების სახითაა. მასში ჩანართები აპატიტის, ძირითადი მასის, ქლორიტის და მომწვანო ეპიდოტ-ქლორიტული ნარჩების, ზოგჯერ შავნეტიტის. შეიცავს კარბონატის გამონაყოფებს. ხშირად მთლიანად სავსეა ჩანართებით. ხშირია ეპიდოტ-ციონიტიური აგრეგატების გამოყოფაც. სხივების მაჩვენებელი  $n$  ნაკლებია ბალზამის  $n$ -ზე. მრჩობლის ღერძის კოორდინატებით გაზომვის შედეგი:

$$B_{1-2} \begin{cases} Ng = 72^\circ \\ Nm = 19^\circ \\ Np = 85^\circ \end{cases} \begin{array}{l} \text{მრჩ. ღერძი შეზრდის სიბრ. } \parallel - \\ \text{კანონი } [001] \\ \text{პლაგ. № 4.} \end{array}$$

(010)  $\perp$  ზონაში მაქსიმ. სიმეტრ. ჩაქრობა— $15^\circ$ ; პლ. № 4

პლაგიოკლაზი მთელ შლიფში ალბიტის რიგისაა.

ასევე ნიმ. № 288/34 და 297/34-შიც პლაგიოკლაზის ჩანაწინწყლები მღვრიე, პელიტიზებული, ჩანართებით მდიდარი, სერიციტიზებულ-კარბონატიზებულია; აქაც ისეთივე ჩანართები და გამონაყოფები (სერიციტის მიმატებით). სხვადასხვა ზომის კრისტალები, ზოგჯერ რეზორბირებული. მეორადი პროცესებით იმდენად არის შეცვლილი, რომ გაზომვები არ უხერხდება, მაგრამ  $n$ -ს მიხედვით ჩანს, რომ ალბიტური რიგისაა. № 297-ში (010)  $\perp$  ზონაში მაქსიმალური ჩაქრობა— $10^\circ$ , № 10; აღსანიშნავია, რომ ამ შლიფში ალბიტიზებული, დაშლილი პლაგიოკლაზი შეიცავს სალ, სუფთა, გამჭვირვალე რელიქტებს; შესაფერი ქრილების უქონლობის გამო გაზომვები არ უხერხდება, მაგრამ შედარებით მაღალი რელიეფის მიხედვით ჩანს, რომ რელიქტი ფუძე ბუნებისა უნდა იყოს. პლაგიოკლაზს ზოგჯერ ემჩნევა შეცვლის დროს კვარცის გამოყოფა და მით ჩანაცვლება.

აღსანიშნავია კიდევ მეორად მინერალებს შორის პრენიტის არსებობა, ის რადიუსურ-სხივური აგებულებისაა; № 288-ში ორი ფსევდომორფული ფირფიტებრივი აგრეგატია, მურა ყვითელი ქერქით.

## 2. ავგიტ-ამფიბოლიანი პორფირიტები

ლაბრადორიანი პორფირიტების რელიქტურ ბისილიკატებს შორის ავგიტთან ერთად მცირე რაოდენობით ზოგჯერ რქატყუარაც არის (იხ. ზემოთ შლ. № 24 და № 93). ზოგ შემთხვევაში ამფიბოლის როლი გაცილებით რელიეფური ხდება, ასე რომ ცალკე ტიპად შეიძლება გამოვყოს ლაბრადორიანი პორფირიტები, რომლებშიც მუქი კომპონენტებიდან ავგიტი და რქატყუარათი თქმის თანაბრად მონაწილეობენ.

შესწავლილ მასალაში მათი ხვედრითი როლი ისეთივეა, როგორც პირველი ტიპის.

ჯგუფის საერთო დახასიათებამდე მოვიყვან ერთ-ერთი ტიპური ნიმუშის აღწერას.

შლ. № 47/34 (ბლიზევის ზედა ნაწილიდან); მუქი რუხი ერთგვაროვანი ქანია.

მიკროსკოპში—ძირითადი მასა რუხი მღვრიე, დაჭორფლილი, მიკროფელზიტური ხასიათის, უახლოვდება ჰიპოპლიტურს განმინებული (ტრიქიტული და ზელონიტური განმინება) ბაზისით; მდიდარია მადნის მინერალის მიკრომარცვლებით. მოცულობითი რაოდენობით თითქმის ფენოკრისტალების თანაბარია.

პლაგიოკლასი, ზონური, სალი; შეიცავს ძირითადი მასის ჩანართებს და ქლორიტის ძარღვებრივ უბნებს; აქა-იქ ემჩნევა სუსტად პელიტური ნივთიერების და კარბონატ-სეროციტის გამოყოფა.

პლაგიოკლასის მიკროლითების ჩაქრობის მაქსიმალური < PM ზონაში 30°, ნომერი 65. მაგიდაზე ფენოკრისტალის გაზომვის შედეგი:

$$B_{1-2} \begin{cases} Ng = 35^\circ \\ Nm = 60^\circ \\ Np = 75^\circ \end{cases} \begin{array}{l} \text{მრჩობლის კანონი } \perp [010] \\ \text{პლაგ. № 60} \end{array}$$

$$\text{მეორე მარცვალი. } B_{1-2} \begin{cases} Ng = 58^\circ \\ Nm = 71^\circ \\ Np = 36^\circ \end{cases} \begin{array}{l} \text{მრჩობლის კანონი } [001] \\ \text{პლაგ. № 62} \end{array}$$

ალბიტური მრჩობლის (010)-ს  $\perp$  ზონაში სიმეტრიული ჩაქრობის < 36°, პლაგ. №. 65. ამგვარად, ეს ქანი საკმაოდ იშვიათ ტიპს მიეკუთვნება, რომელშიაც პლაგიოკლასის მიკროლითები და ფენოკრისტალები ერთსა და იმავე რიგისაა.

ქლორიტი, უთუოდ, ჩანაცვლებებია; პლეოქრონიზმი სუსტი; ყვითელი და ნარინჯისფერი ინტერფერენციული ფერები;  $\perp$  ნიკოლებში არაერთგვაროვანი, წვრილაგრეგატული.

შედარებით სალი ამფიბოლი ქლორიტიზაციის ყოველგვარი სტადიით: თითქმის შთლიანად გაქლორიტებულიდან სრულიად სადამდე. პლეოქრონიზმი მოყვითალოდან (თითქმის უფერო) მკაფიო ფოთლისფერ-მწვანემდე. დაშლის სხვა პროდუქტები თითქმის არ ჩანს, გარდა მცირე რაოდენობით რკინის უანგისა და აქა-იქ უძნიშვნელოდ ეპიდოტისა.

ამფიბოლთან ერთად არის მონოკლინური პიროქსენიტი. რაოდენობით პირველი სჭარბობს. პიროქსენის ჩაქრობის კუთხე უნივერსალურ მაგიდაზე გაზომვით (< [001]-სა Ng-თან) = 41°; Ng—Np (შლითვის სისქე ბზართ) = 0,026. ჰქმნის შენახრდებს ამფიბოლთან.

შლიფში ჩანს ავგიტის გადასვლა რქატყუარაში. ურალიტის ერთ მარცვალს მკაფიო ავგიტური ფორმა აქვს. ურალიტს შემდეგ ქლორიტიზაცია განუცდია.

რქატყუარა ქანში მთლიანად მეორადია თუ არა, არ იჩვენება; თითქმის უნდა იყოს პირველადი.

აბატიტი უმთავრესად ჩანართების სახით ბისილიკატში ან ქლორიტის ფსევდომორფოზებში.

სისალით, სალი ავგიტის არსებობით, მეორადი მინერალების მინიმალური რაოდენობით (ქლორიტის გამოკლებით) და სხვა ნიშნებით ეს ქანი საკმაოდ გამოირჩევა ჩვენი რაიონის პორფირიტულ ქანებს შორის.

საერთოდ ამ ჯგუფის ქანები შემდეგნაირად შეიძლება დავახასიათოთ:

ძირითადი მასა მეტწილად ჰიპოპლიტურ-ვიტროფირულს უახლოვდება მეტ-ნაკლებად განმინებული და დაშლილი ბაზისით. ჩვეულებრივ ინტენსიურად ქლორიტიზებულია. ზოგჯერ ემჩნევა არაერთდროულად პოლარიზებულ უბნებად დაშლა (შლ. № 33/36). მიკროგამონაყოფებს შორის გამოირჩევა პლაგიოკლასის მიკროლითები (თითქმის მუდამ მცირე რაოდენობით), ქლორიტიზებული ბისილიკატი, — იშვიათად სალი ავგიტის ან ამფიბოლის წვრილპრიზმული მარცვლები და მეტ-ნაკლები რაოდენობით წმიდამარცვალა მად-

ნეული მინერალი, ზოგჯერ მტერისებურად თანაბრად გაბნეული მთელ მასაში; ზოგჯერ კვარცის მარცვლებიც იღებენ თითქოს მონაწილეობას,—უთუოდ შემდგომი გამონაყოფებია (№ 179/34—მწვ. საბუათიდან). ზოგ შემთხვევაში ძირითადი მასა წვრილკრისტალურია, არამკაფიო სტრუქტურის, პლაგიოკლაზის წვრილპრიზმული მარცვლებით, ქლორიტით, ეპიდოტით, მადნეული მინერალით (№ 281/35 სოფ. გეთსამანიდან), ზოგჯერ ინტერსერტალურიც არის. ზოგიერთ ნიმუშს ემჩნევა გაქლორიტებასთან ერთად საგრძნობი კარბონატიზება (№ 133/34—წიფის მიდამოებიდან და ნაწილობრივ № 179/34). შეფერვა და „დამტვერვა-დაჭორფლვა“ საგრძნობლად ცვალებადობს,—ქლორიტის ბადის, პელიტური ნივთიერების და განსაკუთრებით მადნეული მინერალის რაოდენობისა და სიდიდის მიხედვით.

პლაგიოკლაზის ჩანაწინწკლები სხვადასხვა სიდიდისაა—ზომით მილიმეტრის რამდენიმე მეასედებიდან ერთეულებამდე. ზოგჯერ შლიფში პელიტიზებული დაშლილის გვერდით არის მრავლად სალიც. მეტ-ნაკლები სიუხვით შეიცავს ძირითადი მასის და მეორადი მინერალების ჩანარებს. მეტწილად მაინც სალი და სუფთაა. თითქმის ყველა შლიფში არის ზონალური აგრეგატები. ფუძიანობით ლაბრადორის რიგს მიეკუთვნება. მიკროლითები, როცა მათი გაზომვა ხერხდება, ანდეზინის რიგისაა (გარდა ზემოაღწერილი შლ. № 47-ისა).

ცხრილი 4

შლიფის №	ჩაქრობის მიხედვით		მრჩობლის ღერძის (B) კოორდინატები			მრჩობ. კანონი	პლაგ. №
	<	პლაგ. №	Ng	Nm	Np		
133/34	$\perp (010) 35^\circ$	63					
179/34	" " $32^\circ$	57					
პატარა ზონალური მარცვალი 33/36	$\perp PM \dots 21^\circ - 25^\circ$	40-45	61°	72°	35°	[001]	64
46/36	$\perp (010) 41^\circ$	72	66°	35°	65°	$\perp [001]$	72
281/35:1)	$\perp (010) 33,5^\circ$	60	25°	72°		$\perp (010)$ $\perp (010)$	55-60
2) პატარა ზონ. მარცვ.:							
ა) გარე ზონა	$\perp PM 12^\circ$	28					
ბ) შიგა ზონა	" $14^\circ$	31					
3) მოზრდილი მარცვალი	" $24^\circ$	44	71°	53°	44°	[001]	49

ყურადღებას იპყრობს შლ. № 281/35-ში პლაგიოკლაზის მრჩობლის ნახევრის ჩანაცვლება მრჩობლურივე ეპიდოტით.

რქატყუარა ზოგ შლიფში საკმაოდ სალია და გაზომვებით ჩვეულებრივ ამფიბოლს<sup>1</sup> მიეკუთვნება (150/34, 281/35); ზოგჯერ რელიქტების სახით არის ქლორიტიზებულ მარცვლებში (179/34, 46/36, 33/36), ზოგჯერ კიდევ მთლიანად შეცვლილია და მხოლოდ ფსევდომორფოზის 6-კუთხიანი ფორმით თუ

<sup>1</sup> კონსტანტები (შლ. № 150/34);  $2V = -55^\circ$  (ორი გამოსავლით);  $Ng - Np = 0,020$ .  $Nm - Np = 0,013$ ;  $CNg = 15^\circ$ .

გამოიცნობა (შლ. № 133/34)<sup>1</sup> მეტ-ნაკლებად ოპაციტიზებულია. სრული ჩანაცვლების შემთხვევაში მთავარი ჩანაცვლებელი ქლორიტია, მონაწილეობს აგრეთვე ეპიდოტი, კალციტი და ზოგჯერ კვარციც (№ 133); ზოგჯერ დაშლის პროდუქტები ოპაციტის ქერქიანი გაურკვეველი მურა ჟანგისფერ-ყვითელი, კუქყიანი, არაერთგვაროვანი დისპერსული მასით არის წარმოდგენილი; უნდა იყოს ნარევი რკინის ჟანგის, ქლორიტის და ეპიდოტის (შეიძლება კარბონატისაც); პირველადი მინერალის ამფიბოლურ ბუნებას რელიქტები ამჟღავნებენ. ასეთივე მასის ლაქებრივ გამონაყოფებს ზოგჯერ ძირითადი მასაც შეიცავს (№ 179). ზოგ შემთხვევაში უდავო ხდება ამფიბოლის წარმოშობა ავგიტის ხარჯზე, მაგრამ მეტწილად სურათი გაურკვეველი რჩება, — მეორადთან ერთად არ არის უარყოფილი პირველადის არსებობაც.

ამფიბოლთან ერთად დამორჩილებულ როლში მონოკლინური პიროქსენიც არის, ზოგჯერ სალი მარცვლების (281/35), ზოგჯერ კი რელიქტის სახით, რომლის დანარჩენი ნაწილი (შლ. № 46/36) გადასულია წმინდააგრეგატულ, მაღალი ორმაგსხივტების ქლორიტში; ზოგჯერ კი მისი არსებობა, ჩანაცვლებების არაცხადი ფორმის გამო (№ 133/34, 179/34, 33/36), ჰიპოთეზური ხდება.

დანარჩენი კომპონენტებიდან აღსანიშნავია: აპატიტი — აქცესორულ როლში, მეტწილად პატარა ჩანართების სახით ბისილიკატში ან მის ჩანაცვლებულ მინერალებში — და საკმაო რაოდენობით მადნეული მინერალი — მაგნეტიტი, ზოგჯერ ილმენიტი, მათთან ერთად ხშირად პირიტიც.

მეორადი მინერალებით ეს ჯგუფიც მდიდარია. წარმოდგენილია: ქლორიტი, ეპიდოტი, კარბონატი, რკინის ჟანგები, პელიტური ნივთიერება და ხშირად კვარციც; ძალიან იშვიათად ზოგიერთ შლიფში სერიციტიც ჩანს (პლაგიოკლაზის დაშლის პროდუქტებში). ეს მინერალები ჩნდებიან, როგორც ძირითადი მასის და ფენოკრისტალური ფერადი კომპონენტის დაშლის შედეგად, ისე პლაგიოკლაზის ჩანაწინწკლების ხარჯზეც, განსაკუთრებით ქლორიტი და კარბონატი. მაგრამ მათი წარმოშობის მთავარი წყარო ფენოკრისტალებს შორის მაინც პირველია.

ქლორიტი წარმოდგენილია დელესიტური და პენინური სახეობებით. მკრთალი მწვანე ფერისაა, ზოგჯერ წვრილაგრეგატული ან ბოჭკოვანი. მუდამ არსებით როლს თამაშობს (იშვიათი გამონაკლისის გარდა). ეპიდოტი ზოგჯერ უფრო არის, მეტწილად კი შეფერილია (არათანაბრად) მოყვითალო-მომწვანოდ და მასთან შეიცავს სხვა მეორადი პროდუქტების მინარევებს; უწესო ფორმისაა, მუდამ წვრილაგრეგატული აგებულების, ნაპრალებიანი, ზოგჯერ რადიუსურ-სხივური, ასოციაციაშია ხშირად ქლორიტთან. კარბონატი დამოუკიდებლად შედარებით იშვიათია, — მეტწილად ის მჭიდრო კავშირშია ეპიდოტთან და ქლორიტთან; ჩვეულებრივ კუქყიანია და მასთან წვრილაგრეგატული. ეპიდოტში და კარბონატში, ზოგჯერ ქლორიტშიც, შერეულია რკინის ჟანგები. ზოგჯერ ეს ნივთიერებანი თითქმის დისპერსულ ნარევს ქმნიან (შლ. 133/34 და 179/34) ბისილიკატის ჩანაცვლებაში; ასეთი ნარევების ფსევდო-

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ამ შლიფში — ძირითადი მასის ძლიერ კარბონატიზაციის და ბისილიკატის სრული დაშლის პირობებში — პლაგიოკლაზს შენარჩუნებული აქვს შედარებით დიდი სისაღე.

მორფოზებში იშვიათად თუ არის ცხადი ეპიდოტის და კარბონატის. ან ქლორიტის დამოუკიდებელი მარცვლები (შლ. 179). ზოგ შემთხვევაში ეპიდოტი ძალიან უხვადაა, იძლევა უბნებრივ შეჯგუფებებს. ასეთ შემთხვევაში კარბონატი ქანში თითქმის არ ჩანს (281/35). გამონაკლის შემთხვევაში ეპიდოტი თითქმის სრულებით არ არის წარმოდგენილი. ასეთი ქანები ხასიათდებიან სალი, სუფთა პლაგიოკლაზით და ფენოკრისტალებს შორის მისი საგრძნობლად გაბატონებული მდგომარეობით (შლ. № 46/36).

ხშირად არის კვარცი, ზოგჯერ წვრილი (შლ. № 133/34), ზოგჯერ კი მოზრდილი მარცვლების სახით. ერთ ასეთ მარცვალს ტალღებრივი ჩაქრობა ახასიათებს (შლ. № 179/34). ზოგ შემთხვევაში ძარღვებრივად არის დაჯგუფებული (შლ. 179 და 281); დასახელებულ შლიფში ასეთი ძარღვი პლაგიოკლაზის კრისტალს ჰკვეთს.

### 3. ამფიბოლიანი პორფირიტები

ზემოაღწერილი ჯგუფის შემდგომ ბუნებრივ განვითარებას ამფიბოლიანი სახეობა წარმოადგენს, რომელშიაც ბისილიკატის რელიქტები ან ჩანაცვლებების დამახასიათებელი კვეტები მხოლოდ და მხოლოდ ამფიბოლს ეკუთვნიან; ასეთია ნიმუშები: № 181/35—ბლიხევის სათავეებიდან, № 335/35—ტყემთის ჩრდილო ფერდიდან, № 1/36—სურამის რაიონიდან, № 298/35—სოფ. ნადაბურის მიდამოებიდან, № 264/35—ძირულის გზატკეცილიდან და სხვ.

ძირითადი მასა ჩვეულებრივ მურა-რუხი, ჰიალოპილიტური, ხშირად ნახევრად კრისტალური (განმინებული ბაზისით); დაშლილია, ხასიათდება მოშავო ლაქებრივი წერტილებით და უბნებით. ქლორიტს მეტ-ნაკლები რაოდენობით შეიცავს. აგრეთვე ცვალებადია მადნეული მინერალის მიკრომარცვლების როლი.

პლაგიოკლაზის ფენოკრისტალები აქაც სავეა ჩანართებით, სხვადასხვა რაოდენობით არის სალი და სუფთაც; დამტვერილია ხშირად პელიტური ნივთიერებით; შეიცავს ქლორიტის ხლართულ ზოლებს. ემჩნევა სერიციტიზაცია (შლ. № 1/36). უნივერსალურ მაგიდაზე გაზომვით და სხვა მეთოდით პლაგიოკლაზის ნომერი მეტწილად 50—65 უდრის<sup>1</sup>.

ამფიბოლი მწვანე, ქლორიტიზებული. წარმოდგენილია დაშლის სხვადასხვა სტადიაში. ზოგჯერ მეორადი უნდა იყოს (შლ. № 181/35).

ეპიდოტური მინერალი ხშირად უხვად არის; როგორც ჩანს, ის მეტწილად ამფიბოლის ჩანაცვლების შედეგია; ზოგჯერ მარცვალს რქატყუარის ქერქი აქვს და შიგნითაც შეიცავს მის რელიქტს. მკაფიო ფსევდომორფოზებში მას ზოგჯერ ქლორიტი ახლავს დაქვემდებარებულად, ზოგჯერ კი ის სრულიად დამოუკიდებლადაა.

ზოგიერთ ქანში (შლ. 181/35) ეპიდოტური მინერალი თავისებურია: ღია შეფერვის მოყვითალო-მოყავისფრო და მომწვანო, ზოგჯერ სუსტ პლეოქრონიზმს იჩენს; რელიეფი, ჩვენი რაიონის ქანების ტიპურ ეპიდოტთან შედარე-

<sup>1</sup> ერთ შემთხვევაში (შლ. № 335/35) პლაგიოკლაზი № 90-იც აღმოჩნდა.

ბით, დაბალია; ხასიათდება სწორკუთხოვანი განწყევრებით, დაახლოებით ასეთივეა ეპიდოტი შლ. № 1/36-აღ.

ქლორიტი მორფოლოგიურად სხვადასხვაგვარი. ხშირად დამოუკიდებელი ფირფიტების სახით. მეტ-ნაკლებად მკაფიო ფსევდომორფოზებად. ზოგჯერ ასოციაციაშია ეპიდოტთან და მადნის მინერალთან.

მადნის მინერალი მეტწილად მაგნეტიტით არის წარმოდგენილი. ქანში ხშირია ცოტაოდენი მეორადი კვარცი (მეტწილად ქალცედონის სახით). მეორად მინერალებს შორის კარბონატი იშვიათად თუ ჩანს.

ამ ჯგუფის ზოგიერთ წარმომადგენელს (ნ. № 264/35 და № 335/35) ნეოინტროზივის კონტაქტური ზეგავლენა ემჩნევა, რის შედეგად ქანში კვარცი და ბიოტიტი (წვრილქერცლა, ტიპიური კონტაქტური ელფერის) გაჩენილა. ბიოტიტი ზოგჯერ ჯგუფურადაა. შეჯგუფებულ გროვებს ოპაციტური რკალი აქვთ. ჩანს, ამფიბოლს ანაცვლებს. ასეთი ფსევდომორფოზები შეიცავენ აგრეთვე კვარცს, სერიციტს, მადნის ნიფთიერებას და ამფიბოლის რელიქტს.

ალბიტიზებული ამფიბოლიანი პორფირიტის ტიპს წარმოადგენს ნიმ. №5/34—ბარნალის ღელის ქვემო ნაწილიდან. მკვრივი, მუქი რუხი ფერის, მუქჩანაწინწყლებიანი ქანია. პლაგიოკლაზი კარგად შემოფარგლული ღელსტების სახით; ორგვარია: ა) სრულიად სალი, გამჟვრვალე, ზონური, აპატიტის ჩხირების და მარცვლების ჩანართებით და ბ) მურა, პელიტიზებული, ჩანაცვლებული (ზოგჯერ მთლიანად) ან ძირითადი მასით (უკანასკნელი შედარებით მდიდარია ქლორიტით), ან კიდევ ზოგჯერ—მეორადი მინერალების წვრილმარცვლოვანი აგრეგატებით. ზოგჯერ ქერქის ნაწილი წვრილი ზოლის სახით სუფთაა, ცენტრული ნაწილი კი—მურა მღვრიე, შეცვლილი. მეორე სახის პლაგიოკლაზი ზოგჯერ არც კი გამოიყოფა ძირითადი მასისაგან, მხოლოდ  $\perp$  ნიკოლებში მდებარეობს პლაგიოკლაზის ინდივიდუალობა. ერთი წაგრძელებული პრიზმული ზონური მარცვალი საღ და შეცვლილ ნაწილს პერიოდული განმეორებით შეიცავს. ზოგიერთ მარცვალში ჩანს ზონური გაქლორიტებაც.

შეცვლილი მურა უბნების და მარცვლების  $n$  ბალზამის  $n$ -ზე მცირეა; აშკარად ალბიტური რივისაა. სალი მარცვლების  $n$  გაცილებით მეტია,—ფუძე ანდეზინ-ლაბრადორისას შეეფერება.

ალბიტიზებულ პლაგიოკლაზს ემჩნევა ზოგჯერ მცირე ინტენსივობის კარბონატიზაცია.

პლაგიოკლაზის ერთი მარცვლის PM-ს  $\perp$  კვეთში ჩაქრობა  $31^\circ$ ,—№ 58; მიკროჩანაწინწყლის ასეთსავე კვეთში ჩაქრობა  $14^\circ$ ,—№ 28. სრულიად სალი გამჟვრვალე პლაგიოკლაზი (010)  $\perp$  ზონაში მაქსიმ. ჩაქრობის მიხედვით ლაბრადორის რივისაა № 65.

მიკროლითების ჩაქრობა PM ზონაში (დიდი გადიღებისას)  $90^\circ$ ,—შეეფერება ოლიგოკლაზის რიგს, დაახლოებით № 25—30, რაც მიკრომარცვლის PM  $\perp$  კრილის ჩაქრობას კარგად ეთანხმება.

ამგვარად, შლიფში პლაგიოკლაზი სხვადასხვა ფუძიანობისაა—ალბიტიდან მოყოლებული ლაბრადორამდე. მიკროლითები და პატარა მარცვლები ოლი-

გიოკლაზის რიგს ეკუთვნიან, ხოლო ზონური სალი ფენოკრისტალები ანდეზინ-ლაბრადორს; მათი ნაწილი ალბიტიზებულია; ამგვარ მარცვლებს შემდეგ პელიტიზაცია და დაშლის სხვა პროცესები განუცდიათ.

როგორც ჩანს, დაკრისტალების პირველ სტადიაში ლაბრადორი გამოყოფილა, შემდეგ ლავა გამჟავებულა და პლაგიოკლაზის მეორე გენერაცია უფრო მჟავე გამხდარა. ბოლო სტადიაში პლაგიოკლაზის ფენოკრისტალების დიდ ნაწილს დენორტიტიზაცია განუცდია, ალბიტ-ოლიგოკლაზში გადასულა.

#### 4. პორფირიტები მთლიანად შეცვლილი ბიხილიკატით

გაცილებით მეტი სიძლიერით არის წარმოდგენილი ფუძე პლაგიოკლაზიანი პორფირიტების ჯგუფში ისეთი ქანები, რომლებშიაც ეპიმაგმურ პროცესებს ფერადი კომპონენტის პირველადი ბუნება მთლიანად წაუშლია და მასთან დამახასიათებელი კვთების უქონლობაც შეუძლებელს ხდის მის გარკვევას.

ჩვენი კოლექციიდან ამ ჯგუფს მიეკუთვნება: № 24/34, 306 307/34 და 305/34 ბარნალის ლელიდან; 53/34, 57/34 და 20/34—წილის ლელისა და ბლიხეგს შუა ქედებიდან; 44/34, 48/34, 51/34 და 185/35—ბლიხევიდან; 130/34, 243/34—ნაკალოვარის ლელიდან, 299/35, 311/35 და 44/36—სოფ. ნადაბურლიჩიდან და სხვ.

სტრუქტურის, ძირითადი მასის, პლაგიოკლაზის და მეორადი მინერალების მხრივ სურათი საერთოდ წინა ჯგუფების ანალოგიურია.

ქანი ჩვეულებრივ შედგება ძირითადი მასისა, პლაგიოკლაზის ჩანაწინწყლებისა და მეორადი მუქი მინერალების მოზრდილი გამონაყოფებისაგან (ქლორიტი, ეპიდოტი). აქცესორული შემადგენლის სახით აპატიტი; მეტ-ნაკლებად დაქვემდებარებულ როლში მონაწილეობენ: რკინის ჟანგები (პირველადი და მეორადი), კარბონატი, კვარცი, სერიციტი, ცოიზიტური მასა, პელიტური ნივთიერება და ზოგჯერ პრენიტი.

ძირითადი მასა ინტენსიური სახეცვლის გამო ხშირად ძნელად გასარკვევი სტრუქტურისაა. ჩვეულებრივ უფრო ვიტროფირულ-ჰილოპილიტური. თითქმის მუდამ დაშლილი და მეტ-ნაკლებად განმინებული. ძლიერ ქლორიტიზებული, ზოგჯერ მთლიანად ქლორიტის ქსელს წარმოადგენს; აგრეთვე ხშირად კარბონატიზებული და ზოგჯერ პელიტური ნივთიერებით დამტვერილი. მუდამ მურა შეფერვის, კორფლიანი. რკინის ჟანგები—პირველადი და მეორადი—ცვალებადი სიუხვით, ზოგჯერ ძალიან მრავლად (№ 44/36). პლაგიოკლაზის მიკროლითები სპორადულად, ზოგჯერ სრულებით არ ჩანან (311/36); მიკროჩანაწინწყლებს კი თითქმის მუდამ შეიცავს. ზოგჯერ საგრძნობლად ეპიდოტის მიკრომარცვლებსაც ვამჩნევთ. მკაფიო, უდავო ბისილიკატი ძირითად მასაში თითქმის არასოდეს არ ჩანს. გამონაკლის შემთხვევაში არაერთგვაროვანი—მიკროტაქსიტური აგებულების, ხშირად დალაქავებული მეორადი რკინის ჟანგის აგრეგატებით ან სხვა მინერალების ნარეგებით. შეიცავს ზოგჯერ ქლორიტით ამოვსილ მიკროპორებს; პორებში ქლორიტს, ჩანს, ქალცედონიც უნდა ახლდეს (48/34).

ძირითადი მასა და ფენოკრისტალები, იშვიათი გამონაკლისის გარდა (შლ. 51/34), დაახლოებით თანაბარი რაოდენობით არის.

პლაგიოკლაზის მიკრომარცვლები მუდამ შედარებით საღია და ფუძე, ანდეზინ-ლაბრადორის რიგს არ შორდება (ცხრილი 5). დაშლილ ძირითად მასაში არ არის უარყოფილი განმინების შედეგად მიღებული კვარცისა და ალბიტის არსებობა.

პლაგიოკლაზის ჩანაწინწკლები მეტწილად სხვადასხვაა, მიკრომარცვლებიდან 2—3 მმ ლეისტებამდე. ძალიან ხშირად ზონური სხვადასხვა ინტენსივობით. გარე ზონები მუდამ შედარებით მეაფე ბუნებისაა. ჩვეულებრივ საღი, ჩანართებით (ძირ. მასა და მეორადი შინერალები) მეტ-ნაკლებად მდიდარი, ხასიათდება ქლორიტიზაციით და კარბონატიზაციით. დამახასიათებელია შეცვლილი უბნების თუ ჩანართების გვერდით ხშირად სრულიად საღი, სუფთა უბნების არსებობა. ქლორიტი პლაგიოკლაზში ძარღვისებური და ლაქებრივი ფორმის სახით არის; კარბონატი მეტწილად მარცვლებრივ გამონაყოფებს ჰქმნის. პლაგიოკლაზი იშვიათად ამ მინერალებით საგრძნობ ნაწილში მთლიანად ჩანაცვლებული, ფსევდომორფიზებული (შლ. 48/34). ხშირად შეღრღნილ-შემღვალა გვერდებით. ზოგჯერ პელიტიზებულია და საერთო ამღვრევა ემჩნევა (№ 49/34 და № 51/34). სერიციტიზაციაც განუცდია ზოგჯერ (№ 185/35); ასეთ შემთხვევაში კარბონატის აგრეგატები თითქოს აღარ ჩანს. აღსანიშნავია ზოგიერთ ნიმუშში ერთდროულად სხვადასხვა სისაღის ინდივიდების არსებობა. ზოგჯერ დენაორტიზებულია: ზოგიერთი მარცვალი, გაბატონებული ფუძე ბუნების აგრეგატთა გვერდით, გაცილებით მეაფე ბუნებას გვიჩვენებს (შლ. 53/34). მარტივ და პოლისინთეზურ მრჩობლებში; მრჩობლები მეტწილად ალბიტური, კარლსბადური და მათი კომბინაციების სახით. გაზომების მიხედვით პლაგიოკლაზის ნომერი 50—80-ს ფარგლებში მერყეობს (ცხრ 5.)

ბისილიკატი მუდამ მთლიანად ჩანაცვლებულია მეორადი მინერალებით. ამ უკანასკნელთა რავგარობა, პლაგიოკლაზის ჩანაცვლებებისაგან განსხვავებული ფორმა და ზოგჯერ ოპაციტური ქერქი ნათლად ამტკიცებს ქანში ბისილიკატის თავდაპირველად არსებობას. მაგრამ დამახასიათებელი კრიტერიუმების გამო მისი ბუნება მეტწილ შემთხვევაში ვერ ირკვევა<sup>1</sup>.

ზოგ შემთხვევაში ფერადი მინერალი ქლორიტის, ზოგჯერ აგრეთვე ეპიდოტის, დამოუკიდებელი, წესიერი (განსაკუთრებით პირველის) ფენოკრისტალური ინდივიდების სახით არის წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ძნელდება ლაპარაკი მის ბისილიკატურ ფსევდომორფობაზე, — თითქოს უფრო პლაგიოკლაზის ჩანაცვლება უნდა იყოს. სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთი ქლორიტი პირველადი კი იყოს, ყოველ შემთხვევაში მაგმური პროცესის ჯერ კიდევ თხევად სტადიაში მიმდინარე ავტომეტამორფიზმის დროინდელი. თამამად შეიძლება ასეთი ქანების ცალკე ქვეჯგუფად გამოყოფა (ნიმ. 48/34 და სხვ.).

ბისილიკატის ცხადი ჩანაცვლებები წარმოდგენილია ქლორიტით (გაბატონებულ მდგომარეობაში), კარბონატით, წვრილაგრეგატული  $\text{SiO}_2$ -ით და

<sup>1</sup> ძალიან იშვიათად თუ არის წარმოდგენილი გაურკვეველი მცირე რელიქტი (შლ. 185) ან არასაკმაოდ ცხადი ავტიტური თუ ამფიბოლური ფორმა (შლ. 53).



რკინის ჟანგის ქერქით. ეპიდოტი ზოგჯერ თითქმის სრულებით არ ჩანს (შლ. 62), ზოგჯერ კი ის არსებითი ჩამნაცვლებელია. ზოგ შემთხვევაში მთავარი კარბონატი არის, ჩვეულებრივ მურა ყვითელი, რკინის ჟანგის მტვრით შეზავებული და რკინის ჟანგისავე ქერქით შემოსალტული. ქლორიტის როლი ზოგჯერ შედარებით დაჩრდილული ჩანს (შლ. 53, 57); ასეთ ქანებს მუქი კომპონენტით სილარიბე ემჩნევა. ხშირ შემთხვევაში ჩანაცვლებულ მარცვლებს ოპაციტური ქერქი აკრავთ; არის მარცვლები მთლიანად მაგნეტიტით ჩანაცვლებულიც (შლ. 53); ზოგჯერ კი ასეთი რამ არ ჩანს (შლ. 48, 20).

ზოგიერთ ნიმუშს კარბონატიზაცია (როგორც ბისილიკატის, ისე პლაზიოკლასის) თითქმის არ ემჩნევა. ასეთი ქანები ჩვეულებრივ ეპიდოტით და ქლორიტით არიან მდიდარი (შლ. 48).

ქლორიტი აქაც წინა ჯგუფების ანალოგიურია; ფირფიტები, სხვადასხვა ზომის—მიკროაგრეგატიდან დიდ ლეისტებამდე; როზეტებრივ, ძარღვებრივ-ბუჩქა; ჩანართებად და დამოუკიდებლად; ხშირად ქსელის სახით. მჭიდრო

ცხრილი 5

ნიმუშის №	მარცვლის ხასიათი	ჩაქრობის მაქსიმ. კუთხე		მრჩობლის ღერძის (B)			მრჩობლ. კანონი	პლაგ.
		PM   ში	ს.   (010)   მეტრ. ზონაში	კოორდინატები				
				Ng	Nm	Np		
305/34	მიკროკვადრატი	28°					⊥ [001]	55
"	1) ფენოკრისტალი			36°	70°	61°	(010)	79
"	2)			36°	70°	61°	⊥ (010)	78
53/34	მიკროლითების PM	25°						52
"	პატარა კვადრატი	30°						56
"	1) ფენოკრისტალი	35°						66
"	2) ფენოკრისტალი		29°					55
57/34	ფენოკრისტალი		37,5°					67
20/34	მიკროკვადრატი	21,5°						40
48/34	ფენოკრისტალი			63,5°	62°	40°	[001]	56
"	საშუალო ზომის კვადრატი	35°						66
"	სხვადასხვა ფენოკრისტალი		30-36°					55-65
51	მიკროკვადრატი	33°						62
185/35	1) ხონალური ფენოკრ.							52
"	ა) გარე ზონა	27°						75
"	ბ) შიგა ზონა	39°						63
"	2) საშუალო ფენოკრ.		34°					57
62/34	1) საშუალო 5 მარცვლის	30°-31°						56
"	2) ფენოკრისტალი		29,5°					50
"	3) ფენოკრისტალი		27°	30,5°	61°	80°	⊥ (010)	67
"	4) მიკროკვადრატი <sup>1</sup>	42°						53
243/34	1) ფენოკრისტალი			30,5°	62,5°	79°	⊥ ⊥ (010)	64
"	ტყეჩვადობის მიხედვით			33,5°	63°	73°	⊥ ⊥ (010)	55
299/35	ფენოკრისტალი			31°	62°	78°	⊥ ⊥ (010)	70
311/35	ფენოკრისტალი			34°	67,5°	65,5°	⊥ ⊥ (010)	78
44/36	"			71°	29°	69°	⊥ [001] (010)	

<sup>1</sup> მიკროჩანაწიწკლების შედარებითი ფუძიანობა დიდი ფენოკრისტალების ნაწილობრივი დენარტიტიზაციით უნდა აიხსნებოდეს.

ასოციაციაშია კარბონატთან ან ეპიდოტთან, უფრო იშვიათად ორივესთან ერთად. შეიცავს ზოგჯერ მაგნეტიტის მიკროაგრეგატებს. ჩვეულებრივ მწვანეა, ტალღებრივი ზედაპირით, სუსტად ან სრულებით არაპლეოქრული, იზოტროპული, მოშავო და მელნისებრ-ლურჯი ანომალური ინტერფერენციული ფერებით; პენინის ბუნებას შეეფერება (შლ. 48, 57, 20). ზოგჯერ კი ძლიერ პლეოქროულია და რუხ-მომწვანო ინტერფ. ფერით ხასიათდება (შლ. 51). ასეთი ქლორიტების გვერდით ერთსა და იმავე შლიფში ზოგჯერ არის მოყვითალო-მწვანე ელფერის ყვითელ-ნარინჯისფერი ინტერფ. ფერებიანი მარცვლები;  $\pm$  ნიკოლებში ისინი წვრილ, არაერთდროულად პოლარიზებულ აგრეგატებად იშლება. დელესიტს და კლინოქლორს უნდა ეკუთვნოდნენ. ზოგიერთს რადიუსურ-სხივური აგებულება ემჩნევა.

ეპიდოტი ცვალებადი რაოდენობითაა: ზოგჯერ, — როგორც ქანის არსებითი კომპონენტი (შლ. 299, 307), ზოგჯერ კი თითქმის სრულებით არ ჩანს (შლ. 44/36). ჩვეულებრივ არათანაბრად მოყვითალო-მომწვანოდ, ან მურა მოყავისფროდ არის შეფერილი, იშვიათად უფეროცაა. მინარევებით მეტ-ნაკლებად „ჭუჭყიანი“, დამტვერილია მურა რკინისქანგით. მალალსხივტეხიანი, ჩვეულებრივი აგრეგატული აგებულების; უწესო მოხაზულობის; ჯაჭვებრივ-ბუჩქებრივი და-ჯგუფების სახით. ტიპური ეპიდოტური ინტერფერენციული ფერებით. ემჩნევა სუსტი პლეოქროიზმი, იშვიათად მკაფიო. საერთო თვისებებით ზოგჯერ კლინოციოზიტს უახლოვდება. მარცვლის სიდიდე დიდ ფარგლებში მერყეობს. მჭიდრო კავშირშია ქლორიტთან, ზოგჯერ კი დამოუკიდებლად გვხვდება; უფრო იშვიათად ასოციაციაშია კარბონატთანაც (შლ. 20).

ზოგჯერ ეპიდოტი თითქმის მთლიანად გარს ერტყმის პლაგიოკლაზის შეღრღნილგვერდებიან ლეისტებს; ხშირად მასში ჩანართის სახითაც არის. ზოგჯერ თითქმის დამოუკიდებლად სცვლის ბისილიკატს, ასეთ შემთხვევაში მას ოპაციტური ქერქი აქვს.

ზოგიერთ ქანში (შლ. 53, 57, 44/36) ჩანს ქლორიტით და კვარცის თხელი ქერქით ამოვსილი სიცარიელები, ზოგჯერ ძარღვებრივი ფორმის. მათში ქლორიტთან ერთად იშვიათად ეპიდოტიც არის (შლ. 48, 53). მეორად მინერალებთან მჭიდრო კავშირში, იშვიათად კი განცალკევებითაც, მცირე რაოდენობით თითქმის მუდამ გვაქვს (აგრეთვე მეორადი) წვრილაგრეგატული კვარცი თუ ქალცედონი. ზოგჯერ ის ძარღვებრივი უბნების სახითაა (შლ. 44/36, 311/35, 20). განცალკევებულ მარცვლებს უწესო მოხაზულობა ახასიათებს.

მეორადი მინერალების ჯგუფში იშვიათად პრენიტიც იღებს მონაწილეობას (შლ. 53).

აპატიტი, როგორც აქცესორული შემადგენელი, წარმოდგენილია ჩვეულებრივ მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით; ის მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში თუ არ ჩანს (შლ. № 305/34).

მადნეული მინერალით ქანი მდიდარია. თითქმის მუდამ რკინის მეორადი თანგები სჭარბობენ. არის პირველადი მაგნეტიტიც. მონაწილეობს ილმენიტიც. პირიტი ცვალებადი რაოდენობითაა, ზოგჯერ არ ჩანს; ხშირად მაგნეტიტის

ზარჯზეა წარმოშობილი (რელიქტები მაგნეტიტის). მეორადი რკინის ქანგი მეტწილად ჰემატიტით არის წარმოდგენილი. ეს უკანასკნელი მაგნეტიტთან ერთად ხშირად ლიმონიტიზებულია. სპორადულად გალეიკოქსენებული ილმენიტიც გვაქვს.

მეორად მინერალებს შორის ზოგჯერ პრობლემატური ალბიტის მონაწილეობა არის მოსალოდნელი (მაგალითად, შლ. № 243/34); მარცვლის სიმცირე, სამწუხაროდ, გაზომვის საშუალებას არ იძლევა.

დამახასიათებელია ამ ჯგუფისთვის, მთლიანად დაშლილი და ჩანაცვლებული ბისილიკატის გვერდით, ხშირად ძელიან სალი პლაგიოკლაზის არსებობა, თავდაპირველადი ბუნების სრული შენარჩუნებით.

ქანში ხშირად პორებიც არის, ზოგჯერ უხვად. მინდალინებს ჩვეულებრივ ავსებს ქლორიტი—ზოგჯერ კალციტთან ან ეპიდოტთან ერთად, მეტწილად კი დამოუკიდებლად. ფორმა მომრგვალო, მსხლისებური, წაგრძელებულ-ელიფსური და სხვა. კედლებზე, იშვიათი ვამონაკლისის გარდა, წვრილაგრეგატული კვარცის თუ ქალცედონის თხელი ქერქია განვითარებული. ზოგჯერ ამგვარ ქერქს ეპიდოტი ჰქმნის (შლ. 130 და 307). ეს უკანასკნელი ზოგ შემთხვევაში ქლორიტთან და კარბონატთან ერთად მინდალინის არსებითი მონაწილეა (შლ. 307); მინდალინის ცენტრული ნაწილი კარბონატს უჭირავს, მას გარს ერტყმის ეპიდოტი; გარე ქერქი აქაც ქალცედონს ეკუთვნის. შლ. 307-ში მინდალინს ზოგჯერ კიდევ რკინის ქანგის მუქი ზოლი ფარგლავს.

მინდალინებში ქლორიტი აგრეთვე თითქმის იზოტროპულია. ზოგჯერ ემჩნევა ზონურობა; კვეთში ტალღებრივ-ღრუბლური ზედაპირით ხასიათდება; ცენტრულ ნაწილში შედარებით ღია შეფერვისაა (შლ. № 44).

უხვად არის წარმოდგენილი ამ ჯგუფში ალბიტიზებული ქანებიც. მათ მიეკუთვნებიან: № 1/34 6/34 და 23/34—ბარნალის ლელის ქვედა ნაწილიდან, 293/34—იმავე ლელის ზედა ნაწილიდან, 49/34—ბლიხევიდან, 18/34 და 19/34—სოფ. ნებოძირის მიდამოებიდან, 253/34, 257/34, 258/34—წიალის ლელიდან, 50/35, 57/35, 78/35—ჩხერიმელის ხეობიდან, 115/36—უხედურის ხეობიდან და სხვ.

სტრუქტურა, ძირითადი მასის ბუნება, მეორადი მინერალების ხასიათი და სხვ. საერთოდ ზემოაღწერილის ანალოგიურია, ასე რომ აქ მხოლოდ პლაგიოკლაზის მთავარ განმასხვავებელ ნიშნებზე შევჩერდები.

№ 6/34-ში მიკროლითები შედარებით საღია, მათი მაქსიმ. ჩაქრობა PM ზონაში 27°—29°, —№ 52—55.

პაწაწა ფენოკრისტალის ჩაქრობა PM  $\perp$  კვეთში 25°, —№ 45.

ფენოკრისტალები (010)  $\perp$  კვეთში მაქსიმ. ჩაქრობის მიხედვით 10—15 ნომერს მიეკუთვნება. ერთი, შედარებით კარგად გასაზომი, მარცვალი იძლევა ჩაქრ. 14°—15°-ს, № გამოდის 4—6.

ამგვარად, ამ ქანში მიკროლითები და მიკროჩანაწინწყლები შედარებით ფუძეა და მასთან უფრო საღი, ფენოკრისტალები კი—გაალბიტებული და დაშლილი. ალბიტიზაციის ეპიმაგმური ხასიათი ამ შემთხვევაშიაც უდავოა. არავითარ პირველად ალბიტზე არ შეიძლება ლაპარაკი.

პლაგოკლაზში ჩანართები ჩვეულებრივი სახითაა: ქლორიტაზებულნი ძირითადი მასა ძარღვებრივად, ქლორიტი და სხვ.; იშვიათად სერიციტის მიკრო-ქერცლებიც ჩანს.

ასევე ნიმ. № 1/34—პლაგოკლაზის მიკროლითები ლაბრადორს—№53—56 მიეკუთვნებიან. ფენოკრისტალები კი აქაც მკავე ბუნებისაა; ძლიერი დაშლისა და ჩანართების სიუხვის გამო მათ გაზომვა, მართალია, არ უხერხდება, მაგრამ სხივტების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ან ალბიტის ან ოლიგოკლაზ-ალბიტის რიგისაა.

ზოგიერთ ნიმუშში კარგად ჩანს ალბიტის მეორადი წარმოშობა პირველადი ფუძე პლაგოკლაზის დაშლის გზით. ასეა, მაგალითად, ნიმ. № 293/34-ში.

ქანი წარმოადგენს მანდელშტაინური ბუნების ალბიტისებულ პორფირიტს, ქლორიტი-ზებული ვიტროფირულ-ჰილოპილიტური ძირითადი მასით და გაურკვეველი (მთლიანად დაშლილი) ბისილიკატი. შედარებით საღია.

შეიცავს ფუძე პლაგოკლაზის რელიქტებს. ერთ-ერთი რელიქტის ალბიტური მრჩობლის (010)-ს  $\perp$  ზონაში ჩაქრობა  $35^{\circ}$ , —№ 60—62. ასეთი რელიქტები საკმაოდ იშვიათია. მეტწილად პლაგოკლაზი მთლიანად ალბიტისებულია. ზუსტი გაზომვები ძლიერი დაშლის გამო კარგად არ უხერხდება. ერთ-ერთი პატარა კვადრატული ფორმის ფენოკრისტალის ჩაქრობა PM  $\perp$  კვეთში  $0^{\circ}$ , —№ 20. სხივტების მაჩვენებელი ოდნავ—სრულიად უმნიშვნელოდ—მეტაბალხამის n-ზე, სავსებით კი პლაგოკლაზი თითქმის საღად გამოიყურება; გამჭვირვალეა, მაგრამ საკმაოდ დაცხრილულია სერიციტით. დამახასიათებელია ფუძე მარცვლების დასერვა დაბალი მაჩვენებლის ბოლებით და უბნებით, რომელნიც, როგორც ჩანს, ალბიტს ეკუთვნიან.

ნახევრად დენორტიტიზებულ პლაგოკლაზს შეიცავს შლ. № 115/36:PM-ს  $\perp$  2 კვეთის და მრჩობლის (010)-ს  $\perp$  ზონაში მაქსიმ. ჩაქრობის მიხედვით ოლიგოკლაზი (№ 20) გამოდის. ქანი სუსტად არის კარბონატიზებული.

ძალიან ხშირად ალბიტისებული პლაგოკლაზი მეტად ინტენსიურადაა დაშლილი, განსაზღვრა აღარ უხერხდება. ასეა, მაგალითად, შლ №№ 1, 253, 257, 258-ში და სხვ. ასეთ შემთხვევაში პლაგოკლაზი ჩვეულებრივ თითქმის მთლიანად პელიტურ-კარბონატული რუხ-მოშავო ნივთიერებით არის ჩანაცვლებული; ზოგჯერ სხვა მეორადი მინერალებიც იღებენ მონაწილეობას. დაშლილი ძირითადი მასიდან მეტად ძნელი გამოსაყოფი ხდება; მხოლოდ  $\perp$  ნიკოლებში იჩენს თავს პლაგოკლაზის მონაწილეობა. ზოგჯერ ასეთი მარცვლები პერიფერიულ ნაწილში მკვეთრად ესაზღვრებიან სარტყლად განლაგებულ სრულიად საღ რელიქტებს (შლ. № 257/34).

ჯგუფის ქიმიური ბუნების დასახასიათებლად მომყავს ერთ-ერთი ნიმუშის (№ 266, პირველადი ფუძე პლაგოკლაზით. ძირულის ხეობიდან გზატკეცილის პირად) ქიმიური ანალიზი (ცხრ. 6).

როგორც ანალიზიდან და მაგმური ფორმულიდან ჩანს, ქანის ქიმიური ბუნება სავესებით ანალოგიურია 1 ჯგუფის ქანების. ეს გასაგებიცაა: გამოყოფილი ჯგუფები გენეტურად ერთ მთლიან კომპლექსს წარმოადგენენ—მინერალური შედგენილობის (ძირითადად ავტომეტამორფული პროცესების გავლენით) მცირეოდენი ვარიაციებით; ხშირად ქანის მიკუთვნება ამა თუ იმ ჯგუფისთვის ხელოვნურ ხასიათსაც იღებს.

ცხრილი 6<sup>1</sup>

ქანგები	SiO <sub>2</sub>	TiO <sub>2</sub>	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	FeO	MnO	MgO	CaO	Na <sub>2</sub> O	K <sub>2</sub> O	SO <sub>3</sub>	ხურბი. ნაკატი	H <sub>2</sub> O	ჯამი
ნიმუში														
№ 266	58,26	0,85	18,01	4,74	3,06	0,15	3,04	6,52	2,63	1,71	0,62	0,40	0,27	100,36

მაგმური ფორმულა (ლევინსონ-ლესინგის წესით):

2,96 RO 2,06 R<sub>2</sub>O<sub>3</sub> 9,71 SiO<sub>2</sub>; 1,44 RO R<sub>2</sub>O<sub>3</sub> 4,71 SiO<sub>2</sub>; R<sub>2</sub>O:RO=1:3,93; α=2,12.

### 5. უბისილიკატო პორფირიტები

ზოგიერთ ქანში ფენოკრისტალებიდან მხოლოდ პლაგიოკლაზია წარმოდგენილი. მკაფიო ბისილიკატის ჩანაცვლებები სრულებით არ ჩანს; საეკვოაგრეგატებიც კი ან თითქმის არ გვხვდება, ან მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით. ასეთი ქანები ცალკე ჯგუფად უნდა გამოვყოთ უბისილიკატო პორფირიტების სახელწოდებით (შეიძლება მათთვის პლაგიოკლაზიანი პორფირიტების სახელის მიცემა, მაგრამ ამგვარი სახელწოდება უხერხულად უნდა მივიჩნიოთ: პლაგიოკლაზი, როგორც მთავარი კომპონენტი, ყველა ტიპში არის, სახელი პლაგიოკლაზიანი პორფირიტი კიდევ უალბ წარმოდგენას ჰქმნის, თითქოს პლაგიოკლაზი მხოლოდ ამ ქანს ახასიათებდეს).

ამ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ № 110/34—გოლათუნის ღელის ქვედა ნაწილიდან, № 334/35—ბეინევის მიდამოებიდან, № 296/34—ბარნალის ღელიდან, № 255/34—წაღის ღელიდან და სხვ.

მომყავს დამახასიათებელი ნიმუშების აღწერა.

შლ. № 110—ღია რუხი წვრილმარცვალა ქანია. მიკროსკოპში ხასიათდება შემდეგით: სტრუქტურა პორფირული. ძირითადი მასა მურა ვიტროფირულ-ჰილოპილიტური, დამარცვლული (განმინებული) „ქვიშებრივი“ ბაზისით. შეიცავს მრავლად ქლორიტს (ფურცელა, ძარღვებრივი და ლეისტური ფორმის), მადნის მინერალის მიკრომარცვლებს და (დამორჩილებულად) პლაგიოკლაზის მიკროლითებს.

პლაგიოკლაზის ფენოკრისტალები სხვადასხვა ზომის, სალი, გამჭვირვალე, მხოლოდ ზოგჯერ ემჩნევა სერიციტიზაცია. გაზომვით № 50/55—გამოდის:

- $$B_{1-2} \begin{cases} Ng = 64^\circ \\ Nm = 50^\circ \\ Np = 50,5^\circ \end{cases} \begin{array}{l} \text{მრჩ. კანონი} \\ \{001\}. \\ \text{პლაგ. № 47} \end{array} \begin{array}{l} \text{შეზრდის სიბრტყის კოორდინატები:} \\ Ng = 30^\circ \text{ შეზრდის სიბრტყე} \\ Nm = 62,5^\circ (010) \\ Np = 82,5^\circ \text{ პლაგ. № 50} \end{array}$$
- $$B_{1-2} \begin{cases} Ng = 33,5^\circ \\ Nm = 59^\circ \\ Np = 79,5^\circ \end{cases} \begin{array}{l} \text{მრჩ. კანონი } \perp (010) \\ \text{პლაგ. № 53.} \end{array}$$

<sup>1</sup> პორფირიტული ქანების ჩვენი ნიმუშების ქიმიური ანალიზი შესრულებულია ა. ვარშამოვის და ნ. ბრეგვაძის მიერ.

ამავე მარცვლის (010) ტექნადობის P-ს კოორდინატები:

$$P_{1-2} \begin{cases} Ng = 33^\circ \\ Nm = 60,5^\circ \\ Np = 78^\circ \end{cases} \quad \begin{array}{l} \text{სიბრტყე (010)} \\ \text{პლაგ. № 54} \end{array}$$

წარმოდგენილია ფსევდომორფოზები კარბონატისა, დაქვემდებარებული ქლორიტით, როგორც ჩანს, პლაგიოკლაზის მიმართ. ზოგჯერ შესამჩნევია ქლორიტის იდიომორფული დამოუკიდებელი ფირფიტები; გაურკვეველია, რა მინერალის ჩანაცვლებას უნდა წარმოადგენდეს, უფრო პირველადის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ეპიდოტი თითქმის არ გვაქვს, რაც ძალიან დამახასიათებელია. ბისილიკატის არსებობის უტყუარი ნიშნები არ ჩანს.

შლ. № 334/35—მკვრივი, მუქი რუხი ქანია.

ძირითადი მასა მურა-რუხი, უხვად შეიცავს მადნეული მინერალის (მაგნეტიტის) მიკრო-მარცვლებს. პლაგიოკლაზის მიკროლითები სპორადულად. ნახევრად კრისტალური (უთუოდ ჯანმრთელი) ბაზისი, ცალკე შემადგენლები ვერ გამოიყოფა.

პლაგიოკლაზის ფენოკრისტალები საკმაოდ სალი, თუმცა ჩანართებს (ძირითადი მასა, ეპიდოტი, ქლორიტი და მადნის მინერალი) უხვად შეიცავს.

ეპიდოტი ბლემად. ღია მოყვითალო-მომწვანო. ხშირად ჩანართად პლაგიოკლაზში. არის ძარღვის სახითაც. ზოგჯერ მინარევების გავლენით მურა ტუქყიანი, მუქი. ქლორიტი ცოტა, ჩაოდენობით ეპიდოტს ჩამორჩება.

მადნის მინერალი ჩვეულებრივი სახით. აპატიტი აქცესორული შემადგენლის როლში.

პლაგიოკლაზის მრჩობლის გაზომვის შედეგი:

$$B_{1-2} \begin{cases} Ng = 43,5^\circ \\ Nm = 56^\circ \\ Np = 68^\circ \end{cases} \quad \begin{array}{l} \text{მრჩ. ღერძი შეზრდის სიბრტყის } \perp\text{-ა,} \\ \text{კანონი } \perp \text{ (010)}^1 \\ \text{პლაგ. № 77.} \end{array}$$

№ 296/34 და 255/34 ხასიათდებიან მინდალინებით. განსაკუთრებით მდიდარია ამ უკანასკნელით მეორე ნიმუში. შლიფის ფართის 40%-ს მინდალინები შეადგენენ. მინდალინების ამოვსება: წვრილაგრეგატული კვარცის თუ ქალცედონის თხელი ქერქი და შემდეგ მთავარი მასა, —მწვანე, მოშავო-ლურჯი ანომალური ინტერფ. ფერებით, სუსტად პლეოქროული, ღრუბლურ-ტალღებრივი ზედაპირის ქლორიტი; ზოგჯერ ქლორიტთან ერთად კარბონატიც (ქერქისაკენ განლაგების ტენდენციით). ზოგჯერ გარკვეული ზონურობა ჩანს: კვარცის შემდეგ კარბონატი და ცენტრში ქლორიტი. იშვიათად მინდალინებში მადნის ნივთიერების ლაქებია შესამჩნევი. ზოგჯერ კვარცის ქერქს გარედან წვრილაგრეგატული მადნის ნივთიერების წყვეტილი ზოლი აქვს (მაგნეტიტ-ილმენიტი). მინდალინები ფორმით წაგრძელებული, ძარღვისებური, ზოგჯერ შეკბილული, ზოგჯერ კიდევ შედარებით წესიერი—ოვალური.

<sup>1</sup> მიღებულ კოორდინატებს თითქმის უფრო მანებაზური მრჩობლი შეეფერება, (001) შეზრდის სიბრტყით (მაშინ პლაგ. № 82), მაგრამ ვიღებ რა მხედველობაში ამ კანონის იშვიათობას და ლოლოჩნიკოვის მითითებას [9], ძალაში პირველს ვტოვებ.

**6. ატაქსიტური პორფირიტები**

ზემოაღწერილი ჯგუფები გენეტურად ერთი პეტროლოგიური ტიპის ვარიაციებს წარმოადგენენ,—მათი ურთიერთობა და ერთმანეთთან დაპირისპირება მხოლოდ ფაციესური შეიძლება იყოს. ამაზე მიგვითითებს, როგორც ქანების შედარებითი მიკროსკოპიული შესწავლა, ისე მათი ტერიტორიული გავრცელება და გეოლოგიური პირობები. შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ ამა თუ იმ ჯგუფის მეტ-ნაკლებ გავრცელებაზე, სტრატეგრაფიულ-გენეტიკური განცალკევებისა და გარკვეული ზონური ლოკალიზაციის კი არავითარი საბუთი არ გვაქვს. ზოგჯერ ერთი და იგივე მასივი ზენაჩენის ერთი ნაწილი ერთ სახესხვაობას გვაძლევს, მეორე კიდეც სხვას.

ფუქძეპლაგიოკლაზიან ავგიტიან თუ ამფიბოლიან პორფირიტებთან გენეტურად დაკავშირებულია განსხვავებული აგებულების ჰქონე ქანების ვრცელი ჯგუფი. მათ მეტ-ნაკლებად ცხადი არაერთგვაროვანი ბრექჩიული აგებულება ახასიათებს. ზოგჯერ ამგვარი ბუნება მხოლოდ მიკროსკოპში იჩენს თავს. მათი ნაწილი უთუოდ წარმოშობილია ამონთხევის დროს წინა ეფუზივის გაცივებული ქერქის დაწყვეტისა და შეტაცების გზით. ნაწილი კიდეც დაკრისტალეზის პროცესში პირობების შეცვლის შედეგად მიღებულ სტრუქტურულ ატაქსიტებს უნდა წარმოადგენდეს. ცხადია, წარმოშობის პირობების ყოველ ცალკე შემთხვევაში კონკრეტული აღდგენა თითქმის შეუძლებელი ხდება.

ბრექჩიული ლავები ორ ჯგუფად უნდა გავეყოთ: 1) მიკროატაქსიტები; მათ შეიძლება ვუწოდოთ კიდეც ტუფური ლავები. ამ ჯგუფში ისეთ ვულკანურ ბრექჩიებს ვათავსებთ, რომლებშიაც ცალკეული შემადგენლები მაკროსკოპიულად მკაფიოდ არ გამოიყოფიან და მხოლოდ მიკროსკოპში იჩენენ თავს. როგორც მთავარი მასა, ისე შეტაცებული მასალა თითქმის მუდამ ერთ გენეტურ სახეობას მიეკუთვნება. 2) ლავური ბრექჩიები,—როდესაც შემადგენელი ნატეხები შედარებით მოზრდილია და მაკროსკოპიულად მკაფიოდ გამოიყოფიან. მეტწილად ესენი ტიპიური ლავური ბრექჩიებია,—წინათ გაცივებული ნაკადის ნაჭრები, ლავის ახალი მასით შეცემენტებული. ზოგჯერ კი ქანი კონსტიტუციურ ატაქსიტს წარმოადგენს.

რა თქმა უნდა, ამ ჯგუფების ერთმანეთისაგან მტკიცედ გამიჯვნა ყოველად შეუძლებელია. ხშირად ქანის მიკუთვნება ამა თუ იმ ჯგუფისადმი პირობით ხასიათს იღებს.

პირველადი პლაგიოკლაზი მუდამ ფუქძე ბუნებისაა: ლაბრადორი და ლაბრადორ-ბიტოვნიტი, ან ზოგჯერ ბიტოვნიტი. ფერადი კომპონენტის მიხედვით აქაც ვაირჩევთ: ავგიტ-ამფიბოლიანი, ამფიბოლიანი, ან კიდეც თითქმის უბისილიკატო. ზოგ შემთხვევაში ქანში საკმაოდ მრავლადაა მინდალინები, ასე რომ შეიძლება ლაპარაკი მანდელშტაინურ ტუფურ ლავაზე (შლ. 295/345) ან ლავურ ბრექჩიაზე.

1) ავგიტიანი მიკროატაქსიტური პორფირიტის (ტუფური ლავის) ტიპიური წარმომადგენელი იქნება ნიმ. № 289/34 (ბარნალის დელის ზემო ნაწილიდან). არათანაბარი შეფერვის ბრექჩიული ჰაბიტუსის ქანია, მუქი რუხ-მწვანე, მოწითალო უბნებით, უბნებს შორის არამკვეთრი საზღვრით.

მიკროსკოპში: ატაქსიტური აგებულება,—ლავის ნაქრები ლავითვე შეცემენტებული.

განსხვავება მთავარ ლავასა და ნატეხებს შორის მხოლოდ ძირითადი მასის ხასიათშია, ისე კი ყველანი ავგიტ-ლაბრადორიან პორფირიტს მიეკუთვნებიან.

მოწითალო უბნების ძირითადი მასა, ბაზისში მაგნეტიტის მიკრომარცვლების დიდი სიმრავლის გამო, მთლიანად მუქ, თითქმის შავ, კორფლიან გაუმჭვირვალე მასას წარმოადგენს,—ჩანაცვლებულია რკინის ქანგით თითქმის მთლიანად; აქა-იქ პლაგიოკლაზის მიკროლითები. ჩანაწინწყლების სახით: 1) საკმაოდ სალი პლაგიოკლაზი ძირითადი მასის ჩანართებით და კარბონატის გამონაყოფებით; ჩანართები ხან კონცენტრულადაა დალაგებული, ხან კიდევ მხოლოდ პრილის ცენტრში; 2) წვრილაგრეგატული კვარცი თუ ქალცედონი, მეტწილად ძარღვებრივი დაჯგუფების, ზოგჯერ კი იზოლირებული მარცვლების სახით; 3) ქლორიტის სრული ფსევდომორფოზები ავგიტის მიმართ. ხშირად ქლორიტი ასოციაციაშია ეპიდოტურ წვრილაგრეგატულ მიწერალთან. არის რელიქტიც სალი პიროქსენისა, ხშირია ოპაციტური ქერქი. წარმოდგენილია პიროქსენის დაშლის ცალკეული სტადიები: რკინის ქანგები ბზარების გასწვრივ, ეპიდოტის გამოყოფა და სხვ.

რუხ-მომწვანო უბნები განსხვავდება წითლისაგან უმთავრესად ძირითადი მასით: ეს უქანასქნელი აქ ჰიალოპილიტურია, კუქყიან მურა-ყვითელი ბაზისით; წვრილი ქლორიტის წყალობით მომწვანო ელფერი აქვს. პლაგიოკლაზი თითქოს უფრო დაშლილი და ჩანართებით მდიდარია. ჩანს, ძირითადი მასა, ზოგჯერ პლაგიოკლაზიც, ძლიერ კარბონატიზებულია. კარბონატი ძარღვების სახითაც არის. კვარცი (აქაც მეორადი) შედარებით ცოტა. ქლორიტი მოზრდილი ფირფიტებრივი აგრეგატებით არის წარმოდგენილი (უთუოდ ფსევდომორფოზები), ხშირად კიდევ ძარღვების სახით; უქანასქნელ შემთხვევაში მას ზოგჯერ კვარცის თხელი ქერქი აკრავს.

პლაგიოკლაზის ფენოკრისტალის განსაზღვრის შედეგი მაგიდაზე (მოწითალო უბანში):

$$B_{1-2} \begin{cases} Ng = 55^\circ & \text{მრჩ. ლერძი შეზრდის სიბრტყეში ძევს;} \\ Nm = 81^\circ & \text{კანონი [001]} \\ Np = 33^\circ & \text{პლაგ. № 76.} \end{cases}$$

მეორე ნაწილში. Nm-ს  $\perp$  კრილში ჩაქრობის  $< 24^\circ$ ,—პლაგ. № 67.

პიროქსენის კონსტანტები (1-ლ უბანში):

$$2V = 58^\circ \text{ (ერთი გამოსავლით); } Ng - Np = 0,015; CNg = 48^\circ.$$

ამ ნიშნების მიხედვით პიროქსენი ავგიტს მიეკუთვნება.

აღსანიშნავია ამ შლიფში ავგიტის შეცვლის სხვადასხვა სურათის არსებობა:

ა) ზოგჯერ გარე ქერქი სალი ავგიტის, შიგნით კი ქლორიტი ავგიტის რელიქტით; ბ) ზოგჯერ ქერქი ქლორიტის, შიგნით კიდევ—მთლიანად კარბონატი, საზღვარი მათ შორის ძლიერ უსწორმასწოროა; გ) ხშირად სრული



ჩანაცვლება მარტო ქლორიტით, შიგ მწვანე წმინდააგრეგატული ეპიდოტური მინერალის ჩანათებით; დ) ზოგჯერ კიდევ სრული ჩანაცვლება ყვითელ-მურა-ქანგისფერი წვრილაგრეგატული ეპიდოტური მინერალით (უფრო ქლორიტის და ეპიდოტის ნარევი უნდა იყოს); ე) დასახელებული მეორადი მინერალების სხვადასხვა კომბინაციები.

ზოგიერთი უფრო რთული ბუნებისა ჩანს. ასე მაგალითად, ნიმ. № 108/36 (ხუნევის მიდამოებიდან), შლ. № 197/35 (ტყემთის აღმოსავლეთ ფერდობიდან, მთავარ წყალგამყოფზე) რთული ბუნების ტუფურ ლავას (მიკროლავურ ბრექჩიას) უნდა წარმოადგენდნენ.

მიკროსკოპში (№ 197) სხვადასხვა უბნებისაგან შედგება: 1) მინური ბაზისი თითქმის უმიკროლითოდ, წვრილი, ზოგჯერ დაკუთხული, პლაგიოკლასის და კვარცის მარცვლებით; მადნის მინერალი უხვად (რის გამო ფერი მუქი). ბისილიკატით ღარიბი; არის მცირეოდენი წვრილი სახემეცვლილი ამფიბოლი. შეიცავს ქლორიტს; ეპიდოტი თითქმის არ ჩანს; კარბონატიც ძალიან ცოტა.

2) კვარცის და პლაგიოკლასის დაჯგუფების წვრილი ქსენოლითისებური უბნები.

3) უბანი საშუალო სიდიდის სალი პლაგიოკლასით. უნდა იყოს დიაბაზური პორფირიტის ნამტვრევი. პლაგ. № 55 (PM ⊥ კრილში ჩაქრობა 29°. სიმეტრ. ჩაქრ. მაქს. <(010) ⊥ კრილში 30°).

4) პორფირიტის ნამტვრევი.—მიკროლითებიანი ძირ. მასა; ჩანაწინწყლებად: მადნის მინერალი, პლაგიოკლასი, ამფიბოლი.

პლაგიოკლასი ყველა ნაწილში ფუძე ბუნებისაა.

გარდამიგაღს ტიპიურ ლავურ ბრექჩიებში წარმოადგენს ქანი № 50/34, ბლიხევის ხეობის შუა ნაწილიდან.

გარეგნულად ბრექჩიული ჰაბიტუსის ქანია. ნატეხების სიდიდე ზოგჯერ 10 სმ-დე აღწევს. გამოიყოფა მუქი, თითქმის შავი და მომწვანო უბნები.

მიკროსკოპში სხვადასხვა ლავის ნამტვრევებისაგან შედგება:

1) რუხ-მწვანე ჰიპოკაზიტი ძირითადი მასა; პლაგიოკლასის ჩანაწინწყლები, ქლორიტი (ძალიან ბევრი) და კარბონატი. ძირითადი მასა საგრძობლად აღემატება ჩანაწინწყლებს.

2) მუქი, თითქმის შავი მინა, პლაგიოკლასის პატარა ჩანაწინწყლებით და ქლორიტით. ამ უკანასკნელს ქალცედონის ქერქი აკრავს, — უთუოდ პორის ამოვსებაა.

3) შუალედი ხასიათის ლავის ნატეხები.

რაოდენობით ყოველ ნატეხში ძირითადი მასა სკარბობს. გაბატონებულს პირველი 2 ტიპი წარმოადგენს: მასში თითქოს ცურავენ დანარჩენები.

ეს ქანი უნდა იყოს წარმოშობილი ლავის განფენის ქერქის გარღვევის შედეგად, ასე რომ უფრო მიკროლავურ ბრექჩიას უნდა წარმოადგენდეს, ვიდრე სტრუქტურულ ატაქსიტს.

2) უბისილიკატო ან მთლიანად შეცვლილი გაურკვეველი ბისილიკატიანის კარგი დამახასიათებელია ნიმ. № 295/34 ბარნალის დელის ზედა ნაწილიდან.

მუქი რუხ-მომწვანო არათანაბარი შეფერვის კარბონატიზებული ქანია (HCl+). შეიძლება ვუწოდოთ მინდალინებიანი მიკროატაქსიტური პორფირიტი.

წარმოადგენს პორფირიტის ნატებს, მოქცეულს პორფირიტულ ქანშივე. სქარბობს ძირითადი მასა. დიდი ფენოკრისტალები, როგორც ჩანართში, ისე მთავარ ქანში, თითქმის არ ჩანან, ასე რომ აფირულ ქანს უახლოვდება. ძირითადი მასა საშუალოა ვიტროფირულსა და ჰიალოპილიტურს შორის; შავ-ლაქებიანი, მურა მორუხო-მომწვანოა, ძლიერ ქლორიტიზებული, სუსტად განმინებული ბაზისით.

მთავარ ნაწილში ორი სხვადასხვა ზომის პლაგიოკლაზის PM-ს  $\perp$  კრილში ჩაქრობა  $37^{\circ}$ — $38^{\circ}$ ,—№ 70. მესამე ასეთივე კვეთის ჩაქრობა— $10^{\circ}$ ,—პლაგ. № 10—11; სხივების მაჩვენებლის მიხედვითაც ემჩნევა, რომ ალბიტია. ჩანართში ასეთივე კვეთის მარცვლის ჩაქრობა  $0^{\circ}$  უდრის,—№ 20—21. სხვა დაკვირვებიდანაც ცხადად ჩანს, რომ პლაგიოკლაზი ორსავე ნაწილში ნაწილობრივ დენორტიტიზებულია. ზოგჯერ ერთსა და იმავე მარცვლის ერთი ნაწილი ალბიტიზებულია (უბნობრივად), დანარჩენი კი ფუძეა. მიკროჩანაწინწკლები შედარებით საღი ჩანან.

პლაგიოკლაზის დაშლის პროდუქტებია: კალციტი, ქლორიტი, ზოგჯერ ოპალი ან ქალცედონი.

ბისილიკატი არ ჩანს. არის პრობლემატური ჩანაცვლებები ქლორიტ-ეპიდოტისა (2—3 მარცვალი).

ქანის დამახასიათებელია საერთოდ ბისილიკატი სილარიბე და ამ უკანასკნელის სრული დაშლა, ძლიერი ქლორიტიზაცია, საგრძნობი კალცინაცია (ჩანაცვლებები და ძარღვები) და მინდალინები ამოვსილი ქლორიტ-კარბონატით (უმთავრესად პირველით). მინდალინებში ქლორიტი ძლიერ არის დამტვერილი (მადნის მინერალით?); ცენტრული ნაწილი ჩვეულებრივ მწვანეა, გარე კი—მურა-ყვითელი.

მრავლად არის მაგნეტიტი, როგორც პატარა ჩანაწინწკლების, ისე მტვრის სახით ძირითად მასაში; ხშირად შერეულია ქლორიტთან და კარბონატთან.

ამგვარად ეს ქანი საკმაოდ ჭრელი ბუნების ქანია.

აღსანიშნავია, რომ ერთი შეხედვით ალბიტიზაციის თითქოს მარტო ჩანართში ლოკალიზება ნამდვილად არ მართლდება,—ალბიტიზაცია ამ შემთხვევაში უფრო შემდგომი მოვლენაა და ორივე ნაწილს ერთნაირად შეეხება.

დაახლოებით ასეთივე ხასიათისაა, მხოლოდ კიდევ უფრო რთული აგებულების, ქანი 175/35 (ტყემთის მიდამოებიდან), რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა იმ მხრივ, რომ ერთ-ერთ მის შემადგენელ ნატებს გაკვარცება განუცდია. ან ეს პროცესი აღრინდელია და, მაშასადამე, ამ ქანის ჩამოყალიბებამდე უკვე არსებობდა ამგვარი გარავიკებული პორფირიტი, ან კიდევ, შესაძლებელია, შერჩევითი გაკვარცება თუ მოხდა ქანის ამ ნაწილის ალბათ შედარებით ხელსაყრელი სტრუქტურის გამო. ვფიქრობ, რომ უფრო მეორეს უნდა ჰქონდეს ადგილი.

ლავურ ბრეჭჩიებში, როგორც ვთქვით, ვათავსებთ იმ ქანებს, რომლებსაც მკაფიო, თვალცხადი ბრეჭჩიული აგებულება აქვთ და ამავე დროს ხშირად უდავოდ სხვადასხვა გენერაციის ნაწილებისაგან შედგებიან: 1) წინა ამონთხვევების შეტაცებული ნაკრებისა და 2) შემაკავშირებელი შემდგომი

ლავისაგან. აშკარაა, რომ საზღვარი ატაქსიტებთან არ შეიძლება იყოს მკვეთრი. გენეტური და მორფოლოგიური ნიშნის თანახმად, რომელიც საფუძვლად დავუდევით ჩვენს დაჯგუფებას ქანებისას, ეს სავესებით გასაგებიც არის. ასევე ძნელია ამ ჯგუფის გამიჯვნა ე. წ. ტუფ-ლაგებისა და განსაკუთრებით ტუფ-ბრექჩიებისაგან, რომელზედაც ქვემოთ იქნება ლაპარაკი.

ამ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ № 261/35—ძირულის ხეობიდან, № 116/34 და 120/34—გოლათუბნის ღელის ქვედა ნაწილიდან და სხვა.

შლ. № 261/35—არაერთგვაროვანი აგებულების ქანია. შემადგენელი ნაწილები: ა) ლავის ნამკვრევი. ვიტროფირული ამორფული მასა პლაგიოკლაზის ჩხირებით და პატარა ჩანაწინწყლებით, მადნეული მინერალით და ცოტადენი ქლორიტით.

ბ) უბანი დაშლილი მურა მუქი მომწვანო ბაზისით (ქლორიტი+მადნის ნივთიერება და დაშლის სხვა პროდუქტები), პლაგიოკლაზის მიკროლითებით და სხვადასხვა ზომის ჩანაწინწყლებით, კვარცით, დაშლილი ბისილიკატით, ქლორიტით და მადნის მინერალით.

გ) პორფირიტი მოზრდილი ზონური მინდვრის შპატით და მურა-მწვანე, ზოგჯერ მოყვითალო, სხივური ამფიბოლით; შეიცავს ავგიტის ერთ მარცვალსაც. ძირითადი მასა ძალიან მცირე რაოდენობითაა.

სპეციალური შესწავლით ირკვევა, რომ ამფიბოლი ორგვარია:

1) მწვანე-მოლურჯო. ხასიათდება მაღალი ორმაგი სხივტებით;  $N_g - N_p = 0,027$  (ორი მარცვლის გაზომვის შედეგი, შლიფის სისქე დე-შონით);  $CN_g = 20^\circ - 21^\circ$ .

2) ყვითელ-მწვანე.  $N_g - N_p = 0,022$ ;  $CN_g = 28^\circ$ ;  $2V = -68^\circ$  (ორი გამოსავლით). პირველი აქტინოლითს მიეკუთვნება, მეორე კი ჩვეულებრივ რქატყუარას. პლაგიოკლაზის გაზომვის შედეგი: პირველ უბანში პატარა მარცვლის ჩაქრობა  $PM \perp$  კრილში  $32^\circ$  და  $35^\circ$ ,—№ 60—66.

მესამეში: (010)-ს  $\perp$  სიმეტრიულ ზონაში ჩაქრობის მაქსიმ.  $< 35^\circ - 38^\circ$ , პლაგ. № 64—67. ამავე ნატეხში ზონური მარცვლის  $PM$ -ს  $\perp$  კრილში ჩაქრობის მიხედვით გარე ზონის ნომერი 56; მაგიდაზე ცენტრული ნაწილის გაზომვით კი:

მრჩობლის ღერძის კოორდინ.

$$B_{1-2} \begin{cases} N_g = 40^\circ & \text{მრჩ. ღერძი შეზრდის} \\ N_m = 66,5^\circ & \text{სიბრტყის } \perp\text{-ა, კანონი } \perp (010); \\ N_p = 60^\circ & \text{პლაგ. №82.} \end{cases}$$

ქანი № 116/35 აგრეთვე სხვადასხვა ნაწილისაგან შედგება:

ა) წმინდამარცვლოვანი ძირითადი მასა (პლაგიოკლაზი, ქლორიტი, მადნეული მინერალი), შედარებით საღი პლაგიოკლაზის ჩანაწინწყლები, ქლორიტის ფსევდომორფოზები ეპიდოტთან და კარბონატთან ერთად, ამფიბოლის რელიქტები.

ბ) დამორჩილებულ რალში პორფირიტი მურა ძირითადი მასით, წვრილი კვარცით, მოყვითალო ამფიბოლით და ქლორიტით. თავის მხრივ მიკრობრექჩიული აგებულება აქვს თითქოს.

გ) კიდევ უფრო მცირე, აგრეთვე პორფირული სტრუქტურის ნატეხი; განსხვავდება პირველისაგან ძირითადი მასით: მორფული მინური ბაზისი პლაგიოკლაზის მიკროლითებით.

ქანს საერთოდ მეორადი გაკვარცება ემჩნევა.

პლაგიოკლაზი ყველა ნაწილში თითქმის ერთგვარია.

მაქსიმ. ჩაქრობა (010)-ს  $\perp$  ზონაში  $30^{\circ}-32^{\circ}$ , რის მიხედვით პლაგ. № 55, მრჩობლის მეთოდით:

მრჩ. ლერძის კოორდინატები

$$B_{1-2} \begin{cases} Ng = 32,5^{\circ} \\ Nm = 60,5^{\circ} \\ Np = 79^{\circ} \end{cases} \begin{array}{l} \text{მრჩ ლერძი შებრდის სიბრტყის } \perp\text{-ა} \\ \text{კანონი } \perp (010), \\ \text{პლაგ. № 53.} \end{array}$$

პირველ უბანში ამფიბოლის პლეოქროიზმი: Ng-ზე მუქი მწვანე, Np-ზე —ქუჭყვიან-ყვითელი, მურა.

კონსტანტები:  $Ng-Np=0,030$  (შლიფის სისქე კვარციით),  $CNg=14^{\circ}-15^{\circ}$ . აქტივობითი უნდა იყოს, თუმცა ბაზალტურთანაც ძალიან ახლოს დგას.

ყავისფერი ამფიბოლი მეორე უბნიდან. კრილი თითქმის პერპენდიკულარულია Ng-სი: პლეოქროიზმი Nm-ზე—მუქი მურა, Np-ზე—ღია მოთეთრო, ყვითლის ელფერით.  $2v=-86^{\circ}$  (ერთი გამოსავლით);  $Nm-Np=0,012$ ;  $CNg=16^{\circ}$ . უნდა იყოს ბაზალტურსა და ჩვეულებრივს შორის შუალედი ტიპის ამფიბოლი.

### 7. დიაბაზური პორფირიტები

პორფირიტები სრულკრისტალური დიაბაზურ-ოფიტური ძირითადი მასით, რომლებსაც ჩვეულებრივ დიაბაზურ პორფირიტებს უწოდებენ, ჩვენს რაიონში იშვიათი გავრცელებით სარგებლობენ.

ტიპიურ წარმომადგენლებს უნდა მივაკუთვნოთ № 203/35—ტყემთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ფერდიდან და № 3/34—სოფ. ქარტალის მიდამოებიდან, ლიასის ქვიშაქვების გამკვეთი სქელი შრეძარღვიდან.

სხვა ადგილებიდანაც ზოგიერთი ნიმუშის ძირითადი მასა თითქოს უახლოვდება დიაბაზურს, მაგრამ მეორადი პროცესების ღრმა გავლენის, ქანის ინტენსიური დაშლისა და სახეცვლის გამო სურათი კარგად არ ირკვევა: პლაგიოკლაზის ჩხირებრივ პრიზმებს შორის მინის თუ ბისილიკატის შეცვლის პროდუქტებია, აუხსნელი რჩება. ასეთი ქანები შედარებით გავრცელებულია: № 275/34—წიაღის ღელის ზედა ნაწილიდან, № 109/34—გოლათუბნის ღელის ქვედა ნაწილიდან და სხვ. სწორედ ამგვარი ტიპის წარმომადგენლებია. მათ სტრუქტურა პორფირული აქვთ; ძირითადი მასა ინტერსერტალურია, ძლიერ სახეშეცვლილი. დიდი ცვლილებები განუცდიათ ფენოკრისტალებსაც; განსაკუთრებით ბისილიკატს,—თითქმის მუდამ მთლიანად მეორადი მინერალებით არის ჩანაცვლებული (ქლორიტი, ეპიდოტი, რკინის ვანგი, ზოგჯერ კარბონატი, კვარცი, იშვიათად პრენიტი).

შლ. № 203/35. მუქი რუხი, სუსტად მომწვანო, მარცვლოვანი ქანია. მდიდარია პირიტის მიკროჩანაწინწყლებით.

მიკროსკოპში—ოფიტური სტრუქტურის ძირითადი მასა გრძელი ჯოხებრივი პლაგიოკლაზით, ქლორიტი და წვრილი მადნეული მინერალით (ბისილიკატის შეცვლის შედეგად).

ფენოკრისტალები საღი ზონური პლაგიოკლაზის; მაქსიმ. ჩაქრობა (010)-ს  $\perp$  სიმეტრიულ ზონაში  $28^{\circ}-32^{\circ}$ ,—№ 50—55.

მრჩობლის მიხედვით:

მრჩობლის ლერძის  
კოორდინატები  $B_{1-2} \begin{cases} Ng = 34,5^\circ \\ Nm = 59,5^\circ \\ Np = 79,5^\circ \end{cases}$  მრჩ. ლერძი შეზღუდის სიბრტყის  $\perp$ -ა,  
კანონი  $\perp$  (010).  
პლაგ. № 54—55.

პატარა მარცვლების ჩაქრობა  $PM \perp$  კრილში:

- 1)  $< 37^\circ$ , პლაგ. № 65. სიმეტრ. ჩაქრობითაც იგივე შედეგი გამოდის.
- 2)  $< 11,5^\circ$ , პლაგ. № 30 (როგორც ჩანს, დენაორტიტიზებულია).

საშუალო ზონური მარცვალი. ჩაქრობა: ა) გარე ზონის,  $26,5^\circ$ , — № 48.

ბ) შიგა ზონის  $28,5^\circ$ , — № 55.

ჩხირებიც მაქსიმ. ჩაქრობის მიხედვით (PM ზონაში) ლაბრადორის რიგისაა, დაახლოებით № 60.

არის სახეშეცვლილი, ჩანაცვლებული ბისილიკატი. ჩანაცვლებებმა ქლორიტით, ეპიდოტით, კვარცით, მადნის ნივთიერებით; რელიქტები ამფიბოლისა და ავგიტის.

ბისილიკატის ერთი დიდი მარცვალი სახეცვლის საინტერესო სურათს იძლევა: ავგიტი ნაწილობრივ გადასულია ამფიბოლში, რომელიც თავის მხრივ ქლორიტით იცვლება; ამ უკანასკნელს ეპიდოტიც ახლავს.

პიროქსენის  $CNg = 36^\circ - 40^\circ$ ;  $Ng - Np = 0,027$  (შლიფის სისქე კვარცით). ამ ნიშნებით ის ძალიან უახლოვდება დიოპსიდს.

ქანი შეიცავს დაშლილი ლავის ქსენოლითს (ქლორიტით, მადნის მინერალით, ოპალით და ეპიდოტით).

ნთელ შლიფს ჰკვეთს „ქუჭყიანი“, რუხ-ყვითელ-მომწვანო ეპიდოტის და მადნის მინერალის ძარღვი.

ქანი შეიცავს პირიტის ჩანაწინწყლებს. ემჩნევა მასთან გაკვარცება (წვრილაგრევატული მომრგვალო მარცვლების უბნობრივი გროვა).

საერთოდ ქანი გამოირჩევა დიაბაზური ძირითადი მასით, ავგიტის სახეცვლის ხასიათით, ეპიდოტის დიდი რაოდენობით, ძლიერი ქლორიტიზაციით, გაკვარცებით, პირიტიზაციით, კარბონატის არარსებობით და პლაგიოკლაზის სისაღით.

მომყავს ამ ქანის ქიმიური ანალიზის შედეგი (ცხრ. 7).

ცხრილი 7

(წონით %-ით)

მანგები	SiO <sub>2</sub>	TiO <sub>2</sub>	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	FeO	MnO	MgO	CaO	Na <sub>2</sub> O	K <sub>2</sub> O	SO <sub>2</sub>	ხურობ. ნაკრები	H <sub>2</sub> O	ჯამი
ნიმუში														
203/35	53,23	0,82	18,84	3,33	4,25	0,14	4,24	8,35	1,29	0,83	1,49	3,07	0,16	100,04

მაგნური ფორმულა

$3,45 \overline{RO} 2,05 R_2O_3 8,86 SiO_2; 1,68 \overline{RO} R_2O_3 4,32 SiO_2; R_2O:RO=1:10,5; x=1,85.$

ქიმიზმის შესახებ იგივე უნდა შევნიშნოთ, რაც ზემოთ სხვა ნიმუშების შესახებ ითქვა. მხოლოდ ეს ქანი მათგან ოდნავ შემცირებული მჟავიანობით (მიუხედავად გაკვარცებისა) და საგრძნობლად განსხვავებული  $R_2O:RO$ -ით გამოირჩევა. ეს გარემოება მეორადი პროცესების გავლენას უნდა მიეწეროს (ძლიერი ებიდოტიზაცია და სხვ.).

ნიმ. № 3/34 ხასიათდება წვრილ- და საშუალომარცვლოვანი მასით, რომელიც შედგება წვარძელებული პლაგიოკლაზის, ქლორიტის (ავსებს ადგილს პლაგიოკლაზს შორას) და მადნის მინერალისაგან. აქა-იქ წვრილი ავგიტი.

სხვადასხვა ზომის პორფირული გამონაყოფები წარმოდგენილია ნაწილობრივ დაშლილი (ემჩნევა საგრძნობი ქლორიტიზაცია), ნაწილობრივ კი საღი ფუძე პლაგიოკლაზით, მონოკლინური პიროქსენით და ქლორიტის ფსევდომორფოზებით. შეიცავს ცოტათუნ კარბონატს.

დიაბაზურ პორფირიტებს შორისაც გაირჩევა ალბიტოზებული ქანები. ასეთია ნიმ. № 284/34—წიალის ღელის ზედა ნაწილიდან (განლაგების პირობები არ ირკვევა კარგად. ძველი კრისტალური კომპლექსის გამკვეთი ქანი უნდა იყოს). წმინდამარცვლოვანი, მკვრივი კარბონატიზებული ქანია ( $HCl+$ ).

ძირითადი მასა, როგორც ჩანს, ინტერსერტალურია (აბუნდოვანებს სურათს მეორადი პროცესები): პლაგიოკლაზის გრძელი ჯოხებრივი მრჩობლური პრიზმები და მათ შორის მწვანე ქლორიტის ხშირი ბადებრივი ქსელი. ქლორიტის აგრეგატებს ხშირად ამხოლოებს გადაკრისტალებული მინა. ქლორიტში და განმინებულ მასაში მაგნეტიტის უამრავი პაწაწა მომრგვალო და კუბიკური წერტილია. პლაგიოკლაზის გრძელ პრიზმებს შორის ნემსისებური ჩხირები ჩანს,—ალბათ, განმინების დროს გამოყოფილი. პლაგიოკლაზის პრიზმები დაცხრილულია სერიციტ-კარბონატით. ძირითად მასაში არც თუ იშვიათია წყლისებრ სუფთა კვარცის საშუალო ზომის მარცვლები. აგრეთვე ხშირია კარბონატის უწყსო გროვები, ზოგჯერ კი წესიერი ფსევდომორფოზები პატარა და დიდი ფენოკრისტალების მიმართ.

შლიფში კვარც-ქალცედონის სფეროლითებია, გარე ქერქი კალციტით ან ქლორიტით არის წარმოდგენილი.

პლაგიოკლაზის ფენოკრისტალები მცირე რაოდენობით. ახასიათებთ ისეთივე ზედაპირი, როგორც ძირითადი მასის „ჯოხებს“: დაცხრილვა კარბონატით და სერიციტით.

ჯოხებრივ აგრეგატებს თითქმის სწორი ჩაქრობა აქვთ, ზოგჯერ აღწევს  $-10^{\circ}$ -მდე.  $n$  გარკვეულად ნაკლებია ბალზამის  $n$ -ზე, ასე რომ ალბიტურ რიგს მიეკუთვნებიან. ასეთსავე ჩაქრობას იჩენენ ნემსისებური აგრეგატებიც. ფენოკრისტალებიც ალბიტური რიგისაა. ბისილიკატი არ ჩანს. საკმაო რაოდენობითაა კალციტის დიდი კრისტალები. მათ ზოგჯერ რომბოედრული კვეთის მოხაზულობა აქვთ, ერთგან კი ბისილიკატის ფორმის; შესაძლებელია კარბონატით მთლიანად ჩანაცვლებული ბისილიკატის კრისტალები იყოს.

ქლორიტის მოზრდილი იდიომორფული მარცვლები, მადნის მინერალის ფენოკრისტალური აგრეგატები და ოპაციტიზებული მარცვლები არ ჩანას. აპატიტიც არ არის.

### 8. კვარციანი პორფირიტები

კვარციანი პორფირიტები წარმოადგენენ საღ, მკვრივ, რუხი ელფერის ქანს თვალთადასარჩევად კვარცის 1—3 მმ (იშვიათად მეტი) მარცვლებით. მათში ხშირია ჩანართები ავგიტიანი და ავგიტ-ამფიბოლიანი პორფირიტების, რაც ამ ჯგუფის შემდგომ ამოფრქვევაზე მიგვითითებს. გოლათუბნის ლელეში მათ გვერდით არის ტუფოგენი ბუნების კვარციანი ქანებიც; კარგად არ ირკვევა—ისინი კვარციანი პორფირიტების ეფუზივებთან არიან გენეტურად დაკავშირებული, თუ კვარცით იმპრენირებულ შედარებით ძველ ქანებს წარმოადგენენ. სავსე შეთხვევებისა და მასალის ამგვარი თვითაზიარებით წინასწარი შესწავლის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ უფრო პირველ მოვლენას უნდა ჰქონდეს ადგილი, ე. ი. ეს ქანები კვარციანი პორფირიტების ამონახვევების თანადროულ, იმავე ვულკანური კერების ამონახვევად ფხვიერ პროდუქტებს უნდა წარმოადგენდნენ.

მიკროსკოპში მკაფიო (ტიპიური) პორფირული სტრუქტურით ხასიათდებიან.

ძირითადი მასა მურა-ყვითელ-მორუხო, წმინდამარცვლოვანი, თითქმის მუდამ სუსტად დაკრისტალეზებული (მარცვლოვანი) მინური ბაზისით არის წარმოდგენილი, მეტ-ნაკლებად გაჭუჭყიანებულია რკინის ქანგით და პელიტური ნივთიერებით. ემჩნევა ზოგჯერ ფლუიდურობა. ძალიან იშვიათად პლაგიოკლაზის მიკროლითი შეიძლება შეენიშნოს შიგ (შლ. № 202/34). ძირითად მასაში ჩვეულებრივ შეიძლება გავარჩიოთ აგრეგატები კვარცის, მთავრად პლაგიოკლაზის, მადნის მინერალის, ზოგჯერ რელიქტი ამფიბოლის (იშვიათად, მაგალ. № 219).

ზოგჯერ ძირითად მასას კარბონატიზაცია ემჩნევა (№ 125/34, № 96ა და სხ.); გაქლორიტება ზოგ შემთხვევაში ძლიერია, ზოგჯერ კი სუსტი—თითქმის შეუმჩნეველი. პელიტური ნივთიერება ხშირად მტვერავს ძირითად მასას, განსაკუთრებით პირველადი მასალის ინტენსიური დაშლის დროს; ასეთ შემთხვევაში ძირითადი მასა მეორადი კვარცით მდიდრდება.

ჩანაწინწყლები წარმოდგენილია ანდეზინის რიგის პლაგიოკლაზით, კვარცით, ამფიბოლით ან ქლორიტით ამფიბოლის ხარჯზე, ძალიან იშვიათად პრობლემატური პიროქსენით, ზოგჯერ კიდევ ქლორიტიზებული ბიოტიტით, მადნის მინერალით და აპატიტით.

პლაგიოკლაზი იდიომორფული, ზოგჯერ შელრნილი გვერდებით, ზოგჯერ ზონური, ხშირად სალი. მეტ-ნაკლები სიუხვით შეიცავს ძირითადი მასის და მეორადი მინერალების ჩანართებს, ზოგჯერ იკვეთება ძირითადი მასით; მრჩობლები მარტივი და პოლისინთეზური, მეტწილად რთული  $\frac{1}{100}$ , არის (010)

ალბიტური და პერიკლინურიც, ან მათი კომბინაცია. დაშლისას მურა-ყვითელი, მტვრიანი და ჭუჭყიანი ხდება; დაშლის პროდუქტებია: პელიტური ნივთიერება, კარბონატი, სერიციტი, ეპიდოტ-ციოზიტური მასა, ზოგჯერ ოპალი ან კვარცა, ზოგჯერ აგრეთვე ქლორიტიც; სხვადასხვა ნიმუშებში ეს მასალა სხვადასხვა-

გვარი თანაფარდობით არის წარმოდგენილი. ინტენსიურად დაშლილი ინდივიდები ძირითადი მასისაგან აღარც კი გამოირჩევა (№ 112, 125). უდიდესი მარცვლის ზომა ჩვეულებრივ 1—2 მმ ფარგლებს არ სცილდება.

ცხრილი 8

ნიმუშის №	სადაურობა	მრჩობლის ღერძის (B)					მრჩობლის კანონი	პლაგიოკლასის ნომერი	შენიშვნა
		კოორდინატები			დამოკიდებულება შებრუნის სიბრტყესთან	მრჩობლის კანონი			
		Ng	Nm	Np					
66/36	ძირულის ხეობიდან	70°	21,5°	82,5°		⊥ [100] (010)	40		
235/34	ნაკალოვარის ლელ. 1)	70,5°	19°	89°		⊥ [100] (010)	38		
	2)	67,5°	23°	84°		⊥ [100] (010)	40		
112/34	გოლათუბნის ლელ. 1)	75°	16°	85,5°		⊥ [010] (010)	37		
	2)	70,5°	20°	83°		⊥ [100] (010)	39		
125/34	" " 1)	26,5°	64°	87°		⊥ (010) (010)	45 <sup>1</sup>	<sup>1</sup> შესაძლებელია ბაიენური—(021), მაშინ პლაგიოკლ. № 38	
	2)	მაქსიმ. სიმეტრ. ჩაქრობა (010)				⊥ კვეთში = 26°	46		
184/34	ს. წიფიდან					" = 19°	35		
202/34	მწვ. ხატისერი					PM-ს ⊥ კვეთის ჩაქრობა = 26°	46		

როგორც გაზომვებიდან ჩანს (ცხრილი 8), პლაგიოკლასი მუდამ ანდეზინის რიგითაა წარმოდგენილი; ნომერი იშვიათად თუ ასცილდება 45-ს, მხოლოდ ერთ შემთხვევაში მივიღეთ, (010)-ს ⊥ ზონაში მაქსიმ. ჩაქრობის მეთოდით, ლაბრადორი № 56, მაგრამ ეს ქანი უფრო მეორად გაკვარცხულ პორფირიტს უნდა წამოადგენდეს, ვიდრე პირველად კვარციანს (№ 273/34—წილის ლელიდან).

კვარცი ჩვეულებრივ შემლვალ-რეზორბირებული გვერდებით, ოვალურ-მომრგვალო, ზოგჯერ ილიომორფულობის ნიშნებით; თითქმის მუდამ ძირითადი მასის ბუდებრივი ჩანართით ან ძარღვისებურად გაკვეთილი ამ უკანასკნელის მიერ; მტვრისებური წინწყლები ზოგჯერ ზონრების მაგვარად; მეტწილად არაკატაკლახური, ზოგჯერ კი მკაფიოდ ტალღებრივი (№ 235), ზოგ შემთხვევაში მოზაიკურიც (№ 184). ჩვეულებრივ საკმაო რაოდენობითაა, ზოგჯერ კი მხოლოდ 2—3 მარცვლის სახით არის (ნიმ. № 202).

ფერადი მინერალი, როგორც ჩანს, თითქმის მუდამ რქატყუარით ყოფილია წარმოდგენილი. მეტ-ნაკლებად დაშლილია, ქლორიტიზებული (№ 125, 112, 66/36). ზოგჯერ მთლიანად არის დაშლილი. ასეთ შემთხვევაში ჩანაცვლებულია



ან მარტო მინარეგებიანი ქლორიტით (235), ან სხვადასხვა მეორადი მინერალების ასოციაციით (ქლორიტი, ეპიდოტი, მადნეული ნივთიერება; ზოგჯერ  $\text{SiO}_2$  და კარბონატი). ერთ-ერთ ქანში (№ 184) არის ოპაციტიზებული მარცვალის. გარჩეული 10 შლიფიდან მხოლოდ ერთში შეგვხვდა შედარებით სალი ამფიბოლი, რომლის კონსტანტების გარკვევაც მოხერხდა (შლ. № 219):  $\text{Ng}-\text{Np}=0,017-0,018$  (შლიფის სისქე კვარცით);  $\text{CNg}=16^\circ$ ;  $2V=-68^\circ$  (ერთი გამოსავლით); ჩვეულებრივ რქატყუარას წარმოადგენს. სრული ჩანაცვლებების შემთხვევაშიაც ხშირად ფორმა და მეორადი მასალის საერთო ხასიათი თავდაპირველად ამფიბოლის არსებობას უდავოდ ხდის.

იშვიათად ამფიბოლის გვერდით ქლორიტიზებული ბიოტიტის ერთეული ფირფიტებიც ჩანს (შლ. 112 და 66).

ერთ შემთხვევაში მეორადი მინერალებით ჩანაცვლებულ ბისილიკატს ქრილში ავეგიტური ფორმა აქვს; შლიფში ჩანს ავეგიტის რელიქტიც (ნ. № 202); ამფიბოლის არსებობის დამადასტურებელი ნიშნები არ ჩანს. აღსანიშნავია, რომ ეს ქანი კვარცით შედარებით ღარიბია და მასთან პლაგიოკლაზიც უფრო ფუძეა, ვიდრე ამფიბოლიანებში. ქანი მდიდარია ეპიდოტით.

კვარციანი პორფირიტების ექცესორულ ლეიკოკრატულ შემადგენელს წარმოადგენს აპატიტი, მეტწილად იდიომორფული, ჩანართების სახით ფენოკრისტალებში. მადნის მინერალის როლი ხშირად საკმაოდ მნიშვნელოვანია.

მეორადი მინერალები სხვადასხვა ნიმუშში სხვადასხვა ინტენსივობითაა განვითარებული. პირველ რიგში აღსანიშნავია ქლორიტი, რომელიც თითქმის მუდამ არის ან დამოუკიდებელი ფირფიტების სახით, ან ჩანაცვლებებში სხვა მინერალებთან ერთად—აქ ის ასოციაციაშია კარბონატთან, ეპიდოტთან და მადნის მინერალთან.

ასევე ეპიდოტიც ხშირად არის დამოუკიდებლად წვრილი და დიდი იზორირებული მარცვლების თუ ჯაჭვებრივი დაჯგუფების სახით, ზოგჯერ ძარღვად კვარცთან ერთად; ზოგ შემთხვევაში ის სუფთა მკრთალი ყვითელ-მწვანეა, ზოგჯერ კი—მურა „კუჭყიანი“, უთუოდ მადნის ნივთიერების შერევის გამო (შლ. № 125); როლი ძლიერ ცვალებადია,—ზოგ ნიმუშში ის უმნიშვნელო რაოდენობითაა, ზოგჯერ კი უხვად არის (შლ. № 202); აგებულების, ფერის, ფორმის და სხვა ნიშნების მიხედვით არ განსხვავდება დანარჩენი პორფირიტების ეპიდოტისაგან.

კარბონატი კალციტით არის წარმოდგენილი. დამოუკიდებელი აგრეგატები იშვიათია, ჩვეულებრივ თანამგზავრობს სხვა მეორად მინერალებთან. ზოგჯერ ძარღვსაც იძლევა.

ფენოკრისტალების დაშლის შედეგად ძილებული მეორადი მინერალებიდან აღსანიშნავია კიდევ წვრილქერცლა სერიციტი და ეპიდოტ-ციოზიტური მისა, ზოგჯერ აგრეთვე პელიტური ნივთიერება; ყველაფერი ეს ჩვეულებრივ პლაგიოკლაზის დაშლის პროდუქტებია.


მეორად მინერალებს შორის ხშირად არის რკინის ქანგი და ზოგჯერ კვარც-ქალცედონი.

კვარციანი პორფირიტების ქიმიური ბუნების დასახასიათებლად მომყავს-ერთ-ერთი ნიმუშის ქიმიური ანალიზი (ნიმ. № 94/34—გოლათუნის ლელის ქვედა ნაწილიდან, ცხრ. 9).

ცხრილი 9

ქანგები ნიმუში	SiO <sub>2</sub>	TiO <sub>2</sub>	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	FeO	CaO	MgO	MnO	K <sub>2</sub> O	Na <sub>2</sub> O	SO <sub>3</sub>	H <sub>2</sub> O	ხურობ. დახარკი	ჯამი
№ 94/34	69,51	0,56	16,89	1,05	1,92	3,10	1,52	0,10	1,17	3,11	0,39	0,18	0,72	100,22

მაგმური ფორმულა



ანალიზის მიხედვით ქანი მეავე პორფირიტების ჯგუფში ხვდება. ის ძალიან ახლო დგას ლევისონ-ლესინგის მიერ მოცემული დაციტების საშუალო ტიპთან [8].

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წიფის ნეონტრუზივის კონტაქტის ზოლში გავრცელებული კვარციანი პორფირიტები გარაგავიკებას განიცდიან. სილიციფიკაცია აქ კონტაქტური გავლენის შედეგია. ამ მოვლენის კარგ სურათს გვაძლევენ შლ-ბი: № 184, № 187, № 188 (ს. წიფის მიდამოები, მდ. წიფის-ლელის მარცხენა ფერდი), ნაწილობრივ № 219 (მდ. ორხევის მარცხენა ქედ-დან) და სხვ.

ამ ნიმუშების ძირითადი მასა წვრილმარცვლოვანია, მეტად მდიდარია კვარცის პატარა აგრეგატებით და შეიცავს კონტაქტისათვის დამახასიათებელ პაწაწა, მომწვანო-მოყავისფრო ბიოტიტის ქერცლებს. კვარცის წვრილი აგრეგატები ხშირად დაჯგუფებულია უბნებად და ± ნიკოლებში „მოზაიკის“ ფსევდოკატაკლაზურ შთაბეჭდილებას სტოვებს. ამგვარ უბნებში ზოგიერთი აგრეგატი შედარებით მოზრდილია. პლაგიოკლაზი გაცილებით დამორჩილებულ როლშია. კვარცისებური მარცვლები ნაწილობრივ ალბიტს წარმოადგენენ. წვრილქერცლა ბიოტიტსაც ემჩნევა უბნებრივი შეჯგუფება, როზეტებრივი დალაგება და სხვ. ძირითადი მასის ჩანაცვლება კვარცით, ისე როგორც ეს პორფირიტული წყების სხვა ქანებს წიფის ინტრუზივთან კონტაქტში ახასიათებს, ამ შემთხვევაშიაც ტიპიურია. ქანის პირველადი ბუნება მაინც კარგად იჩენს თავს: კვარციან პორფირიტობას უდავოდ ამტკიცებს კვარცის დიდი პირველადი ფენოკრისტალები და ანდეზინის რიგის (№ 35—37) პლაგიოკლაზის ასეთივე ჩანაწინწყლები. რომ კვარცის დიდი მარცვლები პირველადია და არა კონტაქტის შედეგი—წვრილი მარცვლების დიდი ნაწილის მსგავსად, იქიდან ჩანს, რომ მარცვლები ფორმით, ჩანარებით, სუსტი კატაკლაზით და, რაც მთავარია, ნახევრად კრისტალური ძირითადი მასის ძარღვებრივი და ბუდებრივი შექრებით სრულიად ანალოგიურია ამ რაიონისათვის დამახასიათებელი ტიპიური კვარციანი პორფირიტების კვარცისა.

ამგვარად, წიფის ინტრუზივს კვარციან პორფირიტებზე გარკვეულად მოუხდენია კონტაქტური ზეგავლენა. ეს გარემოება ამტკიცებს ამ ეფუზივების შედარებით ადრინდელ ასაკს, რაც ბაიოსურ კომპლექსში კვარციანი პორფირიტების მოთავსების სასარგებლოდ ლაპარაკობს.

### 9. ტუფ-ლავები

ამ ჯგუფში ვათავსებ იმ ქანებს, რომლების ბუნება ხშირად ისეთია, რომ შეუძლებელია გაირკვეს—ქანი პორფირიტია, თუ ტუფი: ის ერთნაირად ატარებს ორივეს დამახასიათებელ ნიშნებს. უდავოა ტუფური ელემენტების მონაწილეობა, მაგრამ ამავე დროს ქანი ტიპური ტუფი არ არის, საგრძნობია აგრეთვე პორფირიტის ელემენტების სიძლიერეც. ზოგჯერ ქანს არაერთგვაროვანი აგებულება ემჩნევა, მიკროატაქსიტურ-ბრეჩიული. ეს ჯგუფი ახლოს დგას ერთი მხრივ ტუფურ ლავებთან—ხშირად ძალიან ძნელი გასარჩევია ხდება მათგან და, მეორე მხრივ—კრისტალურ ტუფებთან.

შერეული ბუნების გამო მას სწორედ ტუფ-ლავების სახელი უფრო შეეფერება (შემოღებულა 1882 წ. აბიხის მიერ).

მეორადი პროცესები ამ შემთხვევაშიაც კიდევ უფრო ართულებენ ისედაც ძნელად გასარჩევ სურათს.

საკმაოდ დიდი გავრცელებით სარგებლობს, განსაკუთრებით ტყემთის პორფირიტების პერიფერიულ ნაწილებში: წიაღის და ბარნალის ლეღებში, ჩხერიმელის გასწვრივ, ბჟინურის აუზში და ძირულის ხეობაში (ნადაბურ-ლიჩის ზოლში).

ტიპურ წარმომადგენლებად უნდა ჩავთვალოთ ნიმუშები: № 30/34, 32/34, 33/34 და 34/34 ბარნალის ლელის შუა ნაწილიდან, № 246/34, 249/34, № 252/34 და 260/34—წიაღის ლელის ზედა ნაწილიდან, № 47/36—ნადაბურის მიდამოებიდან და სხვ.

ჯგუფის თავისებურება ნათელი ხდება დამახასიათებელი ნიმუშის აღწერიდან. ნიმ. № 33 და 34 რუხ-მომწვანო-მოიისფრო, მკვრივი, გაურკვეველი სტრუქტურის ქანებია, თითქოს უფრო ბრეჩიული. ძირითადი მასა—პელიტომორფული, მურა-მღვრიე, სუსტად ქლორიტიანი, არამკაფიოდ მარცვლოვანი; შეიცავს ქლორიტის ქსელს.

მთავარ მასაში ჩასმულია პლაგიოკლაზის მთლიანი თუ ნამტვრევი კრისტალები, ქლორიტის ფირფიტები, მოყვითალო-მოყავისფრო, ზოგჯერ თითქმის უფერო ეპიდოტური მინერალი, მინური ლავის ნატეხი, ქლორიტიან-პლაგიოკლაზიანი წმინდამარცვალა რაგავიკული ძირითადი მისის მქონე (ამ მასაში წვრილი კვარცი) პორფირიტის ნამსხვრევი (შლ. 33). მაგნეტიტის მარცვლები ნაწილობრივ გადასულია ჰიდროქსიდებში ან ჰემატიტში. ქანი კარბონატიზებულია. ბისილიკატი არ ჩანს,—უთუოდ მეორადი მინერალებითაა ჩანაცვლებული. ქლორიტი ასოცირებულია ეპიდოტით, ხშირად მათთან ერთად არის კარბონატიც. ზოგჯერ კი ეს მინერალები დამოუკიდებლად არიან. მეორად მინერალებს შორის არის პრენიტიც; ის ერთგან თითქმის მთლიანად ანაცვლებს პლაგიოკლაზს.

პლაგიოკლაზი ფუძე და ალბიტიზებული; ზოგიერთი მარცვლის ერთი ნაწილი ალბიტიზებულია, მეორე ნაწილი კი ფუძე ბუნებისაა. მაგიდაზე გაზომვის შედეგი (შლ. № 33):

$$1) \quad B_{1-2} \begin{cases} Ng = 52^\circ \\ Nm = 85^\circ \\ Np = 38^\circ \end{cases} \quad \begin{array}{l} \text{მრჩ. ლერძი შეზრდის სიბრტყის } \parallel\text{-ა.} \\ \text{კანონი } [001] \\ \text{პლაგ. № 80} \end{array}$$

2) პლაგიოკლაზის პატარა მარცვლის PM  $\perp$  ქრისტის ჩაქრობა  $40-41^\circ$ , № 78-80.

ჩანართ რაგავიკულ პორფირიტში პლაგიოკლაზის (010)-ს  $\perp$  კვეთში ჩაქრობა  $31^\circ$ , — № 53.

შლ. № 252/34—მუქი რუხი, მომწვანო ელფერით, მიკრობრექჩიული-ჰაბიტუსის ქანია პირიტის იშვიათი ჩანაწინწყლებით.

მიკროსკოპში—ძლიერ სახეშეცვლილი. შედგება ორი ნაწილისაგან:

1) ღია ელფერის, მკრთალი მწვანე, ოდნავ პლეოქროული, ტალღებრივ-ღრუბლებრივი, თითქმის იზოტროპული ქლორიტი და ამ უკანასკნელით შეკავშირებული პლაგიოკლაზის სხვადასხვა ზომის ლეისტები. ქლორიტში მინის რელიქტები ჩანს. მასშივე, პაწაწა მარცვლების სახით, ხან იზოლირებულად, ხან კი ჯაჭვისებურ და დატოტილ გროვებად, ზოგჯერ ქლორიტის მარცვლის გარშემო წვრილ წყვეტილ რკალად—პირიტი უნდა იყოს. ამ ნაწილს ოფიტური სტრუქტურის სახე აქვს, მაგრამ ეს უთუოდ მეორადი მოვლენაა: ქლორიტი მინის ხარჯზე უნდა იყოს წარმოშობილი. პლაგიოკლაზი მდიდარია ჩანართებით და ზონურად განლაგებული მეორადი პროდუქტებით (კალციტით, უფრო ნაკლებად ქლორიტით); არის საღი გამჭვირვალე უბნებიც, მეტწილად გარე ზონებში; ზოგჯერ მკაფიოდ ზონური, რიტმული; ზომები პატარა პრიზმებიდან დიდ კრისტალებამდე; მიეკუთვნება ლაბრადორის რიგს (სიმეტრიული ჩაქრობის მიხედვით).

2) ამორფული ძირითადი მასა აქა-იქ პლაგიოკლაზის ნემსისებური მიკროლითების ჰიალოპილიტური დანაგროვით. მურა-ყვითელი; უბნა-უბნა კარბონატიზებული, პლაგიოკლაზის პატარა იდიომორფული და უწყსო მარცვლები. უწყსო ფორმის ქლორიტი, ხშირად გროვის სახით—თითქოს პორებს ავსებს, ასეთ შემთხვევაში მადნის ნივთიერების შავი თხელი ქერქია შესამჩნევი. პლაგიოკლაზი მიკრომარცვლებიდან დიდ ფენოკრისტალებამდე. პირველ ნაწილთან შედარებით უფრო კარბონატიზებული (ზოგჯერ სრულ ფსევდომორფოზამდე) და ჩანართებით მდიდარი. იშვიათად გამჭვირვალე საღი უბნები. ფუძე ანდეზინ-ლაბრადორის რიგისაა. მეტწილად არაიდიომორფულია.

ქლორიტი სხვადასხვა ზომის, წვრილაგრეგატული, ლურჯი ანომალური ინტერფ. ფერებით, უწყსო მოხაზულობის. ანაცვლებს პლაგიოკლაზს, ზოგჯერ თითქმის მთლიანად. ხშირად ასოციაციაშია ლეიკოქსენთან ან ტიტან-მაგნეტიტთან. ხასიათდება ზოგჯერ ქალცედონის თხელი ქერქით.

მადნეული მინერალი ამ ნაწილში შედარებით ცოტა და უფრო დიდი მარცვლების სახითაა. აქა-იქ პირიტი.

ქლორიტის ზოგიერთი ფორფიტა მადნეულ მინერალთან ერთად ბისილიკატის ჩანაცვლებას უნდა წარმოადგენდეს. პორები ერთ ნაწილში უხვად, მეორეში კი მცირე რაოდენობით. ქანი თითქოს ატაქსიტური პორფირიტია, მაგრამ მეორე ნაწილის საერთო ხასიათი უფრო ტუფური ბუნებისაა კენ ხრის აზრს. ნამდვილად ქანი საშუალოა ტუფსა და პორფირიტს შორის.

დაახლოებით ანალოგიური ბუნებისაა შლ. № 260/34.

ძირ. მასა შედგება მღვრიე, მუქი რუხი ამორფული ბაზისისაგან (განმინებული მინა თუ ფერფლი), აქა-იქ პლაგიოკლასის ნემსებით, შეიცავს მრავლად კალციტის მარცვლებს და ქლორიტს. არაერთგვაროვანია. უბნებად ძლიერ მუქი, თითქმის შავი, რკინის ქანგის მასა (უთუოდ მეორადი), რომელშიაც სხედან პლაგიოკლასის პაწაწა მარცვლები და მიკროჩანაწინწყვლები.

ამ მასაში უხვად არის პლაგიოკლასის და ნაწილობრივ ქლორიტის, მეტწილად უფორმო, ზოგჯერ კი იდიომორფული, სხვადასხვა ზომის ფორფიტები.

მარცვლების დაკუთხული, შეჭრილ-შემოჭრილი, ზოგჯერ უწყისო მოხაზულობა, არაკანონზომიერი განაწილება და სხ. ნიშნებს ტუფური ბუნების ქანებთან აახლოებს.

პლაგიოკლასი საკმაოდ საღია, შეიცავს კალციტის გამონაყოფებს და ზოლებად პელიტურ ნივთიერებას, იშვიათად ქლორიტიზებული ძირითადი მასის ჩანართებსაც. ჩანს ზოლები (ზოგ ინდივიდში ბადისებური) და წაგრძელებული უბნები შედარებით დაბალი გადატენის მანევრებით. გაზომვა მათ არ უხერხდება. ალბიტინაციის შედეგი უნდა იყოს,

კარბონატიზაცია გარკვეულად ამ პროცესის შემდგომია, — კალციტის წვრილი ძარღვი ხშირად ჰკვეთს ალბიტინებულ ზოლებს.

პლაგიოკლასს ზონალობა არ ემჩნევა. მრჩობლები მარტივი და რთული.

გაზომვები:

1) ალბიტური მრჩობლის (010)-ს  $\perp$  ზონაში მაქსიმ. სიმეტრიული ჩაქრობის მიხედვით № 65—70;

2) შევამასიან უბანში PM  $\perp$  პატარა კვეთის ჩაქრობა  $40^{\circ}$ , — № 78; ყვარინანობის მიხედვით მაგიდაზე ესევე ნაწილი № 79.

3) მიკროლითების მაქსიმ. ჩაქრობა PM ზონაში  $30^{\circ}$ , — № 55.

ამგვარად, პლაგიოკლასი სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვაგვარია. მთავარ ნაწილში ის უფრო ნაკლებფუძოვანი ჩანს.

შლიფში ბისილიკატი მთლიანად ჩანაცვლებულია. მის ადგილზე ქლორიტის და ეპიდოტ-კალციტის წვრილგარეგატული მასაა, რკინის ქანგით. ხშირია ოპაციტური ქერკი ან თითქმის მთლიანად ჩანაცვლება რკინის ქანგით. იშვიათად ქლორიტიზებული ამფიბოლის რელიქტიც ჩანს.

მადნის მინერალი მაგნეტიტის და მარტიტის სახით.

არის ეპიდოტის რამდენიმე წვრილი, ქლორიტნარევი მარცვალი, ხან უფრო, ხან მადნეული მინერალით გამუქებულ-გაჭუჭყიანებული.

საერთოდ ქანი ძლიერ ქლორიტიზებულია. კარბონატიზაცია საშუალო ხარისხითაა.

ქანი მიკროატაქსიტური ბუნების ტუფ-პორფირიტს წარმოადგენს.

ნიმ. № 47/36 გარეგნულად მკვრივი, ერთგვაროვანი რუხი ქანია.

მიკროსკოპში მქლავნდება არაერთგვაროვნება; შედგება სხვადასხვა უბნებისაგან, უმთავრესად მინური ლავების ნამტვრევებისაგან. გამოირჩევა: პორფირიტი ჰიალოპილიტური მინურ-ბაზისიანი ძირითადი მასით, რომელშიაც უხვადაა მადნის მინერალის მტვერი; ფენოკრისტალებად სუსტად დაშლილი, ზონური, ჩანართებიანი პლაგიოკლასი და ქლორიტი. სხვადასხვა მინური ლავის ნამსხვრევები.

ერთ ნამტვრევში პლაგ. №—(010) ⊥ კვეთში მაქს. სიმეტრ. ჩაქრობის მიხედვით—70-ა.

მეორე უბანში (რთული, გაურკვეველი ძირითადი მასით) იმავე მეთოდით პლაგიოკლაზის ნომერი 86-ა. მრჩობლის გაზომვით უნივერსალურ მაგინდაზე—№ 82.

ქანს ახასიათებს საერთოდ ძლიერი ქლორიტიზაცია. ემჩნევა სერიციტიზაცია. შეიცავს ოპალის გამონაყოფებს. მადნის მინერალი უხვად. ეპიდოტის 2—3 მარცვალი. არის უბანი ქლორიტიანი მინდალინებით (უთუოდ ჰიდროქსიმურ მიმორადი სიცარიელე); ქლორიტი შემორკალულია ქალცედონის ქერქით.

ამ ჯგუფის ალბიტიზებულ წარმომადგენლებში მეორადი პროცესები კიდევ უფრო ართულებენ სურათს და აძნელებენ ქანის ნამდვილი ბუნების გარკვევას. ასეთია ნიმუშები № 30/34, 32/34, 246/34, 249/34 და სხვ.

მათში პლაგიოკლაზის მიკროლითები № 15—16-ა; პატარა მარცვლების ჩაქრობა PM-ს ⊥ კვეთში ხშირად 2°—9°,—ნომერი 21—26.

პლაგიოკლაზის შედარებით მოზრდილი მარცვლებიც ალბიტის ან ალბიტოლიგოკლაზის რიგს მიეკუთვნებიან: ყვითელი ინტერფერენციული ფერი, დაბალი n, გაზომვები (როცა ეს უხერხდება), მოყვითალო-ქანგისფერი ზედაპირი და სხვა ამას უდავოს ხდიან. მრჩობლობა მკრთალი, ზონალობა სუსტი, მეორადი პროდუქტები მტვრისებურად, ჩანართები ძირითადი მასის, მაგნეტიტის და ქლორიტის; მეტ-ნაკლებად დაცხრილულია სერიციტ-კარბონატით. გვერდები ხშირად დაზიანებულია. ის ზოგჯერ თითქმის მთლიანად არის კარბონატით ჩანაცვლებული. ძლიერი შეცვლის და მეორადი პროდუქტების თუ ჩანართების სიუხვის გამო ზუსტი გაზომვა ხშირად არ უხერხდება. დაშლის და სხეცვლის მეტად ინტენსიურ სურათს იძლევა ნიმ. № 246. გარეგნულად შავი, მკვრივი, მინისებური ქანია მოვარდისფრო-მოიისფრო სხვიდასხვა ზომის უსწორმასწორო უბნებით. მიკროსკოპში—ძლიერ სახეშეცვლილი, ჰიდროქსიმურად გარდაქმნილი, გაკვარცხული; გაურკვეველი რჩება პირველადი ბუნებით პორფირიტია თუ ტუფი.

შედგება თითქმის მარტო მეორადი მინერალებისაგან. წარმომადგენს მთლიანად წმინდამარცვლოვან ღია-მორუხო, დალაქავებულ მასას, რომელიც შედგება ქლორიტული ნივთიერების ხლართის, კვარცის უამრავი წვრილი აგრეგატის, პელიტური ნივთიერებისა და უთუოდ პლაგიოკლაზისაგან. კვარცი დაჯგუფებულია ზოლებად, უბნებად და ბუდებრივად; რამდენიმე მარცვალი შედარებით მოზრდილია. არის უბნები შემდგარი მთლიანად რკინას ქანგისაგან (მაგნეტიტი), ქალცედონის, კარბონატის და იშვიათად ქლორიტის მეტ-ნაკლები თანხლებით; ფორმის მიხედვით მთლიანად დისოცირებულ და მეორადი პროდუქტებით შეცვლილ ბისილიკატს უნდა წარმოადგენდეს; საგულისხმოა, რომ შიგ ზოგჯერ აპატიტის ჩხირებია მოქცეული. ზოგ შემთხვევაში წესიერი მოხაზულობის უბნები ღია ფერისაა, შიგ რკინის ქანგი ან სრულებით არ არის, ან უმნიშვნელოდ,—გაბატონებელია კარბონატი; უთუოდ პლაგიოკლაზის ჩანაცვლებებია. მადნის ნივთიერება მეტწილად ლაქებად ან ძარღვისებურ

ჯროვებად, იშვიათად იდიომორფული პატარა მარცვლების სახით. აქა-იქ პლაგოიოკლაზის ჩხირები, კრისტალები.

აღსანიშნავია თავისებური ასოციაციები წმინდამარცვლოვანი კარბონატის, ქლორიტისა და ქალცედონის, რკინის ქანგით მუქ მურა კუჭყიან-მწვანედ შეღებილი. ზოგჯერ ჩანს წყვეტილი ოპაკიტური ქერქი, შესამჩნევია აგრეთვე კვარცის თუ ქალცედონის რკალური განლაგება. ასეთი უბნები სიცარიელებების ამოვსების შთაბეჭდილებას სტოვებენ.

### 10. მახვი ტუფები

მეტ-ნაკლებად ცხად, მასივ ტუფებში, რომელნიც ზემოაღწერილ ავგიტიან ან ავგიტ-ამფიბოლიან პორფირიტებთან არიან გენეტურად დაკავშირებული, ჩვენ შეიძლება გავარჩიოთ ძირითადად შემდეგი ტიპები: ა) კრისტალური, ბ) აგლომერატული და გ) ტუფბრექჩია. არის პელიტური ტუფისმაგვარიც (ნიმ. № 269/34), მაგრამ არა სავსებით მკაფიო ბუნების.

ბუნებრივია, ტუფოგენების კომპლექსშიც გვაქვს ალბიტზებული ქანები. მართალია, ზოგჯერ ამ ქანებში ალბიტური ან ალბიტ-ოლიგოკლაზის რივის პლაგოიოკლაზის არსებობა გაზომვებით უდავოდ მტკიცდება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ძლიერი დაშლის გამო, გაზომვები თითქმის არ ხერხდება და პლაგოიოკლაზის ბუნებაზე მსჯელობა მხოლოდ საერთო ნიშნების მიხედვით თუ შეიძლება. ამგვარი ქანები უმთავრესად ჩხერიმელის ხეობაშია გავრცელებული. მეტწილად მათი გავრცელება ლოკალიზებულია მასივი ფაციესის პერიფერიულ ნაწილებში და მასთან სტრატეგრაფიულად თითქოს შედარებით ქვედა პორიზონტებში.

ა) ნიმ. № 261/34 ბარნალის ლელის ქვემო ნაწილიდან, № 70/36—ხუნევის მიდამოებიდან და 2/34 წიადის ლელის ზემო ნაწილიდან შეიძლება მივიღოთ კრისტალური ტუფების წარმომადგენლად.

რუხი, მოიხფრო და ზოგჯერ მომწვანო ელფერით, წმინდამარცვლოვანი კალციტიანი ქანებია. სიჰევე ზოგჯერ მოქმედებს.

მიკროსკოპში—ძლიერ სახეშეცვლილი ტუფური ქანი (პალაგონიტურ-კრისტალური სახეობა). № 261-ში შლიფის 60% მეტი კარბონატის აგრეგატებს უჭირავს, 20—30% შავ რკინის ქანებს და დანარჩენი კი ნახევრად ამორფულ მიკრომარცვლოვან მასას.

მრავლად შავი ნივთიერება—ცენტრულ ნაწილში ღია რუხი კარბონატის მიკრომარცვლებით, მაგნეტიტია. ნაწილი შეიძლება ლეიკოქსენიცი იყოს. წვრილ მასაში მეორადი კვარცის თუ ქალცედონის წვრილი მარცვლები და კარბონატის უხვი გამონაყოფებია შესამჩნევი. შავი ნივთიერება ± ნიკოლებში ზოგჯერ მურა-ყვითელ ინტერფერენციულ ფერებს იძლევა, ალბათ ბისილიკატის (ამფიბოლის?) ჩანაცვლებაა კარბონატით და რკინის ქანგით.

არც ერთი პირველადი სალი მინერალი არ ჩანს. მოხაზულობის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ქანში ყოფილა პლაგოიოკლაზის მარცვლები. კალციტის ნაწილი უთუოდ პლაგოიოკლაზის ფსევდომორფოზებს წარმოადგენს. ღია უბნებში და ზოლებში გამჭვირვალე მინერალის მიკროაგრეგატებია შესამჩნევი, ალბათ პლაგოიოკლაზია (ალბიტი?).

ეპიდოტი და ქლორიტი ზოგჯერ სრულებით არ ჩანან. ზოგჯერ კარბონატთან ერთად ფსევდომორფოზებში ქლორიტიც არის (ნ. 2/34).

ალბიტიზებული კრისტალური ტუფის ტიპური წარმომადგენელია ნიმ. № 70/36.—გარეგნულად მკვრივი მომწვანო ქანია. მიკროსკოპში—სტრუქტურა ბრეჩჩიული. წვრილმარცვლოვანი მასა შედგება მურა-ყვითელი, დაშლილი ალბიტოლიგოკლაზის რიგის პლაგიოკლაზის ნამტვრევებისაგან, აგრეთვე მინის, ცოტაოდენი ავგიტის, ეპიდოტის, ქლორიტისა და კალციტისაგან. შემაკავშირებელი მასალა ამორფული, დაშლილი ვულკანური მასით არის წარმოდგენილი. უხვად შეიცავს მუქ მურა-მწვანე ნივთიერების ლაქებს (ნარევი ქლორიტისა და კარბონატის). დიდი მარცვლები იშვიათია. ქანი საკმაოდ კარბონატიზებულია.

ბ) აგლომერატულ ტუფებს უნდა მივაკუთვნოთ № 302/34—ბარნალის დელიდან, № 40/34—ბლიხევიდან, № 314/35, № 316/35, № 50/36—ძირულის ხეობიდან, № 78/36—ბენეფურის ხეობიდან და სხვ.

ნიმუში № 302—მორუნო-მოიისფრო ბრეჩჩიული ჰაბიტუსის ქანია. საშუალოა აგლომერატულ ტუფსა და მიკროტუფბრეჩჩიებს შორის.

მიკროსკოპში—ბრეჩჩიული სტრუქტურა. თიხიან-კარბონატული მასა როგორც ძირითადი ცემენტი. ამ მასაში სხედან ნამტვრევები: 1) პორიანი შავი მინური ლავის, პორები ამოვსილია ქლორიტით გარედან ქალცედონის ქერქით; 2) ქლორიტიზებული ბისილიკატის (ავგიტი?); 3) კარბონატიზებული პლაგიოკლაზის; 4) პორფირიტული ქანის: კარბონატიზებულ-ქლორიტიზებული ჰიალოპილიტური ძირითადი მასით და კარბონატიზებული პლაგიოკლაზის, გაქლორიტებული ბისილიკატის (ავგიტი?) და მადნის მინერალის ჩანაწინწყლებით და 5) მურა ლაქებრივი მინის.

ქლორიტის ფსევდომორფოზებთან დაკავშირებულია ძლიერი ოპაციტიზაცია. ქლორიტი ზოგჯერ ავსებს დიდ პორს. მას ჰყვეთს ქალცედონის ძარღვები.

პლაგიოკლაზი ძლიერი დაშლის გამო ვერ ისაზღვრება; ალბიტიზებული უნდა იყოს.

ასეთივე ბუნებისაა დაახლოებით № 40-ც. გამოირჩევა ქალცედონის არარსებობით, ეპიდოტის მონაწილეობით, კარბონატიზაციის შედარებით შესუსტებით და მეტად ძლიერი ქლორიტიზაციით. ზოგიერთი უბნისთვის ქლორიტი ძირითადი მასის როლს ასრულებს. ზოგ უბნებს კიდევ ძლიერი ამღვრევა ემჩნევა,—გათიხებული მინაა, თუ პირველადი თიხური მასა,—ვერ ირკვევა. ქანი უახლოვდება ტუფურ ლავეებს, მაგრამ უფრო აგლომერატულ ბრეჩჩიულ ტუფს წარმოადგენს.

ნიმ. № 78/36 ღია მწვანე ფერის მიკრობრეჩჩიული აგებულების ქანია.

მიკროსკოპში—შედგება პორფირიტის (გაურკვეველი ბისილიკატით), მინის და ალბიტიზებული (ი< ბალზამის ი-ზე) პლაგიოკლაზის ნამტვრევებისაგან. უხვად შეიცავს ეპიდოტს—ზშირად უწყსო მუქი მურა-მწვანე ჭუჭყიანი ძარღვებრივი უბნების სახით. შემაკავშირებელი მასა, აგრეთვე ჩანართი მასალაც, მდიდარია ქლორიტით და კარბონატით. ჩანს ფაუნა—Briozoa-ს წარმომადგენლები უნდა იყოს (ი. კაჭარავას აზრით).



ზოგიერთ ნიმუშში ავგიტის რელიქტი ჩანს (314/35 და 316/35). ცემენტი ზოგს გარკვეულად მერგელოვანი უნდა ჰქონდეს (316/35). მულამ შეიცავენ სხვადასხვა ფუძე ლავების მიკრონამსხვრევებს. რაოდენობით ზოგჯერ ნამტვრევები და შეტაცებული მინერალები სჭარბობენ, ზოგჯერ კიდევ შემაცემენტებელი წმინდამარცვლოვანი მასა (№ 50). ზოგიერთ ნიმუშში მონაწილეობენ ძველი კრისტალური მასივის ქანთა მინერალები: კატაკლაზური კვარცი, შეცვლილი ალბიტური პლაგიოკლაზი და ქლორიტიზებული ბიოტიტი. ამგვარი ქანები უახლოვდებიან გრაუვაკებს. ერთ-ერთ ასეთ ქანს ემჩნევა კონტაქტურ-პიდროთერმული გავლენა (50/36): ხასიათდება პირიტის ჩანაწინწყლებით და ძარღვებით, გაკვარცხებით და წვრილქერცლა ბიოტიტით.

გ) საკმაოდ მრავალრიცხოვანია ტუფბრექჩიების ჯგუფი, მეტწილად მიკროტუფბრექჩიული ხასიათის. მას მიეკუთვნებიან ნიმ. № 201/35 გოლათუბნის ღელისა და ბლიხევის წყალგამყოფიდან, № 89/36—ბეინურის ხეობიდან, № 108, 111 და 112/36—უხედურის ქვედა ნაწილიდან, № 245/34—წილის ღელიდან, № 299/34—ბარნალის ღელიდან და სხვ.

№ 201—მუქი რუხი, ბრექჩიული აგებულების ქანია. მიკროსკოპში სტრუქტურა ბრექჩიული.

მურა-ქუქყიანი მუქი ძირითადი მასა (ცემენტი),  $\perp$  ნიკოლებში წმინდააგრეგატული. ემჩნევა საგრძნობი ქლორიტიზაცია, სუსტი კარბონატიზაცია და ეპიდოტიზაცია.

ნამტვრევები, ხან მთლიანად შეცვლილი, ხან კიდევ წყლისებრ სუფთა, გამჭვირვალე, ზოგჯერ ზონური პლაგიოკლაზის. კვარცი, ზოგჯერ სუსტად ტალღებრივი. ეპიდოტი ბლომად, ზოგჯერ სუფთა, თეთრი, გაჭვირვალე (და მაშინ წვრილაგრეგატული).

ქლორიტი ჩვეულებრივი სახით; ასოციაციები ეპიდოტთან (უთუოდ ჩანაცვლებები ბისილიკატის) და ზოგჯერ კვარცთან. ხშირად სხივური, ყვითელი ინტერფერენციული ფერით.

შესამჩნევია წვრილი ფურცლები სერიციტის. დამახასიათებელია სუსტი კარბონატიზაცია. პლაგიოკლაზის გაზომვის (სალი მარცვლების) შედეგები:

1) (010)-ს  $\perp$  ზონაში სიმეტრიული ჩაქრობის მეთოდით ( $< 36,5^\circ$ ) პლაგ. № 65. 2) PM-ს  $\perp$  კვეთში ჩაქრობის მიხედვით ( $< 33^\circ$ )—№ 60. 3) მრჩობლის ღერძის კოორდინატებით:

$$B_{1-2} \begin{cases} Ng = 30^\circ,5 & \text{მრჩ. ღერძი შეზრდის სიბრტყის } \perp\text{-ა,} \\ Nm = 65^\circ & \text{კანონი } \perp (010). \\ Np = 72^\circ,5 & \text{პლაგ. № 60.} \end{cases}$$

ქანში შეტაცებული ლავის ნაჭრები ავგიტ-ლაბრადორიან პორფირიტს მიეკუთვნება.

ნიმ. № 89 მიკრობრექჩიული რუხ-მომწვანო ქანია. მიკროსკოპში—პორფირიტის ნამტვრევები შეცემენტებული ტუფური მასალით.

ნამტვრევების სახით: 1) პორფირიტი. მინური ბაზისი პლაგიოკლაზის მიკროლითებით, მადნის მინერალით და ქლორიტიზებული ბისილიკატით. ფენოკრისტალები სერიციტიზებული, ჩანართებით მდიდარი პლაგიოკლაზის. ქლორიტის დამოუკიდებელი იდიომორფული ფირფიტები და ფსევდომორფოზები. 2) გაქლორიტებული მინა სალი პლაგიოკლაზის ჩხირებით (ინტერსერ-

ტალური მასა); 3) გაქლორიტებული მინა; 4) ქვიშაქვის ნამსხვრევი; 5) დამწვარი (სერიციტიზებული) პლაგიოკლაზი. აღსანიშნავია კიდევ ეპიდოტის და ქლორიტის მარცვლები და მურა-მუქი ჯაჭვებრივი გროვები, აგრეთვე კვარცის ცალკეული მარცვლები.

შემაცემენტებელ მასაში ეპიდოტი უხვადაა. ქანისთვის საერთოდ დამახასიათებელია ეპიდოტიზაცია, ქლორიტიზაცია და სერიციტიზაცია. კარბონატი თითქმის არ ჩანს.

ტიბიურ ტუფბრეჭიებს წარმოადგენენ აგრეთვე № 108, № 111 და № 112.

პირველში შლიფის ერთი ნაწილი ტუფურ მასალას უჭირავს, მეორე — ლაბრადორიანი პორფირიტის ნამტვრევს. ტუფურ ნაწილს ახასიათებს ძლიერი ქლორიტიზაცია, პლაგიოკლაზის სხვადასხვა ზომის და ფორმის მარცვლები უწყსრიგოდ, კარბონატი, ცოტაოდენი ეპიდოტი, ოპაციტიზებული ბისილიკატი (მთლიანად შავი ნივთიერება); აქა-იქ კვარცი (არის კატაკლაზური მარცვალიც). პლაგიოკლაზი სერიციტიზებულია; ერთ მარცვალს ქალცედონის ქერქი აქვს.

პლაგიოკლაზი ტუფური ნაწილიდან:

მრჩ. ღერძის კოორდინატები  $B_{1-2}$   $\begin{cases} Ng = 33^\circ \\ Nm = 58^\circ \\ Np = 81,5^\circ \end{cases}$  მრჩ. ღერძი შეზრდის სიბრტყის  $\perp$ -ა, კანონი  $\perp$  (010), პლაგ. № 50.

შლ. № 111 ანალოგიურია საერთოდ № 118-ის, ხასიათდება შედარებით მეტი კარბონატიზაციით. აღსანიშნავია შეტაცებულ ნამტვრევებს შორის გაზავიკებული (?) ქანის ნაჭერის არსებობა; ეს უკანასკნელი წარმოადგენს ნარევს ქლორიტის, წვრილი კვარცის (შესაძლებელია ნაწილობრივ ალბიტიც) და მადნის მინერალისას.

პლაგიოკლაზი ტუფურ ცემენტში (სიმეტრიული ჩაქრობის მიხედვით) 46 ნომერია, რავიკულ ქანში № 50 (ზონურია) და პლაგიოკლაზური პორფირიტის ნამტვრევში № 55.

შლ. № 112-იც მიკრობრეჭიული აგებულების უბისილიკატო ქანია. შედგება ლავისა და მანის ნამტვრევებისაგან, რომლებსაც პელიტიზებული ვულკანური ფერფლი აკავშირებს.

ნამსხვრევები სხვადასხვაგვარია; ძირითადი მასა ზოგში წმინდამარცვლოვანი, ზოგში კი შედარებით მსხვილმარცვალა, მიკროლითებით, ზოგჯერ ხლართული და სხვ. შემაცემენტებელი მასა დანაწილებულია მურა-მუქი და მოშავო ქერქით შემოფარგლულ, დაკბილულკონტურებიან ცალკეულ უბნებად. ამგვარი უბნები ზოგჯერ მთლიანად წვრილი მადნის მინერალითაა ამოვსილი.

მინის ნატეხი ქლორიტის ნემსებითაა დასვრეტილი.

ლავის ნატეხის ძირითადი მასა ქლორიტიზებული და კარბონატიზებული ეპიდოტიზებულია. ამ მასაში გაფანტულია წვრილი პლაგიოკლაზის გრძელი ჯოხებრივი აგრეგატები; (010)  $\perp$  კვეთში მაქსიმ. ჩაქრობის მიხედვით № 55.

მეორე ნატეხში პატარა მარცვლის PM  $\perp$  კვეთში ჩაქრობა  $27^\circ$ , — პლაგ. № 50. საერთოდ ქანისათვის დამახასიათებელია: 1) ბისილიკატის არარსებობა —

ჩანაცვლებულებისა (კი, 2) ტიპური ეპიდოტის აგრეთვე არარსებობა. არის მხოლოდ მუქი მურა ნივთიერება—მჭიდრო ნარევი სხვადასხვა წვრილაგრეგატული მეორადი პროდუქტების, რომელშიაც შესაძლებელია ეპიდოტიც იღებდეს მონაწილეობას. 3) ძარღვებრივი და უბნებრივი გამონაყოფები ოპალის. შეიძლება იყოს ცეოლიტური მინერალიც.

კარბონატი ბლომად მარცვლების და ძარღვების სახით. არის კვარცის რამდენიმე პატარა მარცვალი, უთუოდ მეორადი.

პელიტურ მასაში ჩართული სუსტად ზონური პლაგიოკლაზი ფუძე რიგისაა; 4 თუ 5 მარცვლის გაზომვა სხვადასხვა მეთოდით თითქმის ერთსა და იმავე შედეგს იძლევა: № 65—70.

ნიმ. № 245—გრანიტების მახლობლად არის აღებული, ასე რომ ამ უბანში ის პორფირიტული წყების ქვედა ნაწილის დამახასიათებელია. ღია რუხი, მომწვანო ელფერის მკვრივი ქანია. გაირჩევა თვალით კვარცი, პირიტის მიკრომარცვლები და ლავის პაწაწა ნამტვრევები.

მიკროსკოპში—ჰიდროთერმული პროცესებით საკმაოდ სახეშეცვლილი მიკრობრექჩიული ქანია.

შეიცავს მრავლად კვარცის დაკუთხულ, ზოგჯერ კი მომრგვალო მოხაზულობის მარცვლებს, სიდიდით მიკროაგრეგატებიდან დიდ მარცვლებამდე; კვარცს ზოგჯერ ტალღებრივი ჩაქრობა ახასიათებს. წარმოდგენილია ნატეხები ძველი ალბიტის, პორფირიტული ლავის და მინის. შეიცავს აგრეთვე სერიციტიზებულ-პელიტიზებულ და კარბონატიზებულ მკვრე პლაგიოკლაზს. შემაცემენტებელი მასა—ამორფული მურა-მოყავისფრო პელიტურ-ტუფური.

აღსანიშნავია პირიტის იდიომორფული პაწაწა ჩანაწინწყლები; მცირე რაოდენობით მაგნეტიტიც არის. შესამჩნევია მუსკოვიტის რამდენიმე ფურცელა აგრეგატი.

ქანს ემჩნევა საკმაოდ ინტენსიური ჰიდროქიმიური შეცვლა კარბონატიზაციის და სილიფიკაციის გზით. ეს გარემოება სურათს ართულებს: ისედაც ძლიერ სახეშეცვლილი ფელდშპატი და შემაკავშირებელი მასა განიცდიან შემდეგ გაკვარცებას.

ფერადი კომპონენტი არ ჩანს; მხოლოდ რამდენიმე ადგილას ქლორიტის, კარბონატის და მალნის ნივთიერების ასოციაცია ბისილიკატის ჩანაცვლების შთაბეჭდილებას სტოვებს. ქლორიტიზაცია, ასე დამახასიათებელი მთელი წყებისათვის, ამ ქანს, მართალია, ემჩნევა, მაგრამ სუსტად,—მხოლოდ აქა-იქ არის შესამჩნევი ქლორიტის უწყსო პაწაწა ქერცლები. არც ეპიდოტი ჩანს.

კვარცი აშკარად ორგვარია: 1) ძველი კრისტალურა ქანებიდან შეტაცებული და 2) შემდგომი, ჰიდროთერმული. პირველი გამოირჩევა დამზარვით, შავი წინწყლებრივი ჩანართების ხაზებრივი დალაგებით და ტალღებრივი ჩაქრობით.

პლაგიოკლაზის ალბიტიზებული მარცვლები სავსეა დაშლის პროდუქტებით და ძირითადი მასის ჩანართებით. ხშირად საზღვარი პელიტურ ტუფურ მასასა და პლაგიოკლაზის ლეისტებს შორის სრულიად შეუმჩნეველია.

ნიმ. № 299—საშუალოა მიკროტუფობრექჩიასა და აგლომერატულ ტუფს შორის. მომწვანო ფერისაა. შეიცავს მოწითალო ჩანართებს.

მიკროსკოპში—ბრეჭიული სტრუქტურა. ტუფოგენი ქანია ლავის ქსენოლითებით. შლიდის ერთი ნაწილი ტუფს მიეკუთვნება, მეორე—პორფირიტს. პირველი წარმოადგენს თიხან-ქლორიტიან მასას პლაგიოკლასის ნამტვრევებით; შეიცავს ცოტაოდენ წვრილ კვარცს და დიდი რაოდენობით ეპიდოტს, აგრეთვე ქლორიტს, დაშლილი ავეიტის რამდენიმე ნამტვრევს და ლავის ნატეხებს. დამახასიათებელია სიცარიელები თავისებური ამოვსებით: ქერქი წმინდა-აგრეგატული მოყვითალო მასის (ეპიდოტის და ქლორიტის ნარევი), შავი ზოლი წითელი რკინის, გულში ქალცედონი, ქლორიტი, რკინის ყანგი და გაურკვეველი მასა.

მეორე ნაწილი მურა-მოყვითალო ალბიტინებულ ავეიტთან პორფირიტს წარმოადგენს. პლაგიოკლასი, როგორც ტუფურ ნაწილში, ისე ჩანართ პორფირიტში, ალბიტს ან ალბიტ-ოლიგოკლასს მიეკუთვნება.

პროპილტიზებული ტუფოგენი. მოლითის მიდამოებში, ბარნალის ლელიდან ნაკლოვარის ლელემდე, პორფირიტული წყების და ცარცის შეხების ზოლში გაშიშვლებულია თავისებური ბუნების ღია ტუფოგენი ქანი, რომელიც გენეტურად შესაძლებელია კვარციან პორფირიტებთან იყოს დაკავშირებული. მაქსიმალურ სიმძლავრეს ამ ქანის ზოლი ბლიხევის ხეობაში აღწევს, დაახლოებით 0,6 კმ უჭირავს.

ძალიან არაერთგვაროვანია. აგებულება ზოგჯერ მასივი, ზოგჯერ ბრეჭიული. ფერიც არამუდმივი, საერთოდ კი ღია (მორუხო, მოყვითალო, თეთრი და სხვ.). ხშირად პორიანია.

ზოლს თითქოს სამზრეთისაყენ დაქანება ემჩნევა. სტრატეგრაფიულად შედარებით მალა პორიზონტს უნდა ეკუთვნოდეს.

კვარციან-პირიტანია. კვარციით მდიდარი უბანი დამუშავების საგანსაც წარმოადგენს,—ქანს საწისქვილე ქვად იყენებენ. ქანიდან გამოძევალი წყარო (ბეგათუბნის მინ. წყარო) მინერალიზებულია გოგირდმჟავა მარილებით (შეიცავს  $H_2SO_4$  თითქოს თავისუფალი სახითაც), რაც პირიტის დაშლის შედეგს წარმოადგენს.

ქანი ჰიდროქსიმიური მეტამორფიზმის ძლიერ დაღს ატარებს, პირველადი ბუნება არც კი ირკვევა კარგად. უთუოდ ტუფოგენს წარმოადგენდა, რომელმაც შემდეგ ინტენსიური გარდაქმნა, უმთავრესად სილიციფიკაცია და პირიტოზაცია განიცადა. საგულისხმოა ფუძე ლავის ჩანართების არსებობა ქანში. ზოგჯერ ქანის შემადგენელი მასალა თითქმის მთლიანად და მასთან თანაბრად არის ჩანაცვლებული, პელიტური ნივთიერებით გაჭუჭყიანებული,  $SiO_2$ -ით (შლ. № 21 ა); მიკროსკოპში ასეთ შემთხვევაში წვრილაგრეგატულ მეორად კვარციტთან გვაქვს საქმე. ზოგჯერ კი, უბნა-უბნა ან ზოლებად, ცვალებადი სიდიდის აგრეგატებით, არის ქანში პირველადი კვარციც; ეს უკანასკნელი ხასიათდება დაკუთხვით და, ხაზებად განლაგებული, შავი წერტილებრივი ჩანართებით,—ძველი კრისტალური ქანების კვარცია (№ 21 ა), რაც ქანის ტუფოგენური ბუნების კარგი მაჩვენებელია. შემდგომი კვარცი თითქმის მუდამ ქალცედონური მოდიფიკაციით არის წარმოდგენილი. ზოგჯერ (შლ. № 22) ქანში დაშლილი, მთლიანად პელიტურ ნივთიერებად ქცეული პლაგიოკლასის ნამტვრევებიც ჩანს. ასეთ შემთხვევაში საგრძნობია სერიციტიზაციაც. შეიძლება ზოგჯერ კიდევ მაგნეტიტის (უთუოდ პირველადის) გარჩევა. ზოგიერთ უბანში წმინდააგრეგატული პირიტია გაბატონებული; მაკროსკოპიულად ისეთი ქანი რუხი ელფერით ხასიათდება.

ამგვარად, ამ ქანს პროპილიტიზებული ტუფოგენი შეიძლება ვუწოდოთ. გარდამქმნელი ხსნარები გენეტურად მეზობლად წარმოდგენილ წიფის ნეო-ინტრუზივთან იყენენ უთუოდ დაკავშირებული.

### 11. შრეებრივი ტუფოგენები

ჩხერიმელის პორფირიტული ფორმაციის პერიფერიულ ნაწილებში, როგორც აღნიშნული გვაქვს [1], შრეებრივი ფაციესია განვითარებული. ქანები წარმოდგენილია ტუფოგენებით, რომელთა შორის ვხვდებით სხვადასხვა სიმძლავრის მიკროტუფბრეჭიებს, ტუფქვიშაქვებს, პელიტურ ტუფოგენებს, ტუფიტებს და სხვ. ისინი ხშირად მასივ ვულკანოგენ-ტუფოგენებთან მორიგეობენ.

პორფირიტული ქანების მთავარი ჯგუფების დახასიათებისას ჩვენ უკვე აღვწერეთ ის პიროკლასტური ჯგუფის მასივი ტუფები და ტუფბრეჭიები, რომელნიც გენეტურად მათთან არიან დაკავშირებული და რომელთა კავშირი დედა ქანებთან ადვილი გასარკვევი ხდება. აქ კი ორიოდ სიტყვით უნდა შევხებით საკუთრივ შრეებრივ ტუფოგენებს, რომელნიც პერიფერიულ ნაწილებში გვხვდება. ზოგ შემთხვევაში ამგვარი ქანები სტრატოგრაფიულად ქვევით—ლიასის საზღვართან ან მახლობლად მდებარეობენ, ზოგჯერ კიდევ—შედარებით ზევით. ამ მხრივ რაიმე კანონზომიერება მათ გავრცელებას არ ემჩნევა.

ამგვარ უბნებში უმთავრესად ტუფოგენი ქვიშაქვები და პელიტური ტუფოგენებია განვითარებული, მაგრამ ხშირად არის აგრეთვე გარდამავალი, შუალედი ბუნების, კრისტალური, ვიტროკრისტალური და აგლომერატული ტუფები, რომელნიც ერთნაირადვე შეიძლება მივაკუთვნოთ, როგორც პიროკლასტურ, ისე ტუფურ ჯგუფს. აქა-იქ (საერთოდ კი იშვიათად) ვხვდებით ზოგჯერ თითქმის ნორმალური ტერიგენი კლასტური ქანების წარმომადგენლებსაც.

ნომ. № 256/34 (წილის ღელის შუა ნაწილიდან) წარმოადგენს მიკრო-ტუფბრეჭიებიდან შალშტაინური სახის ტუფოგენში ერთ-ერთ გარდამავალ ტიპს.

არაერთგვაროვანი ქანია (ერთი ნაწილი მომწვანო პორფირიტული ჰაბიტუსის, ხოლო მეორე—რუხი, მასივი) ვარდისფერი ფელდშპატის, კვარცის და აპლიტის ქსენოლითებით.

მიკროსკოპში—მკაფიო კლასტური სტრუქტურა. მუქი მურა ამორფული პელიტურ-ტუფური მასა, რომელშიაც ჩამჯდარია: ა) კვარცის სხვადასხვა ზომის მარცვლები, ზოგჯერ დაკუთხული, ზოგჯერ მომრგვალო კვეთის; ხშირად ტალღებრივი, ზოგჯერ მოზაიკური, შავი მტვრისებური ჩანართების ხაზებით; არის წყლისებრ-სუფთა გამჭვირვალე, არატალღებრივიც; ზოგჯერ დაბზარულია, ბზარებში პელიტურ-ტუფური მასალაა მოქცეული. ბ) კრისტალური ტუფური ქანის ნამტვრევი შეცვლილი, ალბიტიზებული პლაგიოკლაზის ნატეხებით, კვარცით და ქლორიტის ფირფიტებით. გ) უბისილიკატო პორფირიტის ნატეხი—ვიტროფირული ძირითადი მასით და დაშლილი პლაგიოკლაზით.

დ) პლაგიოკლაზის დიდი ნამტვრევები; მთლიანად იაშლილი—კარბონატის წვრილაგრეგატებიან პელიტურ მოშავო-რუხ ნივთიერებაში გადასული, ემჩნევა სერიციტიზაცია (ე) ძველი აპლიტის (ძლიერ დაშლილის) ნატები. ვ) ქლორიტიზებული მინის ნამტვრევები. ზ) იშვიათად ქლორიტი იდიომორფული ან უწყისო ფურცლების სახით. ცოტაოდენი მაგნეტიტის მარცვლები.

პლაგიოკლაზის ნამტვრევების ნაწილი ძველი კრისტალური ქანების შეტაცებული მასალა უნდა იყოს. ერთგან ასეთ მარცვალს პელიტურ-ტუფური მასა ფლუიდურად აქვს გარშემორტყმული. კვარცი ორგვარია: 1) შეტაცებული—ძველი გრანიტების მასალა და 2) მეორადი, ჰიდროქსიმიური.

აგრეთვე გარდამავალი ბუნების ტუფოგენს წარმოადგენს ნიმ. № 38/34 ბლიხევის ქვედა ნაწილიდან. შედგება არაცხადი პელიტომორფული მასით შეცემენტებული პორფირიტული ქანების ნამტვრევების, დაშლილი პლაგიოკლაზისა და კვარცისაგან. შეიცავს აგრეთვე ცოტაოდენ მადნის მინერალს. პორფირიტული ლავის ნამტვრევების ძირითადი მასა—მურა, მღვრიე, დაშლილი მინური ბაზისი პლაგიოკლაზის მიკროლითებით და არაცხადი პიროქსენით.

კვარცი ტალღებრივია, უთუოდ ძველი კრისტალური ქანების მასალა. პელიტომორფულ მასაში აქა-იქ გამოირჩევა ქლორიტის ქერცლებრივი აგრეგატები მჭიდრო კავშირში კალციტთან, შეიძლება ბისილიკატის ჩანაცვლებები იყოს.

ტუფიტის წარმომადგენლად (არკოზულის ელემენტებით) უნდა ჩავთვალოთ ნიმ. № 83/36 და 85/36—ბჟინეურის ხეობის შუა ნაწილიდან.

მომწვანო მკვრივი შრებრივი ქანებია. მიკროსკოპში—დაშლილი პელიტიზებული მურა-ქანგისფერი ალბიტური რივის პლაგიოკლაზის ნამტვრევები ქლორიტის ძარღვებრივი უბნებით, შეიძლება ძველი კრისტალური ქანების შეტაცებული ფელდშპატი იყოს. მცირე რაოდენობით ტალღებრივ-მოზაიკური კვარცი. არის მეორადი—ჰიდროქსიმიური კვარცი (თუ ქალციდონი). ლავის ნამტვრევები—ქლორიტიზებული მინა პლაგიოკლაზის მიკროლითებით და ჩხირებრივი აგრეგატებით, შეიცავს აგრეთვე აპატიტს. მწვანე, მტვრიანი, მიკროაგრეგატული ეპიდოტი, ქლორიტი, მადნეული მინერალი, კარბონატი, სერიციტი და პელიტური ნივთიერება. უკანასკნელი საში უმთავრესად შემაცემენტებელი მასის სახით, სკარბოს თიხური ნივთიერება.

ტუფ-ტუფოგენი ქვიშაქვის ბუნებასაა აგრეთვე ნიმ. № 26/34—ბარნალის ღელის ქვედა ნაწილიდან. ტუფური ჰაბიტუსის ღია მორუხო ქანია, აქა-იქ ვარდისფერი პლაგიოკლაზის მარცვლებით. მიკროსკოპში—მთავარი შეტაცებენტებელი მასა მურა ტალახისფერი პელიტურ-ტუფური, დაცხრილული კარბონატის მიკროაგრეგატებით. შეიცავს ძველი მასივის მასალას: ტალღებრივ-მოზაიკური კვარცის დაკუთხულ მარცვლებს, პელიტიზებული დაშლილი მქავე პლაგიოკლაზის ნამტვრევებს და გაუფერულებულ ბიოტიტს. წარმოდგენილია პორფირიტული ქანის ნამტვრევები მიკროლითებიანი ძირითადი მასით. ჩანს არატალღებრივი მეორადი კვარცი. მცირე რაოდენობით არის მადნის მინერალიც. ქანი ინტენსიურადაა კარბონატიზებული; კარბონატი ხშირად ძარღვებრივი სახით.

ნიმ. № 50 და 51/36-ში (სოფ. ციკვიურის მიდამოები, ძირულის ხეობა) შემაცემენტებელი მასა ლავა შეიძლება იყოს, რომელიც შემდეგ ინტენსიურად სახეშეცვლილა. ეს ნიმუშები, განსაკუთრებით უკანასკნელი, ვიტრო-კრისტალურ

ტუფს უახლოვდებიან. მორუხო-მოიისფერო მკვრივი ქანია პირიტითა და კვარცით.

მიკროსკოპში ძირითადი მასა მურა-ყვითელი თითქმის ამორფული (მინა?). ამ მასაში სხედან დამსხვრეული, კატაკლასური კვარცის და პლაგიოკლასის დაკუთხული, უწესო მოხაზულობის მარცვლები, ზომით პაწაწა მიკროაგრეგატებიდან დიდ მარცვლებამდე, ზოგჯერ უბნებრივად შეჯგუფებული. ამ მასაშივე გამოირჩევა ქლორიტი, სერიციტი, პირიტი. ქლორიტი ზოგჯერ ბისილიკატის ფსევდომორფოზს უნდა წარმოადგენდეს. გვხვდება გაუფერულებული, სუსტად მომწვანო ქარსი. პლაგიოკლასი ზოგჯერ მთლიანად სერიციტად არის ქცეული. რაოდენობით კვარცის მარცვლები კარბობენ. ძირითად მასაში მოქცეულია ლავის ნამტვრევები.

ტუფოვან ნახშიროვან ქვიშაქვას წარმოადგენს ნიმ. № 88/36—მიქირვას (ბჟინეურის შემადგენელი ტოტი) ხეობიდან. მუქი, მოშავო, თხელშრებრივი ქანია.

მიკროსკოპში—შრეებრივი ტექსტურა. ღია მოყვითალო, პელიტომორფული მთავარი მასა პლაგიოკლასის პატარა ნატეხებით, კარბონატით და მუქი მიწისებური, უწესრიგოდ გაბნეული, ნახშიროვანი ნივთიერებით; უკანასკნელი არათანაბრად არის განაწილებული. შესამჩნევია კვარცის რამდენიმე მარცვალი და დაშლილი ბიოტიტის, აგრეთვე თეთრი ქარსის, ერთეული ფირფიტები. შეიცავს პირიტის სპორადულ მარცვლებს. საგულისხმოა, რომ არც ქლორიტს და არც ეპიდოტს არ შეიცავს.

შრეებრივი ტექსტურა გამოიხატება მუქი, ნახშიროვან-პელიტური ნივთიერებით მდიდარი და შედარებით ღია (კარბონატის) ზოლების მორიგეობაში.

## 12. გამკვეთი ქანები

რქატყუარაიანი პორფირიტები. ჩხერიმელა-ძირულის პორფირიტულ წყებაში რამდენიმე ადგილას ვხვდებით საკმაოდ თავისებურ, განსხვავებული ბუნების პორფირიტულ ქანს. მიკროსკოპიული ბუნებით ისინი წარმოადგენენ რქატყუარა-ანდეზიანი პორფირიტებს. გამოირჩევიან მწვანე ან მწვანე-რუხი ერთგვაროვანი, თითქმის აფანიტური მასით, რომლის ფონზე მუქი მწვანე, თითქმის შავი, ამფიბოლის გრძელი ჩხირებია გაფანტული. ამგვარი ქანი წიფის ღელის ხეობაში, პორფირიტული წყების შემდეგ, თავის გაგრძელებაზე ნეონტრუზივს ჰკვეთს. ვხვდებით მას ს. ნებოძირის ჩრდილო მწვერვალზე (ნიმ. № 167/35), ს. ბეათუბნის აღმოსავლეთით ნაკალოვარის ღელეში (ნიმ. № 240/34), წიფის ღელეში და სხვაგან. საფიქრებელია, რომ ეს რქატყუარაიანი პორფირიტები პოსტიურული, შუაყარკული იყვნენ, რადგან საერთო ჰაბიტუსით ისინი ახლო დგანან ჩხერიმელის ხეობაში გავრცელებულ შუაყარკულ ვულკანოვან წყებაში მოქცეული ბრექჩიების შეტაცებულ ნაჭრებთან.

ნიმ. № 167/35 გამოირჩევა ღია რუხი ფონით, რომელზედაც, გარდა ამფიბოლის კრისტალებისა, თეთრი ჩანაწინწყლებიც ჩანს. ჩვეულებრივ კი ქანი ერთგვაროვანი მკაფიო მწვანე ფერისაა, მარტო ამფიბოლის მაკროსკოპიული ჩხირებით.

ძირითადი მასა ხასიათდება მოყვითალო ჭუჭყიანი ლაქებით, სპორადული მადნის მინერალით და ქლორიტ-კარბონატის ბუჩქებრივი გამონაყოფებით; გამავალ სინათლეზე ხშირად ერთფეროვანი, 1 ნიკოლებში ის წმინდააგრევატულ კრისტალურ აგებულებას გვიჩვენებს. შეიცავს პლაგიოკლაზის ნემსებრივ აგრევატებს და აგრეთვე ბრტყელ და წაგრძელებულ პრიზმულ მიკროჩანაწინწყლებს, კრისტალურ აგრევატებს შორის აქა-იქ ამორფული უბნები ჩანს. ძირითადი მასის პლაგიოკლაზი ოლიგოკლაზის რიგისაა—№ 25.

ფენოკრისტალებად: პლაგიოკლაზი № 35, მდიდარი ჩანართებით და მასთან დაცხრილული სერიციტით და კარბონატით; განიცდის აგრეთვე პელიტიზაციას; ემჩნევა ალბიტიზაციაც.

უხვად გრძელი, ჯოხებრივი მწვანე ამფიბოლი; აღსანიშნავია შედარებით სუსტი პლეოქროიზმი; დასერილია კარბონატით (შლ. № 167). დანარჩენი კომპონენტებიდან აღსანიშნავია აპატიტი—ხშირად მოზრდილი იდიომორფული მარცვლების სახით, მაგნეტიტი და კვარცის (უთუოდ შემდგომის) რამდენიმე მარცვალი.

ქანს ქლორიტიზაცია იშვიათად თუ ემჩნევა.

პლაგიოკლაზის განსაზღვრის შედეგი:

მრჩ. ღერძის კოორდინ.  $B_{1-2} \begin{cases} Ng = 13^\circ \\ Nm = 77^\circ \\ Np = 87^\circ \end{cases}$  მრჩ. ღერძი შეზრდის სიბრტყის 1-3.  
კანონი ალბიტური.  
პლაგ. № 34.

რქატყუარის კონსტანტები (3 მარცვლის გაზომვის საშუალო შედეგი):

$Ng - Np = 0,024 - 0,026$ ;  $CNg = 10^\circ - 18^\circ$ . ამ ნიშნების მიხედვით რქატყუარა თითქმის ერთნაირად უახლოვდება ჩვეულებრივს და აქტინოლითურს, უფრო მეორე უნდა იყოს.

ცხრილი 10

წილები	SiO <sub>2</sub>	TiO <sub>2</sub>	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	FeO	CaO	MgO	MnO	K <sub>2</sub> O	Na <sub>2</sub> O	SO <sub>2</sub>	H <sub>2</sub> O	ხურბ. დანაჯ.	ჯამი
№ 240/34	54,71	0,81	19,71	4,51	2,57	5,92	4,82	0,13	1,27	2,50	0,27	0,96	1,70	99,88

მაგმური ფორმულა

$3,16 R\bar{O} \ 2,21 R_2O_3, 11 SiO_2; 1,43 R\bar{O} \ R_2O_3 \ 4,14 SiO_2; R_2O:RO = 1:4,85; \alpha = 1,87.$

ქიმიური ბუნებით (ცხრ. 10) ეს ჯგუფი წყების დამახასიათებელი სხვა ქანების ანალოგიური ჩანს. ისიც საშუალოა ნორმალურ ანდეზიტ-პორფირიტებსა და დიბაზ-ავგიტიან პორფირიტებს შორის; უფრო ანდეზიტ-ბაზალტის ოჯახში ხედება, მხოლოდ შედარებით შემცირებული  $R\bar{O}$ -თი და საგრძნობლად მეტი  $R_2O:RO$ -ით ხასიათდება.

ალბიტოფირები. ჩხერიმელის ხეობაში პორფირიტული წყების ქანებს შორის რამდენიმე ადგილას ვხვდებით გარეგნულად სხვებისაგან შედარებით



კაფიოდ განსხვავებულ მოყვითალო-მოვარდისფრო ქანებს, რომელნიც აგრეთვე შემდგომ გამკვეთ ქანებს უნდა წარმოადგენდნენ. მიკროსკოპიული ბუნებით ისინი ალბიტოფირებს მიეკუთვნებიან. მათი ურთიერთობა გვერდით გავრცელებულ ქანებთან ამ რაიონში გაურკვეველი რჩება. მსგავსი ქანი ჩორჩანის რაიონშიაც (სოფ. კობთან) არის. აქ ის გარკვეულად ჰკვეთს პორფირიტული წყების ქვედა ნაწილს.

აღსანიშნავია, რომ ლოპანის ხეობაში მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიასზე ხშირია მორუხო-მოიისფრო და მოყვითალო კვარციანი პორფირული ქანები, თითქმის ტიპური კვარცპორფირები, რომელნიც მართლაც პოსტბაიოსურ ქანებს უნდა წარმოადგენდნენ. ყოველ შემთხვევაში ლოპანის ხეობის ამ ნაწილში ეს ქანები პორფირიტულ წყებას ჰკვეთენ და ჩვენი დაკვირვებით კრიან აგრეთვე ძველ კრისტალურ მასივთან ბაიოსის შეხების ტექტონიკურ ხაზსაც<sup>1</sup>. ს. კობთან წარმოდგენილი გამკვეთი ქანი მაკროსკოპიულად ძალიან ახლოს დგას დასახელებულ კვარცპორფირებთან, ასე რომ თავისუფლად შეიძლება მათი ეფუზიური ციკლისათვის მიკუთვნება, მაგრამ ამ დებულების გავრცელება ჩხერიმელის ხეობის პრობლემატურ ალბიტოფირებზე უკვე შეუძლებელია: თავი რომ დავანებოთ მანძილს, გარეგნულად და მიკროსკოპიულადაც მათ შორის საკმაო განსხვავება ჩანს.

ჩხერიმელის ხეობაში ალბიტოფირების წარმომადგენლებად უნდა ჩავთვალოთ ნიმ. № 28/34—ბარნალის ლელის და № 188/35—ბლიხევის ხეობის შუა ნაწილებიდან.

მაკროსკოპიულად მოყვითალო-მოვარდისფრო მკვრივი ქანებია.

მიკროსკოპში — სტრუქტურა პორფირული. ძირითადი მასა დაშლილი, მღვრიე მურა-მოყვითალო, ნახევრად კრისტალური ბაზისით; მდიდარია ხლართულ-ქერცლებრივი ქლორიტით. შეიცავს გაქლორიტებული ბისილიკატის მიკრომარცვლებს და პლაგიოკლაზის ცოტაოდენ მიკროლითებს. ხასიათდება კარბონატის, რკინის ფანგის და კვარც-ქალცედონის გამონაყოფებით.

რაოდენობით ფენოკრისტალები ქარბობენ. პლაგიოკლაზის ჩანაწინწყლები, ხშირად მომრგვალებული კუთხეებით; ხასიათდება პელიტიზაციით, კარბონატიზაციით და სუსტი სერიციტიზაციით. შეიცავს ძირითადი მასის, აპატიტის, ეპიდოტის და ქლორიტის ჩანართებს. ემჩნევა ზოგჯერ სუსტი ზონურობა. სხივტების მაჩვენებელი ერთ მდგომარეობაში ნაკლებია, ხოლო მეორეში თითქმის ტოლია ბალზამის მაჩვენებლის. პატარა მარცვლის ჩაქრობა PM  $\perp$  კვეთში უდრის—9°, პლაგ. № 11—12; (O10)-ს  $\perp$  კვეთში მაქსიმ. ჩაქრობის მიხედვითაც № 12. ამგვარად, პლაგიოკლაზი ალბიტის რიგს მიეკუთვნება.

კვარცის წვრილი ერთეული მარცვლები, ზოგჯერ საკმაო რაოდენობით (შლ. № 188).

<sup>1</sup> ამ ქანების წოდის ფორმის და გავრცელების შესწავლა ერთ დროს (1931 წ.) ჩვენთვის დეტალური კვლევის საკანს წარმოადგენდა. გამოირკვა, რომ პორფირიტული წყებიდან ზოგიერთი ძარღვის გაგრძელება გარკვეულად კრისტალურ მასივში გადადის. ხშირია მათი დამოუკიდებელი ძარღვებიც მასივის ამ ნაწილში.

ეპიდოტი ცვალებადი სიდიდის უწყესო მარცვლების სახით, წმინდააგრეგატული აგებულების, მადნის ნივთიერების მტვრისებური ჩანართებით, ხშირად სხივური და ძნისებური; შეიცავს აპატიტის ჩანართებს; ზოგჯერ მღვრიე ყვითელ-მურა; ასოციაციაშია მწვანე ქლორიტთან, ჩართულია ხშირად თავის მხრივ პლაგიოკლასში; ზოგჯერ შეფერილია მწვანედ და მაშინ სუსტი პლეოქროიზმი ემჩნევა. მწვანე ქლორიტიზებული ამფიბოლი; ემჩნევა სხივოსნობა; ზოგჯერ ოპაციტური ქერქი აქვს; იშვიათად გარშემორტყპულია ეპიდოტით. ფსევდომორფოზები ქლორიტისა და ეპიდოტის, მაგნეტიტის თანხლებით, უთუოდ რქატყუარას მიმართ.

ფირფიტებრივი დაშლილი მინერალი, ეპიდოტის და რკინის ქანგის გამოყოფით—ბიოტიტი უნდა იყოს. არის ზოგჯერ თეთრი ქარსიც (მეორადი). ქლორიტი, საკმაოდ თავისებური, მწვანე-მოყვითალო ელფერი, ყვითელი და ნარინჯი ინტერფ. ფერებით, წვრილაგრეგატული; ზოგჯერ სხივური აგებულების; დელესიტი უნდა იყოს.

მეორად მინერალებს შორის არის ზოგჯერ პრენიტიც (შლ. № 188).

აპატიტი ჩვეულებრივი სახით. ცირკონის რამდენიმე მარცვალი.

მეორადი კვარცის და ქალკედონის წვრილი მარცვლები. არის თითქოს ოპალიც (?). მადნეული მინერალი მაგნეტიტით არის წარმოდგენილი; რაოდენობა ცვალებადი.

კვარცის როლი ზოგჯერ ისეთია, რომ ქანს კვარციანი ალბიტოფერი უნდა ვუწოდოთ. ასეთი ტიპის ქანი ქლორიტით და ეპიდოტით ჩვეულებრივ შედარებით ღარიბია (ნიმ. № 188).

### III. წყვანის მეტამორფიზმის სახითი

როგორც ზემომოყვანილი მასალიდან ნათლად ჩანს, ჩხერიმელა-ძირულის პორფირიტული წყების ქანები საქართველოს სხვა რაიონების ეკვივალენტური ფორმაციის მსგავსად ინტენსიურად არიან შეცვლილი. მეტამორფიზმი ძირითადად გამოიხატება ალბიტიზაციაში, ქლორიტიზაციაში, ეპიდოტიზაციაში, სილიციფიკაციაში, ნაწილობრივ პირიტიზაციაში და პელიტიზაციაში. ნეონიტრუზიფიკაციის კონტაქტში სახეცვლა კონტაქტური მეტამორფიზმის სახეს იღებს.

ქანების მეტამორფიზმის პროცესები სპეციალურ კვლევას მოითხოვენ. ამ მხრივ ჩვენი რაიონი მეტად ძვირფას მასალას იძლევა. უთუოდ შესაძლებელი გახდება ამ მასალის სათანადოდ შესწავლის საშუალებით ზოგიერთი საინტერესო გეოქიმიური და პეტროლოგიური მოვლენის გაშუქება.

მე სრულებით არ ვიღებ ჩემს თავზე ამგვარი საკითხების გარჩევის პრეტენზიას. ვკმაყოფილდები მხოლოდ ფაქტიური მდგომარეობის ზოგადად გადმოცემით.

ა ლ ბ ი ზ ა ც ი ა. ფუძეპლაგიოკლასიან პორფირიტებში და მათთან დაკავშირებულ კომპლექსში ხშირია პლაგიოკლასის დენაორტიტიზაცია. ამის საკმაო მაგალითებია იყო ზემოთ მოყვანილი.

ზოგ შემთხვევაში ალბიტიზაციის პროცესი ისე შორს არის წასული, რომ ქანში პლაგიოკლაზი მხოლოდ საკუთრივ ალბიტის რიგით არის წარმოდგენილი. თავდაპირველადი ფუძე პლაგიოკლაზი ან სრულებით არ ჩანს, ან კიდევ უმნიშვნელო რელიქტების სახით თუ არის.

პლაგიოკლაზის ალბიტიზაცია ძალიან დამახასიათებელია მოლითის (ტყემლის) პორფირიტული მასივის პერიფერიებისათვის (ჩხერიმელის ხეობა მოლითის ჩრდილო-დასავლეთით, ბენეურის ხეობა და სხვ.). ამის კარგ სურათს იძლევა ბარნალის ღელე, წიადის ღელე და სხვ. ამავე დროს, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ჩანს, რომ ალბიტიზაციის პროცესი არსებითად გარკვეულ სტრატეგრაფიულ ჰორიზონტში უნდა იყოს ლოკალიზებული: ის უმთავრესად ქვედა ნაწილთანაა დაკავშირებული. მაგრამ ოსეთის პორფირიტული წყების სპილიტებთან შედარებით მოვლენა აქ განსხვავებულია.

მაშინ როდესაც დასახელებულ რაიონში, გ. ძოწენიძის მიხედვით [2], ალბიტიზებული პლაგიოკლაზი სრულიად სალია და ავტორის აზრს ალბიტის იმთავითვე გამოკრისტალებისაკენ სავსებით საფუძვლიანად ხრის<sup>1</sup>, ყოველ შემთხვევაში თხევად მაგმურ სტადიაშივე, ქანის ბუნების საბოლოოდ ჩამოყალიბებამდე, — ჩვენს რაიონში ალბიტური პლაგიოკლაზი სულ სხვაგვარია. ის სრულიად დაშლილია, მურა ეანგისფერი და რუხი ფერისაა, ძლიერ გაჭუჭყიანებულია პელიტური ნივთიერებით, დაცხრილულია სერიციტით, ხშირად კარბონატით და აგრეთვე სხვა მეორადი მინერალების გამონაყოფებით (ქლორიტი, ეპიდოტი, ზოგჯერ კვარცი, იშვიათად პრენიტი და სხვ.); მრჩობლური აგებულება, განსაკუთრებით პოლისინთეზური, ისე როგორც ზონალობა, ან სრულიად იჩრდილება, ან მკრთალად ჩანს.

ამ შემთხვევაში აშკარად საქმე გვაქვს ქანის ფუძე პლაგიოკლაზის შემდგომ ალბიტიზაციასთან, რაც უთუოდ მაგმური მოქმედების პნემატოლიზურ-ჰიდროთერმული სტადიის ავტომეტამორფიზმს უნდა უკავშირდებოდეს. მაშასადამე, ეს არ არის ფუძე პლაგიოკლაზის ნივთიერების თხევად მდგომარეობაშივე დაშლა, ცალკე ნატრიუმის სილიკატის ჩამოყალიბება ალბიტის სახით და განთავისუფლებული ტუტემიწის მოლეკულის სხვა მინერალების ნივთიერებასთან დაკავშირება, როგორც ამას ფიქრობს ოსეთის სპილიტებისთვის გ. ძოწენიძე.

ჩვენს შემთხვევაში გაალბიტება პოსტმაგმური ხასიათისაა. მაგმურ დიავენეზის ანუ ავტომეტამორფულ პროცესებს გამოუწვევიათ ფუძე პლაგიოკლაზში Ca გამორეცხვა ან ჩანაცვლება ტუტით, რის გამო პლაგიოკლაზი მთავე ბუნებისა გამხდარა. ამის უდავო მაჩვენებელია ის გარემოება, რომ არის შემთხვევა, როდესაც ერთ და იმავე შლიფში წარმოდგენილია გაალბიტების სხვადასხვა სტადია: პლაგიოკლაზის აგრეგატების ლხ ასეთ ქანში დიდ ფარგლებში მერყეობს, — თითქმის ტიპური ალბიტიდან ან მთავე ოლიგოკლაზიდან — ლაბრადორამდე.

<sup>1</sup> შემდეგში გამოქვეყნებულ წერილში, ემყარება რა მის მიერ შესწავლილ დამატებით ფაქტიურ მასალას, გ. ძოწენიძე თითქმის უყოყმანოდ ასკვნის დიაბაზებში და ავგიტთან პორფირიტებში ალბიტის პირველად ხასიათს [3].

გარდა მიკროსკოპიული მორფოლოგიისა, ალბიტიზაციის ამგვარ ხასიათს ადასტურებს აგრეთვე ის გარემოება, რომ ხშირად ერთმანეთის უშუალო შეზობლად წარმოდგენილი ერთი და იგივე ჰორიზონტის ქანები ალბიტიზაციის სხვადასხვა ხარისხს გვიჩვენებენ. ზოგჯერ ასეთი სხვადასხვაობა, როგორც აღვნიშნეთ, ერთსა და იმავე შლიფშიც კი ჩანს. ისეთი შემთხვევებიც არის, როდესაც ქანში პლაგიოკლაზის ნაწილი საღია და მასთან ფუძე, თითქმის უცვლელი პირველადი ბუნებით, ნაწილი კიდევ მეტ-ნაკლებად ალბიტიზებულია (იხ. ზემოთ ნიმუშების აღწერა). ყველაფერი ეს ერთ ჭრილში ხდება, რომელიც განსაზღვრულ სტრატეგრაფიულ ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს (მაგალითად, წიაღის და ბარნალის ღელეები).

ალბიტიზებული პლაგიოკლაზიანი ქანები მუდამ მდიდარია მეორადი მინერალებით, განსაკუთრებით კარბონატით, პელიტური ნივთიერებით და ქლორიტით. კარბონატის სიუხვე ასეთ ქანებში ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს და ერთ-ერთ ძლიერ არგუმენტს წარმოადგენს ალბიტიზაციის პროცესის მეორადი ხასიათის დასადგენად. ალბიტიზებული ქანები გეოლოგიურად შეიძლება პირველადფუძე პლაგიოკლაზიანს დაუუპირდაპიროთ. ის გარემოება, რომ მათ წყების თითქოს ქვედა ჰორიზონტში ლოკალიზაციის ტენდენცია ემჩნევათ, გვაფიქრებინებს, რომ ამგვარი გარდაქმნა, როგორც ჩანს, უფრო პირველი ამონთხვევებს პროდუქტებს ახასიათებდა, ალბათ იმ თავისებური ფიზიკურ-ქიმიური პირობების გამო, რომელიც მაშინ არსებობდა.

საღ ლაბრადორიან პორფირიტებში ხშირად შესამჩნევია შედარებით განსხვავებული, ხასიათის ალბიტიზაციაც. პლაგიოკლაზში უბნა-უბნა, მეტწილად კი გზარების, ტყეჩადობის და მრჩობლობის გასწვრივ მიკროზოლებია განვითარებული აგრეთვე საღი, მხოლოდ გაცილებით დაბალი სხივტების ნივთიერების, რაც ლოკალიზაციის დისპერსიული ეფექტით მკაფიოდ ჩანს მინერალის კვებაზე. ეს მოვლენაც ალბიტიზაციის გამომხატველია, მხოლოდ შედარებით სუსტი ინტენსივობის,—აქ პროცესს მინერალის მთელი სხეული კი ვერ დაუპყრია, როგორც პირველ შემთხვევაში, არამედ შერჩევით—მხოლოდ ბზარების გასწვრივ ლოკალიზებულია. ამგვარი მოვლენები ემჩნევა საკუთრივ ტყემლის მიდამოების ქანებს; ეს უკანასკნელნი გეოლოგიური პირობების მიხედვით შედარებით მაღალ ჰორიზონტს უნდა ეკუთვნოდნენ.

პორფირიტულ ქანებში ალბიტი განვითარებულია კიდევ ნეონტრუზივთან კონტაქტში, მაგრამ ამ შემთხვევაში ის კონტაქტური წარმოშობისაა და ცხადად განსხვავდება ზემოაღწერილი ალბიტიზებული პლაგიოკლაზისაგან: საღია, გამკვირვალე (კვარცისაგან ძნელი გასარჩევი), იშვიათად მრჩობლური და მასთან პატარა აგრეგატების სახით.

ქლორიტიზაცია. ქლორიტი ერთ-ერთი არსებითი დამახასიათებელი კომპონენტია ჩვენი რაიონის პორფირიტული წყების ქანებისა. ის მუდამ ერთნაირი სიძლიერით არის წარმოდგენილი როგორც სხვადასხვა ვულკანოგენებში, ისე თითქმის ტუფოგენებშიაც. მხოლოდ იშვიათად თუ არის მისი როლი დაჩრდილული ან სრულად უმნიშვნელო, რაც, უთუოდ, ქანის გენეზისის და შედგენილობის თავისებურებებით უნდა აიხსნებოდეს.

პირველ რიგში ქლორიტი ანაცვლებს მინურ ბაზისს უფორმო, დატოტვილი, ბუჩქებრივი გამონაყოფების სახით; ხშირად გაჭუჭყიანებულია დისპერსიული რკინას ქანგით ან პელიტური ნივთიერებით. შემდეგ თითქმის მუდამ ანაცვლებს ქანის შემადგენელ ბისილიკატს, როგორც ფენოკრისტალებში, ასე წეროლ მასაში. ბისილიკატის ჩანაცვლებებში ის ხშირად ასოცირებულია ეპიდოტით, რკინის ქანგით, ზოგჯერ კარბონატით, ქალცედონით და იშვიათად პრენიტით. ქანის პირველად თუ მეორად (ჰიდროქიმიურ) პორს აგრეთვე მუდამ ქლორიტი ავსებს დამოუკიდებლად ან იშვიათად კარბონატის, ზოგჯერ კიდევ ეპიდოტის, მონაწილეობით.

დამახასიათებელი ხდება ქლორიტიზაციის პროცესი პლაგიოკლაზისათვისაც. მართალია, ზოგჯერ ბუდებრივი და ბუჩქებრივი ქლორიტი პლაგიოკლაზში ძირითადი მასის ჩანართის გაქლორიტების შედეგი უნდა იყოს, მაგრამ არც თუ იშვიათია ქლორიტის უდავოდ პლაგიოკლაზის ხარჯზე წარმოშობა: გამოყოფილი ქლორიტის ზონური ხასიათი, კრისტალის კვეთის დიდი ნაწილის თითქმის მთლიანი ჩანაცვლება და სხვ. ამ მოვლენის ნათელი მეტყველია.

საკმაოდ ხშირად არის პორფირიტებში იდიომორფული, ლეისტური ქლორიტის ინდივიდუალური მარცვლებიც, სრულიად თავისუფალი მინარევებისაგან და თანმხლებ მინერალებისაგან. ასეთი ქლორიტი პირველადის შთაბეჭდილებას სტოვებს. საფიქრებელია, რომ ის მართლაც პირველადი იყოს, —თხევად მაგმურ მდგომარეობაში მიმდინარე ავტომეტამორფიზმის დროს გამოკრისტალებული. ამგვარ წარმოშობას ძიაწერს ქლორიტს ლევინსონ-ლესინგი ოლონეცის დიაბაზებში [7]. ასეთივე გენეზისის ქლორიტს აღნიშნავს გ. ძოწენიძეც ოსეთის დიაბაზ-პორფირიტებში.

ბისილიკატის ქლორიტით ჩანაცვლება კი უნდა ვიფიქროთ, რომ მიმდინარეობდა პლაგიოკლაზის ალბიტიზაციის თანადროულად.

როგორც ქანების მიკროსკოპიული დახასიათებიდან ნათლად ჩანს, ძალიან იშვიათია ჩვენი რაიონის პორფირიტებში სალი ბისილიკატი მთლიანი მარცვლის თუ რელიქტის სახით; მის ბუნებაზე მსჯელობა მეტწილად შლიფში წარმოდგენილი კვეთის მიხედვით თუ ხერხდება მხოლოდ. შეიძლება შევნიშნოთ განსხვავებები ამფიბოლის ჩანაცვლებელ და ავგიტის შემცვლელ ქლორიტებს შორის. ეს გარემოება სრულიად ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ: ქლორიტის ქიმიური შედგენილობა ხომ გარკვეულად ცვალებადია; ფიზიკურ-ქიმიურად განსხვავებულ სილიკატს, როგორც ავგიტი და ამფიბოლია, ცხადია, განსხვავებული ბუნების შემცვლელი შეიძლება შეეფერებოდეს<sup>1</sup>.

ჩვენი ქანების ქლორიტების ოპტიკური კონსტანტების შესწავლა არ ჩამიტარებია; ზოგიერთი ნიშნის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ უმთავრესად

<sup>1</sup> ამ მოვლენის შესახებ ავტორს შემთხვევა ჰქონდა განეცხადებინა ერთ-ერთ მოხსენებაზე გეოლოგიური ინსტ-ის საჯარო სხდომაზე. ჩვენს პეტროგრაფებს შორის მან მაშინ რატომღაც სკეპტიკური განწყობილება გამოიწვია, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ შემდეგში ამგვარი რამ შრომებში მე ხშირად შემხვედრია. კერძოდ გ. ხარიძეც აღნიშნავს ერთ-ერთ წერილში [6] ანალოგიურ მოვლენას სვანეთის ფუძე ქანებში.

ორგვარი ტიპის ქლორიტი უნდა გვექონდეს: პენინი და დელესიტი. თვისებების აღწერას აქ აღარ გავიმეორებ—მოცემულია ცალკეული ქანების აღწერის დროს.

**კარბონატიზაცია.** დიდი სიძლიერით არის წარმოდგენილი ეს მოვლენა მოლითის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით, დაახლოებით სწორედ იმ უბნებში, სადაც პლაგიოკლაზის ძლიერი ალბიტიზაცია არის შესამჩნევი. წილის ღელის გასწვრივ (ნაწილობრივ ბარნალის ღელეშიაც) იშვიათია ქანი, რომელზედაც სიმკვავე არ მოქმედებდეს; ხშირად ქანის შემადგენელი მთელი მასა, პირველ რიგში კი პლაგიოკლაზი, თითქმის მთლიანად კარბონატით არის ჩანაცვლებული. სხვა უბნებში კარბონატიზაცია შედარებით სუსტია, ზოგჯერ უმნიშვნელოც, იშვიათ შემთხვევაში კიდევ თითქმის სრულებით არ არის შესამჩნევი. მონაწილეობს ზოგჯერ სიციარიელების ამოვსებაში.

კარბონატიზაცია უთუოდ პლაგიოკლაზის დენაორტიტიზაციასთან უნდა იყოს დაკავშირებული, მაშასადამე, ის ალბიტიზაციის დაახლოებით თანადროული უნდა იყოს, მაგრამ სურათს ართულებს ის გარემოება, რომ ხშირად ჩანს ამ უკანასკნელი პროცესის აღრინდელი ხასიათი: კარბონატი ჰკვეთს ზოგჯერ ალბიტიზებულ პლაგიოკლაზს და მთელ ქანს წვრილი ძარღვების სახით. შესაძლებელია, რა თქმა უნდა, ორგვარი გენერაციის კარბონატის არსებობაც.

მინერალოგიურად კარბონატი კალციტით და კალციუმ-მაგნეზიალური სახეობით (დამორჩილებულად) უნდა იყოს წარმოდგენილი. ხშირად შეიცავს წვრილ, თითქმის დისპერსიულ, მექანიკურ მინარევებს (რკინის ქანგი, პელიტური ნივთიერება და სხვ.), რაც მას მეტ-ნაკლებად ტუქციან ელფერს აძლევს. ხშირად ის, წვრილაგრეგატული, მჭიდრო ასოციაციაშია სხვა მეორად მინერალებთან.

**ეპიდოტიზაცია.** აგრეთვე ძალიან დამახასიათებელია ჩვენი რაიონისათვის ეპიდოტიზაცია. ეპიდოტი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ქანში ჩვეულებრივ საგრძნობი რაოდენობით არის. ყვითელ-მომწვანო ან ნარინჯისფერი არათანაბარი შეფერვისაა, ზოგჯერ უფეროც; წვრილაგრეგატული, ზოგჯერ სხივური აგებულების; მინარევებით მეტ-ნაკლებად მდიდარი; უწყესო ფორმის ბუჩქებრივ-დატოტვილი და ჯაჭვური დანაგროვების სახით; სხვადასხვა ზომის, მეტწილად კი პატარა. ის მჭიდრო კავშირშია ქლორიტთან—ბისილიკატის ჩანაცვლებებში, იშვიათად სიციარიელების ამოვსებაშიც, ჩართულია ზოგჯერ პლაგიოკლაზში; გვხვდება აგრეთვე დამოუკიდებელი მარცვლების სახითაც. ზოგ შემთხვევაში ეპიდოტი თითქმის მთლიანად ანაცვლებს ბისილიკატს,—სხვა ნივთიერება ან უმნიშვნელოდაა წარმოდგენილი, ან თითქმის სულ არ ჩანს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ კარბონატი და ეპიდოტი თითქოს ერთმანეთის ანტიპოდების როლს ასრულებენ: ძლიერ კარბონატიზებულ ქანებში (მოლითის მიდამოები) ეპიდოტი ან სრულებით არ ჩანს, ან უმნიშვნელოდ არის წარმოდგენილი, მაშინ როდესაც კარბონატით ღარიბ ქანებში (ტყემთის, წიფის, ხუნევ-ნადაბურის მიდამოებში და სხვაგან) ის მუდამ უხვადაა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ეპიდოტი ტუფოგენებში შედარებით სუსტად არის განვითარებული და მასთან ნაწილობრივ სხვაგვარი თვისებებისა და მორფოლოგიისა ჩანს, ვიდრე საკუთრივ ლავებში.

ეპიდოტის გენეზისი იმავე პროცესს და დროს უნდა დაეუკავშიროთ, რომელსაც კლორიტისა და ზემოაღწერილი სხვა მეორადი მინერალების წარმოშობა მიეკუთვნება. ოპტიკური თვისებების შესწავლა არ ჩამიტარებია, მაგრამ უფრო ხშირ შემთხვევებში ეპიდოტური მინერალი, ორმაგი სხივტებისა და სხვა ნიშნების მიხედვით, კლინოციონიტს უახლოვდება.

ეპიდოტი ზოგჯერ ძარღვებრივად ჰკვეთს ქანს; ამ შემთხვევაში ის უფრო ნაგვიანები ჩანს.

**სილიციფიკაცია.** წყების ავტომეტამორფიზმს, რომელიც ზემოხსენებული პროცესების გზით მიმდინარეობდა, თან ახლდა პირველადი კომპონენტების დაშლისა და ახალი მინერალების ჩამოყალიბების დროს  $\text{SiO}_2$ -ს გამოყოფა კვარცისა და ქალცედონის სახით, იშვიათად ოპალის სახითაც, რომელსაც შემდეგში გადაკრისტალება განუცდია, მაგრამ აქა-იქ რელიქტის სახით მაინც იჩენს თავს. მეორად  $\text{SiO}_2$ -ს ვხვდებით ბისილიკატის ჩანაცვლებებში, დაშლილ ალბიტზეზულ პლაგიოკლაზში და ძირითად მასაში. ზოგ შემთხვევაში  $\text{SiO}_2$  უფრო შემდგომია, — ხსნარების მიერ არის მოტანილი: ძარღვის სახით ჰკვეთს შლიფს, ან კარბონატს ანაცვლებს. თითქმის მუდამ თანამგზავრობს პორებში კლორიტთან; თხელი წვრილაგრეგატული ქერქის სახით (ქალცედონურ მოდიფიკაციაში) ის გარს ეკვრის პორის კედელს. მეორადი კვარცი, მაშინაც კი, როდესაც ის იზოლირებული მოზრდილი მარცვლების სახით არის, ადვილი გასარჩევია პირველადისაგან: უწესო მოხაზულობით, პელიტური ნივთიერების მინარევით, წვრილაგრეგატული აგებულებით და სხვა ნიშნებით ის საკმაოდ მკაფიოდ განსხვავდება ამ უკანასკნელისაგან.

**პელიტიზაცია.** მეტ-ნაკლები ინტენსივობის (საერთოდ კი მაინც სუსტი) პელიტიზაცია თითქმის ყველა ტიპს ახასიათებს; ყველაზე ძლიერად ის ალბიტზეზულ ქანებში იჩენს თავს. პელიტური ნივთიერება წმინდადისპერსულ მდგომარეობაშია და დაახლოებით თანაბრად ჟღენთავს მთელ ქანს. რკინის ჟანგების შერევა ასეთ მასას მურა-ჟანგისფრად ფერავს; ალაგ-ალაგ ჟანგის სიქარბე დალაქებას იწვევს. გენეტურად ეს პელიტური ნივთიერება ქანის ავტომეტამორფულ პროცესებს უკავშირდება. არის ქანში, ზედაპირული გამოფიტვის ინტენსივობისდა მიხედვით, გამოფიტვით გამოწვეული პელიტიზაცია. პროცესს ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი ხასიათი აქვს და ფელდშპატის ძლიერ კატამორფულ დაშლასთან არის დაკავშირებული.

**ციონიტიზაცია და სერიციტიზაცია.** პლაგიოკლაზის დაშლის პროდუქტებია აგრეთვე ეპიდოტ-ციონიტური მასა და სერიციტი, რომელნიც სხვადასხვა რაოდენობით ხშირად გვაქვს ქანში. უნდა აღინიშნოს, რომ სერიციტიზაცია, პლაგიოკლაზის დაშლის სხვა პროცესებთან შედარებით, ჩვენს ქანებში საერთოდ დამორჩილებულ როლს თამაშობს.

მეორად მინერალებს შორის, პლაგიოკლაზისა და ბისილიკატის დაშლის ხარჯზე, იშვიათად პრენიტიც გვაქვს. ის ზოგჯერ მქიდრო ასოციაციაშია სხვა მინერალებთან, ზოგჯერ კიდევ დამოუკიდებელი ფსევდომორფოზების სახითაა.

აღსანიშნავია, რომ ცეოლიტი, ორიოდე პრობლემატური შემთხვევის გარდა, ჩვენი რაიონის პორფირიტული ქანების მიკროსკოპიაში არავითარ როლს არ თამაშობს.

პირიტიზაცია, პნევმო-ჰიდატოგენურ მოქმედებას უკავშირდება პირიტიზაცია, რომელიც ხშირად საკმაოდ მნიშვნელოვან განვითარებას აღწევს. პირიტის პატარა კრისტალები ხშირად მაკროსკოპიულადაც მკაფიოდ გამოიყოფა. მიკროსკოპში ირკვევა, რომ მეტწილ შემთხვევაში პირიტი მაგნეტიტის ან ჰემატიტის ხარჯზეა წარმომობილი. თავის მხრივ ზედაპირული აგენტების გავლენით ის ხშირად რკინის ჰიდროქსიდში გადადის.

მეორადი რკინის ქანგები. ქანის ავტომეტამორფულ და ჰიდროთერმულ გარდაქმნას, ბუნებრივია, მეორადი რკინის ქანგების (მეტწილად მაგნეტიტი, ზოგჯერ ჰემატიტი) გამოყოფაც თან ახლდა. ბზარების გასწვრივ კონცენტრირება, ან მტვრის სახით გაბნევა ფენოკრისტალში თუ ძირითად მასაში, ზოგჯერ უწყსო ფორმის ლაქებად დაგროვება, ხოლო ბისილიკატის შავმური დისოციაციის დროს ოპაციტური ქერქის განვითარება (ზოგჯერ სრული ჩანაცვლება) და სხვა.—ამგვარი რკინის ქანგების მეორად წარმოშობაზე მიგვიითებენ და ცხადად ასხვავებენ მათ პირველადი მადნეული მინერალის იდიომორფული მარცვლებისაგან.

ჰიდროთერმული მეტამორფიზმი ძლიერ აქვთ განცდილი წიაღის ღელის ქანებს და მოლითის მიდამოების პროპილიტიზებულ ტუფოგენს (იხ. ზემოთ).

წიაღის ღელის ქანების ჰიდრომეტამორფიზმი, როგორც უკვე იყო აღნიშნული, გამოიხატება ქანის გამდიდრებაში კარბონატით და  $SiO_2$ -ით. ზოგჯერ, განსაკუთრებით ქრილის ქვედა ნაწილში (ჰიპსომეტრიულად), გაკვარცება ისეთ სიძლიერეს აღწევს, რომ სურათი კონტაქტური მეტამორფიზმით გამოწვეულ გარაგავიკებას მოგვაგონებს ძალიან, თუმცა ახლო გასინჯვით ადვილად შეიძლება მაინც ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშნის დაქერა. ხშირად ქანის თავდაპირველადი კომპონენტებიდან მხოლოდ უმნიშვნელო რელიქტებიღა არის დარჩენილი.

ჰიდროთერმული მეტამორფიზმი წიაღის ღელის მსგავსად ძირითადად ყველგან სილიციფიკაციაში და კარბონატიზაციაში გამოიხატება. ზოგჯერ პირიტიზაციაც ამავე პროცესს უკავშირდება. ხსნარების მოქმედება მეტწილად, როგორც ამას შლიფების შესწავლა გვიჩვენებს, მეტასომატური გზით მიმდინარეობდა, რაც ძალიან აძნელებს შემდგომი ჰიდროთერმული მინერალების გამოყოფას უფრო ადრინდელი ავტომეტამორფოგენულისაგან.

კონტაქტური მეტამორფიზმი. წიფის ინტრუზივის ირგვლივ პორფირიტული წყების ქანებს ინტენსიური კონტაქტური ზეგავლენა განუტღიათ. უშუალოდ კონტაქტში და ახლო მეზობლად ქანი, განურჩევლად პირველადი ბუნებისა, კონტაქტურ რაგავიკად ქცეულა. მოშორებითა გავლენის ინტენსივობა თანდათან ცხრება,—ქანის პირველადი ხასიათი დაცულია, მხოლოდ სილიციფიკაცია და, უფრო სუსტად, კონტაქტური ალბიტის, აქტინოლითის, ბიოტიტის და ზოგჯერ ეპიდოტის წარმოშობა სხვადასხვა რაოდენობით კიდევ



იჩენს თავს; ჩვეულებრივ ეს შესამჩნევია შეხებიდან რამდენიმე ათეულ მეტრზე, შემდეგ კი გავლენა თითქმის შეუმჩნეველი ხდება<sup>1</sup>.

კონტაქტურ ზეგავლენას გვიჩვენებენ ლაბრადორიანი პორფირიტების წარმომადგენლები და მათი ტუფები, აგრეთვე კვარციანი პორფირიტები. წიფურა-ორხევის წყალგამყოფზე, უხედურის ხეობაში და სხვაგან კონტაქტური მეტამორფიზმის სფეროში მოხვედრილან, როგორც ჩანს, ალბიტიზებულ პლაგიოკლაზიანი ქანებიც.

ჩვეულებრივ კონტაქტურ გარაგავიკებულ ქანებში პირველადი პლაგიოკლაზის რელიქტური მარცვლების გვერდით უხვად გვაქვს მეორადი ალბიტი, — სალი, სუფთა ან სუსტად დამტვერილი, გამჭვირვალე, მარტივ მორჩობლებში ან უმრჩობლო. ძირითადი მასა და ხშირად ჩანაწინწყლების ნაწილიც სილიცირებულია, — კვარცის წმინდა და წვრილმარცვლოვანი აგრეგატებით ჩანაცვლებულან. კვარცი ცვალებადი სიდიდისაა, ალაგ-ალაგ ძარღვებრივ, ბუდებრივ შეჯგუფებებს იძლევა; სუფთა, წყლისებრ გამჭვირვალეა, იშვიათად მტვრისებური ჩანართებით.

როდესაც გარაგავიკებას აგლომერატული ტუფები განიცდიან, მიკროსკოპში შეიძლება მაინც გარჩევა პირველადი—ძველი სუბსტრატისაგან შეტაცებული—კატაკლაზური კვარცისა და სერიციტიზებული პლაგიოკლაზის, კონტაქტური კვარცისა და ალბიტისაგან.

ძალიან დამახასიათებელია ბიოტიტიზაცია: წვრილ-თხელ-ქერცლა, სუფთა სალი შეფერვის—მომწვანო-მოყავისფრო ან მუქი ოქროსფერ-მოყავისფრო—ბიოტიტი წვრილმარცვლოვან კვარც-ალბიტიან მასაში დიდ როლს თამაშობს; ხასიათდება შეჯგუფებებით, ზოგჯერ ტოტებრივ-ბუჩქებრივი განლაგებით; პირველად ფენოკრისტებს ხშირად გარს ეკვრის სარტყლად, შეჭრილია შიგაც ბზარების გასწვრივ. მინერალის ის თავისებური კონტაქტური ელფერი, რომელზეც ლოდოჩნიკოვი მიგვიითითებს [9], მეტად რელიეფურად არის წარმოდგენილი. ბიოტიტი ზოგჯერ გაუფერულებულია და თეთრ ქარსშია გადასული, ზოგჯერ კიდევ ქლორიტიზებულია.

აგრეთვე დამახასიათებელია კონტაქტური ზოლის ქანებისთვის სხივური ღია მწვანე აქტინოლითი ცვალებადი სიდიდის კრისტალების სახით. შემდეგ აღსანიშნავია მალალსხივტეხიანი, ხშირად უფერო, ტიპიური ეპიდოტის არსებობა, რომელიც მიკროსკოპში ელფერით და თვისებებით საკმაოდ განსხვავდება ჩვენს პორფირიტულ წყებაში ჩვეულებრივ წარმოდგენილი ეპიდოტისაგან. მუქ კომპონენტთა შორის, გარდა კონტაქტური ბიოტიტისა და აქტინოლითისა, არის კიდევ ჩვეულებრივი ამფიბოლი (უთუოდ პირველადი) და აგრეთვე იშვიათად ავიტიცი. სხვა მინერალებიდან, რომელნიც აგრეთვე კონტაქტთან შეიძლება იყვნენ, ნაწილობრივ მაინც, დაკავშირებული, აღსანიშნავია სფენი, აპატიტი, პირიტი და სხვ.

<sup>1</sup> კონტაქტური ორგანი შედარებით დეტალურად აქვს აღწერილი გ. ხარბეს [5], რის გამოც მე მხოლოდ ზოგადი შენიშვნებით დავკმაყოფილდები.

მთელი რიგი დაკვირვებების მიხედვით ჩანს, რომ პორფირიტული წყების ავტომეტამორფიზმი წინ უსწრებდა წიფის ინტრუზივის შემოჭრას და კონტაქტურ ზეგავლენას: ალბიტიზაცია, ქლორიტიზაცია და სხვა, რაც პირველ პროცესს გამოუწვევია, ცვალებადი ინტენსივობით ქანებს უკვე განცდილი ჰქონიათ.

კონტაქტური ქანების მთავარი შემადგენელი მუდამ კვარცია; ქანში ამ უქანასკნელის რაოდენობა საშუალოდ 50—70% შეადგენს.

#### IV. ქანების უდაბრებითი ასაკის უმსახვბ

ჩვენ მიერ ზემოთ მოცემული სქემა ქანების დაჯგუფებისა საფუძვლად პეტროგრაფიულ ნიშნებს იღებს. საჭირო იქნება აქ ორიოდ სიტყვით გამოყოფილი ტიპების სტრატოგრაფიულ-გენეტურ ურთიერთობას შევხვით.

ლაბრადორ-ბიტოვნიტიანი პორფირიტები მათთან დაკავშირებული ტუფოგენებით გენეტური თვალსაზრისით უდავოდ ერთ კომპლექსს ჰქმნიან; გამოყოფილი ჯგუფები ერთი ლავის ფაციესებს წარმოადგენენ, განსაზღვრულს ამონთხევების მიმდინარეობის ხასიათით და პირობებით. ამაში რაიმე ეჭვის შეტანის არავითარი საფუძველი არ გვაქვს. ამონთხევების პერიოდულ განმეორებებში არის თუ არა რაიმე, თუნდაც ადგილობრივი, კანონზომიერება, შეუძლებელია ამის თქმა, რადგან წყების მასივის აგებულება—სრუებრივობის უქონლობა ამის გარკვევის საშუალებას მეტად აძნელებს. მაგრამ ქრისტების შესწავლის შემდეგ მაინც შეიძლება ითქვას, რომ გამოყოფილი ტიპები ცალკეულ სტრატოგრაფიულ ერთეულებს სრულებით არ განოხატავენ, გენეტურად ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ქანებს წარმოადგენენ და ერთნაირად უნდა გვხვდებოდნენ სტრატოგრაფიული სვეტის ამა თუ იმ ნაწილში. არც დაბაზური პორფირიტებისა და დიაბაზებისათვის შეიძლება გარკვეული ცალკე პორიზონტის მინიჭება, — ისინიც ცხადად ადგილობრივ ფაციესს წარმოადგენენ.

სხვაგვარად უნდა დაისვას ალბიტიზებულ პლაგიოკლაზიანი ქანების საკითხი. მათში, როგორც დავინახეთ, თითქმის ყველა იმ სახესხვაობების გარჩევა შეიძლება, რომელთაც ფუძეპლაგიოკლაზიანში ვყოფთ. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, თავისთავად არაფერს არ ამბობს, მაგრამ შეიძლება მაინც საკითხის დაყენება, ხომ არ გამოხატავს ალბიტიზებული ქანების კომპლექსი ცალკე სტრატოგრაფიულ პორიზონტს.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ ჯგუფის ქანები გვხვდება უმთავრესად პორფირიტული წყების ქვედა ნაწილში. ამ საფუძველზე საკითხი თითქოს გარკვეულად წყდება, მაგრამ ქრისტების შესწავლა (გვ. წილის და ბარნალის ღელეთა ქანების დახასიათება) სრულიად ნათლად აჩვენებს, რომ ალბიტიზებულ პლაგიოკლაზიანი ქანების გვერდით, მართალია, დამორჩილებულად, მაგრამ მათთან მორიგეობით და მჭიდრო თანხმობით. ურთიერთობით ფუძეპლაგიოკლაზიანი პორფირიტებიც არიან წარმოდგენილი, რომელთა პეტროგრაფიული ბუნება ზედა ნაწილის ანალოგიურია სრულიად; ზოგჯერ კიდევ ქანში პლაგიოკლაზის ნაწილი ალბიტიზებულია, ნაწილი კი ფუძე ბუნებისა ჩანს. თვით ალბიტიზაციაც სხვადასხვა ინტენსივობით არის წარმოდგენილი;

დეანორტიტიზაცია შეჩერებულია სხვადასხვა საფეხურზე—ლაბრადორ-ანდეზი-ნიდან დაწყებული ალბიტამდე. ამ სხვადასხვაგვარად შეცვლილი ქანების განაწილებაში რაიმე კანონზომიერების შემჩნევა აგრეთვე შეუძლებელი ხდება.

ალბიტიზაციის ხასიათი არავითარ ექვს არ სტოვებს ალბიტის მეორად წარმოშობაში,—უკვე ჩამოყალიბებული ფუძე პლაგიოკლაზის დეანორტიტიზაციის გზით. პროცესი უთუოდ ქანის მყარ მდგომარეობაში მიმდინარე ავტომეტამორფიზმის კატეგორიის მოვლენას მიეკუთვნება. დანარჩენი კომპონენტების სახეცვლა გამოყოფილ ძირითად ჯგუფებში თითქმის ერთნაირია, მხოლოდ ალბიტზებულ ქანებში შეიძლება მეტი ინტენსივობის კარბონატიზაცია შევნიშნოთ, რაც ამ შემთხვევაში სრულიად ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ავტომეტამორფიზმის ხასიათი ნაწილობრივ უკვე სტრატეგრაფიულ მიმდევრობას ექვემდებარება. წყების იმ ნაწილში, რომელიც ზედა ჰორიზონტს უნდა ეკუთვნოდეს, არსად ალბიტიზაციის იმგვარი სურათი არ გვაქვს, როგორც ქვედა ნაწილშია. მართალია, პლაგიოკლაზის ნაწილობრივი ალბიტიზაცია პირველშიაც ჩანს, მაგრამ სურათი აქ სულ სხვაგვარი ხასიათისაა: ამ შემთხვევაში ალბიტი წყვეტილ უბნებად და ბზარების გასწვრივ წვრილ ზოლებად არის გამოყოფილი—შლიფის კვეთში ის უმნიშვნელო ფართს იჭერს, მაშინ როდესაც ალბიტიზებული პორფირიტების ჯგუფში პლაგიოკლაზის მთელი მარცვლის თანაბარი ალბიტიზაცია მომხდარა.

მასასადამე, ჩვენს რაიონში ბაიოსის თითქმის მთელ მანძილზე ეფუზიური მოქმედების მკვებავი კერა დაახლოებით ერთნაირი ბუნებისა ყოფილა,—ამოფრქვევები ერთისა და იმავე ტიპებით ხასიათდებოდა, მხოლოდ ავტომეტამორფიზმი, პირველ რიგში პლაგიოკლაზის დაშლა და შეცვლა, პირველ ხანებში და შემდეგში რამდენადმე სხვაგვარად მიმდინარეობდა. უთუოდ ამის მიზეზი მაგმური ექსგალიაციების ფიზიკურ-ქიმიური ბუნებისა და ლავური აქტივობის გეოქიმიური პირობების შეცვლაში მდგომარეობდა.

ნათქვამიდან აშკარაა, რომ ბაიოსის ქვედა ჰორიზონტი, თუნდაც მეზობელ რაიონებში, მუდამ ალბიტიზებული პორფირიტებით და მათი წარმოებულებით შეიძლება არ იყოს წარმოდგენილი. ცხადია, ფაქტს რეგიონული მოვლენის უფლებას ჯერ ვერ მივცემთ.

გ. ძოწენიძე [2] მეზობელ რაიონში (სამხრეთ ოსეთი) ასეთ თანამიმდევრობას აღნიშნავს მის მიერ აღწერილი ტიპებისას: ყველაზე პირველად სპილიტები (ალბიტური პლაგიოკლაზით და ხალი პიროქსენით), შემდეგ რქატყუარაინი პორფირიტები, დიაბაზები, პლაგიოკლაზიანი პორფირიტები და ბოლოს—უკანასკნელი ფაზის წარმომადგენლები—ავგიტ-ანორთიტიანი და ავგიტ-ლაბრადორიანი პორფირიტები.

როგორც დავინახეთ, ჩვენ მიერ შესწავლილ რაიონში დიაბაზები მცირე გავრცელებით სარგებლობენ და მასთან, რაც მთაყარია, ცალკე ჰორიზონტისთვის მათი მიკუთვნება ძნელი ხდება. ასევე შეუძლებელი ჩანს რქატყუარაინი და პლაგიოკლაზიანი (უბისილიკატო) პორფირიტების გამოცალკევება დანარჩენი ტიპებისაგან, როგორც ლაბრადორ-ბიტოენიტიან, ისე ალბიტიზებულ ჯგუფში.

ძალიან საგულისხმოა სამხრეთ ოსეთში ვულკანური აქტივობის პირველი პროდუქტების გამოვლინება ალბიტიანი პორფირიტებით, თუმცა სამხრეთ ოსეთის სპილიტების ბუნება, როგორც აღწერებიდან ჩანს [2], საკმაოდ განსხვავდება ჩხერიმელა-ძირულის ალბიტურ პლაგიოკლაზიანი ქანებისაგან. პირველში ალბიტი სალია და პირველადის შთაბეჭდილებას სტოვებს. გ. ძოწენიძე სრულიად სამართლიანად შიაწერს მას ჯერ კიდევ თხევად მაგმურ სტადიაში ჩამოყალიბებას, მასთან ავგიტიც სალია, იშვიათად თუ არის შეცვლილი. ჩვენს შემთხვევაში კი ალბიტი აშკარად მეორადია; ბისილიკატი კიდევ მხოლოდ იშვიათ გამონაკლის შემთხვევაში თუ არის დაცული, ჩვეულებრივ კი ის დაშლილია და თითქმის მთლიანად მეორადი მინერალებით არის ჩანაცვლებული. გ. ძოწენიძის შრომაში აღწერილი სპილიტების მსგავსი ქანი მხოლოდ ერთ პრობლემატურ შემთხვევაში შეგვხვდა, მაგრამ აშკარაა, რომ ერთ ნიმუშზე, ისიც არა სავსებით ცხადზე, დაყრდნობა შეუძლებელია.

სამხრეთ ოსეთის წყებას თუ შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ჩხერიმელა-ძირულის ალბიტიზებული ქანები პლაგიოკლაზის ხასიათით და ქლორიტში გადასული ბისილიკატით ყველაზე უფრო ახლოს ფაწის ხეობის დიაბაზურ ქანებთან დგანან.

კვარციანი პორფირიტების სტრატეგრაფიული მდებარეობის საკითხი არ არის სავსებით ნათელი. ეს ქანი ჩვენს რაიონში პორფირიტული ფორმაციის ყველაზე ახალგაზრდა კომპონენტს უნდა წარმოადგენდეს. ზედა საზღვარი არ ირკვევა. რა თქმა უნდა, არ არის უარყოფილი ამ ჯგუფის პოსტბაიოსური ასაკიც, მაგრამ გოლათუბნის ღელის კრილის მიხედვით ეს ქანები უფრო ბაიოსური ვულკანიზმის ბოლო აქტივობის შედეგს უნდა გამოხატავდნენ. ამ დასკვნას განსაკუთრებით ის ფაქტი აძლიერებს, რომ წიფის ინტრუზივი, რომლის ასაკი ჩვენი შეხედულებით ბაიოსურ დროსვე უნდა უკავშირდებოდეს, უდავოდ კონტაქტურ გავლენას ახდენს ამ ქანზე. პერიფერიულ ნაწილში ნეოინტრუზივის კვარცპორფირში თანდათან გადასვლის შთაბეჭდილება, რომელიც ველზე იქმნება (წიფის ღელეში) და რომელზეც კვლევის წინასწარ ანგარიშში მიეუთითებდით [1], სწორედ კონტაქტური ზეგავლენით კვარციანი პორფირიტის გარავიკებით აიხსნება.

გამკვეთი რქატყუარაიანი პორფირიტები, რომელნიც ზემოთ აღწერეთ, პოსტიურულ (ყარცულ) დროს უნდა ეკუთვნოდნენ. პოსტბაიოსური წარმოშობისა შეიძლება იყვნენ აგრეთვე ალბიტოფირები და—უფრო გარკვეულად—ჩორჩანის რაიონის კვარცპორფირები და კვრატოფირები.

ჩხერიმელის ხეობის მარცხენა მხარეზე ბაიოსურ წყებაში ზოგან მოქცეული არიან დიაბაზური ქანები, რომელნიც მაკროსკოპიულად და მიკროსკოპიულადაც ეოცენური დიაბაზების და ანდეზიტ-დიაბაზების ანალოგები არიან, მაგრამ მათ ამ შრომაში არ ვეხებით.

ასეთია მოკლედ ჩხერიმელა-ძირულის პორფირიტული წყების პეტროგრაფია.

საქართველოს ბაიოსური ვულკანოგენური სერიის დეტალური შესწავლა მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაიწყო. მრავალ ადრინდელ შრომაში მოცე-

მული ცნობები ან ზოგად გეოლოგიურ დახასიათებებს, ან კიდევ ხშირად ცალკეული ნიმუშების პეტროგრაფიულ აღწერებს შეიცავენ მხოლოდ.

დეტალური დასინჯვის საფუძველზე წყების ბუნების შედარებით ღრმა გააშუქებას პირველად გ. ძოწენიძის შრომაში ვხედავთ. მიუხედავად ამ მკვლევრის მიერ შესწავლილი რაიონის ახლო მეზობლობისა ძირულა ჩხერიმელასთან, მაინც საკმაოდ ძლიერი თავისებურებები ასხვავებს ამ რაიონების წყებებს ერთმანეთისაგან. კერძოდ, ჩვენი რაიონის პორფირიტული წყების დამახასიათებელ პეტროგრაფიულ ნიშნებს შეადგენს: სპილიტების არარსებობა, ალბიტთან ქანებში ალბიტოზაციის სხვაგვარი ხასიათი, მეორადი პროცესების მეტად დიდი ინტენსივობა (კერძოდ, განსაზღვრულ უბნებში არაჩვეულებრივ ფართო მასშტაბის კარბონატიზაცია), ცეოლიტიზაციის არარსებობა და სხვა. ამ ნიშნებით ის საგრძნობლად განსხვავდება სამხრეთ ოსეთის ანალოგიური წყებისაგან.

აშკარაა, რომ საერთოდ პორფირიტულ სერიაში ცალკეული ტიპების რეგიონული გავრცელებისა და ურთიერთობის შესახებ რაიმე გარკვეულ კანონზომიერებაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევი იქნებოდა; სრულებით არ არის უარყოფილი წყების გავრცელების სხვა რაიონში განსხვავებული ადგილობრივი თავისებურების და მოვლენების არსებობა, რომელნიც სხვაგან უკვე ცნობილ ფაქტებს შეიძლება არ უთანხმდებოდნენ. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება გავრცელების მთელ ფართზე წყების სისტემატურ დეტალურ შესწავლას კვლევის საველე გეოლოგიური მეთოდისა და მიკროსკოპიული ხერხის პარმონიული გამოყენების გზით.

მეორე მხრივ, ჩხერიმელა-ძირულის პორფირიტული წყება მეტად საინტერესო მასალას იძლევა პორფირიტული ქანების ავტომეტამორფიზმის, კერძოდ პლაგიოკლაზის და ბისილიკატის დაშლისა და ახალი მინერალების გამოყოფის პროცესების შესასწავლად. უნდა ვიფიქროთ, რომ მუშაობა ამ მიმართულებით აგრეთვე ახალ მნიშვნელოვან ფაქტებს აღმოაჩენს და საინტერესო დასკვნებით დაგვირგვინდება.

С. С. ЧИХЕЛИДЗЕ

## МАТЕРИАЛЫ ДЛЯ ПЕТРОГРАФИИ ПОРФИРИТОВОЙ СВИТЫ р.р. ЧХЕРИМЕЛЫ и ДЗИРУЛЫ<sup>1</sup>

Резюме

Байосская порфиритовая свита южной части Дзирульского массива в фаціальном отношении показывает большое непостоянство. Туфоген-

<sup>1</sup> Указанная свита являлась для автора объектом сравнительно детального обследования во время изучения им южной части Дзирульского массива (в 1934—36 г. г.). Статья представляет собою специальную дополнит. главу к работе „Геологические наблюдения в юго-восточной части Дзирульского массива“, опубликованной в 1948 г. [1].

ные отложения с нормальными литокластами и чередованием лав быстро сменяются массивными вулканогенами. Господствующей для данной части массива является именно эта фация, причём отсутствие слоистости чрезвычайно сильно мешает расшифровке тектоники.

Полного разреза байоса в данном районе нигде не имеется. Массивный характер формации ещё больше затрудняет выяснение мощности всей свиты. По неполным данным, видимая мощность не меньше 1—1,5 км.

В южной части массива порфиритовая свита занимает большую площадь. На правой стороне р. Чхеримелы она слагает антиклинальное поднятие, являющееся водоразделом между р. р. Дзирула и Чхеримела. Отсюда свита непрерывно переходит в Дзирульскую синклинальную депрессию.

Следует отметить, что несогласное налегание байоса на лейасовые отложения обычно приурочено к массивной вулканической фации. Недостаточный учёт фациальных изменений свиты приводил иногда исследователей к неправильным выводам. Так, например, порфиритовый массив на правой стороне р. Чхеримелы в районе водораздела принимался иногда за самостоятельный верхнеюрский лавовый покров, несогласно перекрывающий байос. Но на самом деле несогласие является кажущимся, обусловленным быстрым изменением литологической природы толщи, а также тектоническими условиями местности.

Близкое изучение порфиритовой свиты показывает, что вулканические излияния происходили под водой и, повидимому, носили линейный характер. Участки сплошного развития массивных вулканогенов, почти без участия терригенных осадков, имеющие обычно вытянутый в одном направлении характер, должны быть совпадают с очагами излияния лав. Исходя из этого, одним из таких очагов следует считать полосу Ткемта-Никорагули (Молитский хребет), а другим—долину р. Дзирулы. Весьма возможно, что от главных линий отходили боковые ответвления в виде поперечных или диагональных трещин, но общая картина от этого не меняется.

Породы, входящие в состав порфиритовой свиты рассматриваемого района, можно разделить в основном на три группы: 1) порфиритовые лавы с альбитизированным плагиоклазом и связанные с ними туфогены; 2) породы с первичным (неизменённым) плагиоклазом и 3) кварцевые порфириты. В распространении этих групп можно усмотреть некоторую закономерность. Породы первой группы приурочены исключительно к низам толщи. Кварцевые порфириты соответствуют, повидимому, последней фазе вулканизма.

По характеру цветного компонента и структурным признакам в первых двух группах, в особенности во II группе, можно выделить целый ряд разновидностей: авгитовые, авгито-роговообманковые, роговообман-

ковые, с невыясненным (полностью хлоритизированным) бисиликатом, безбисиликатовые (плагноклазовые), мандельштейновые (среди них авгитовые и др.) и диабазовые порфириды. Перечисленные разновидности в генетическом отношении в каждой группе представляют собою вариации одного петрологического типа. Взаимоотношение их чисто фаціальное. Никаких данных о стратиграфически-генетической обособленности и определенной зональной локализации этих пород не имеется. Часто один участок одного и того же массивного обнажения даёт одну разновидность, а смежный — другую.

С выделенными группами генетически связаны породы другого строения, неоднородные, часто брекчиевидные, среди которых различаем: а) микроатакситы, можно их ещё назвать туфовыми лавами и б) лавовые брекчии. Эти породы частично образованы в результате расщепления остывшей лавовой корки и захвата обломков её новой массой лавы (собственно лавовые брекчии — в узком смысле). Часть же их представляет собою типичные структурные (конституционные) атакситы. Твёрдое разграничение этих пород почти невозможно. По цветному компоненту и среди них можно выделить условно отдельные разновидности.

Довольно большим распространением пользуются среди обеих групп породы смешанного характера, которые с одинаковым правом можно отнести как к лавам, так и туфам. Они почти в одинаковой степени содержат элементы и тех и других. Ближе стоят они, с одной стороны, к кристаллическим туфам и, с другой — к микроатакситам и микролавовым брекчиям. Придерживаясь принятой терминологии, называем их туфо-лавами.

Многообразна и природа собственно туфов, не говоря о многочисленных слоистых туфогенах, чередующихся с терригенными литокластами и приуроченных к определённым участкам. Среди них в основном различаются: кристаллические туфы, агломератовые туфы и разнообразные туфобрекчии (от микротуфобрекчий до крупных).

Кварцевые порфириды пользуются сравнительно локальным распространением. Включения в них авгитовых и авгито-амфиболовых порфиридов, вместе с другими данными, указывают на более поздний характер их излияний.

Среди явно эпигенетических пород выделяются секущие роговообманковые порфириды, аналоги которых характерны для среднемеловой вулканоогенной толщи, и альбитофиры.

Породы порфиритовой толщи в сильной степени изменены автометаморфическими процессами. К ним относятся: альбитизация, хлоритизация, эпидотизация, карбонатизация, пелитизация, иногда пиритизация и др. В развитии и взаимосвязи этих процессов видна некоторая закономерность.

Альбитизация плагноклаза очень характерна для периферических частей Молитского порфиритового массива. Как видно, она приурочена

в основном к нижней (стратиграфически) части формации. В отличие от спилитов Юго-Осетии, альбит которых, по Г. Дзюценидзе [2], повидимому, первичного происхождения, в породах Чхеримелы альбит является определённо вторичным, образовавшимся в результате деаортитизации основного плагиоклаза. Иногда в разных участках одного и того же обнажения обнаруживается различная степень альбитизации плагиоклаза. Процесс этот, повидимому, обусловлен автометаморфизмом породы в пневмо-гидатогенной стадии вулканической деятельности. Альбитизированные породы всегда богаты вторичными минералами, в особенности карбонатом, пелитовым веществом и хлоритом.

Хлорит является обычно весьма существенным компонентом всех пород порфиритовой свиты данного района. Он замещает в первую очередь стекловатый базис, затем бисиликат, ассоциируясь здесь с эпидотом, окислами железа, иногда карбонатом и редко пиритом. Выполняет также поры (первичные или вторичные—гидрохимические), иногда с участием карбоната, реже вместе с эпидотом. Характерен процесс хлоритизации и для плагиоклаза. Наблюдается различие между хлоритом, замещающим авгит, и хлоритом, образовавшимся за счёт роговых обманок. Часто также присутствуют в порфиритах идиоморфные, индивидуализированные, совершенно свободные от примесей и сопутствующих минералов лейстовые агрегаты хлорита, являющиеся, повидимому, первичными.

Карбонатизация пользуется сравнительно локальным развитием. Чрезвычайно сильной степени она достигает в породах к западу и северо-западу от Молити. Здесь часто вся масса породы, в первую же очередь плагиоклаза, почти полностью замещена карбонатом.

Очень характерна для данного района также и эпидотизация. Обычно эпидот тесно связан с хлоритом. Следует отметить, что в сильно карбонатизированных породах эпидота почти нет или его очень мало и, наоборот,—в породах бедных карбонатом эпидот всегда имеется в большом количестве. По двойному лучепреломлению и другим признакам эпидотовый минерал часто близок к клиноцоизиту. Иногда он сечёт породу в виде микрожил.

С автометаморфизмом пород, при разложении старых и образовании новых минералов, связано выделение кремнезёма в виде кварца и халцедона, реже опала. Иногда он более поздний, привнесённый гидротермами: сечёт плоскость шлифа жилками и замещает иногда карбонат.

Пелитизация в той или иной степени характерна для всех типов, но сильнее всего она проявляется всё же в альбитизированных породах.

Заметна в породах данного района и серицитизация плагиоклаза. Но этот процесс, по сравнению с другими процессами разрушения плагиоклаза, играет совершенно подчинённую роль. Среди вторичных минералов за счёт плагиоклаза и бисиликата имеется редко и пренит—иногда в ассоциации с другими, иногда же в виде самостоятельных псевдоморфоз.



С пневмо-гидатогенной деятельностью связывается пиритизация, достигающая иногда крупного развития. Большой частью пирит образован за счёт магнетита или гематита.

С автометаморфическим и более поздним гидротермальным изменением породы, естественно, связано также выделение вторичных окислов железа.

Гидрометаморфизм резче всего проявляется в окрестностях с. Моляты. Выражен он в интенсивной карбонатизации, силификации и отчасти пиритизации пород.

Вокруг Ципского интрузива породы порфиритовой свиты показывают интенсивное контактное изменение. Выражено оно в резком ороговковании пород—независимо от первичной природы их. Характерно для контактных роговиков содержание мелкочешуйчатого, яркоокрашенного „контактового“ биотита, привнесённого альбита, кварца, актинолита, эпидота и др.

Изучение порфиритовой свиты рассматриваемого района даёт право заключить, что очаг, питавший эффузивную деятельность, имел на протяжении почти всего байоса, во всяком случае до верхней его половины, примерно один и тот же состав. Излияния давали почти одни и те же типы. Только автометаморфизм, в первую очередь изменение плагиоклаза, в первое время и впоследствии протекал в некоторой степени различно, что на более ранние породы наложило довольно отличительный отпечаток.

დაბოლოებული ლიტერატურა.—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ჩიხელძიკე ს.—გეოლოგიური დაკვირვებები ძირულის მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. გეოლოგიური ინსტ. შრომები, გეოლ. სერ., ტ. IV (IX), ნაკვ. 3, 1948.
2. ქოჭელიძე გ.—მასალები პორფირიტულა წყების პეტროგრაფიისათვის (ხეშო რაქა და სამხრეთ სხეთი). საქ. გეოლოგ. ინსტ. მოამბე, ტ. III, ბ. 3, თბილისი, 1938.
3. Двоценидзе Г.—О некоторых вопросах образования альбитовых диабазов. Сообщения АН Грузинской ССР, т. III, № 4, 1942.
4. Дели Р.—Изверженные породы и глубины земли. Ленинград, 1936.
5. Заридзе Г.—Хевская неонинтрузия в Двирульском массиве. საქ. გეოლ. ინსტ. მოამბე, ტ. IV, ბ. I, 1938.
6. Заридзе Г.—Основные жильные породы района селений Рцхмелური и Ципლაკაკი (უძ. რ. ქხენისცხალი) в Нижней Сванетии. Сообщ. АН Грузинской ССР, т. II, № 9, 1941.
7. Левинсон-Лессинг Ф.—Олонецкая диабазовая формация. Тр. Петерб. Общ-ва естеств., т. XIX, 1888.
8. Левинсон-Лессинг Ф.—Петрография. Изд. II, ГНТИ, Ленинград, 1931.
9. Лодочников В.—Породообразующие минералы. Гос. Г. Р. Изд., Л.—М., 1933.
10. Смирнов Г., Татришвили Н. и Казахашвили Т.—Геолого-петрограф очерк северо-вост. части Двирульского массива. Тр. Петр. Инст. АН СССР в. II, Москва, 1937.
11. Смирнов Г., Татришвили Н. и Казахашвили Т.—Геолого-петрогр. очерк юго-вост. части Двирульского массива. Тр. Груз. отд. ВИМС-а, вып. II Тбилиси, 1938.



ბ. ძოწანიძე და ნ. სხირტლაძე

ახალი მასალები ქვედალიასური ვულკანოგენური წყების  
პეტროგრაფიისათვის

აღრვე დადგენილია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მეზოზოური დროის ეფუზიური ვულკანიზმის გამოვლინების პირველ ნიშნებს ქვედა იურულში ვხვდებით. ამდროინდელ ვულკანოგენურ წყებას მცირე გავრცელება აქვს ძირულისა და ხრამის კრისტალურ მასივთა ფარგლებში.

ძირულის მასივის ფარგლებში ქვედაიურული ვულკანოგენური წყება ჯერ მხოლოდ ორ ადგილას არის ცნობილი:

ა) სალიეთ-ქიათურის ზოლში (მდ. ყვირილის და საძალელო წყლის ხეობები);

ბ) შროშა-მარტოთუბნის ზოლში (გლინავის, ყვირილის და ნარულის ხეობები).

წყების მცირე გამოსავალს აღნიშნავენ აგრეთვე მდ. ძუსის ხეობის ქვედა ნაწილში, ზესტაფონის ჩრდილოეთით.

მდ. ყვირილის ქვედა ნაწილში, შროშა-მარტოთუბნის ზოლზე, აღნიშნული წყება, როგორც ცალკე სტრატეგრაფიული ერთეული, პირველად პ. გამყრელიძემ და გ. ჯიღარმა გამოაქვეყნა. წყების გეოლოგიური ბუნება დეტალურად პ. გამყრელიძემ და ს. ჩიხელიძემ [2] შეისწავლეს და მას „ქვედა ტუფიტების“ სახელწოდება მისცეს. შემდგომ ამავე წყებასთან გააერთიანეს [4,5] სალიეთ-ქიათურის ზოლში განვითარებული კვარცხორფირების და ალბიტოფირების წყება, რომელსაც ისეთივე სტრატეგრაფიული მდებარეობა უკავია, როგორც შროშა-მარტოთუბნის ზოლის „ქვედა ტუფიტებს“.

წყების ასაკი ახლა შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს იმის გამო, რომ იგი ტრანსგრესიულად იფარება ფაუნისტურად დათარიღებული [3,5] შუალიასური ნალექებით და თავის მხრივ ტრანსგრესიულად არის განლაგებული პალეოზოური დროის გრანიტულ მასივზე. ამიტომ და სხვა მოსაზრებათა საფუძველზე მას ქვედალიასურად [4,5] სთვლიან, თუმცა ზოგის აზრით არ არის გამორიცხული, რომ ის ზედატრიასულიც იყოს [2].

დღემდე არსებულ გამოკვლევათა მიხედვით ქვედალიასურ ვულკანოგენურ წყებაში პეტროგრაფიულად მხოლოდ მთავე ფაციესის ქანები იყო აღნიშნული, გარდა ყვირილის ხეობისა, სადაც პ. გამყრელიძესა და ს. ჩიხელიძეს [2] ქვ. ტუფიტების ქვეშ ვულკანური განფენი—კითხვითი ნიშნით „პორფირიტ-ლიბაზი“ აქვთ გამოყოფილი. ეს გარემოება კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი ფაქტიური მასალიდან. წყების ერთი ნაწილი, განვითარებული სალიეთ-ქიათურის ზოლზე, საკმაოდ დეტალურად ა. ბეტეხტინს აქვს შესწავლილი, რომელიც იქ ცალკე ლავურ განფენებს და მათთან დაკავშირებულ ჰიროკლასტოლოთებს—

ტუფებსა და ტუფბრეჭიებს გამოყოფს. მისი გამოკვლევით, წყებაში შემავალი ლაფური განფენები სხვადასხვა ძირითადი მასის მქონე კვარცპორფირებს და კვარციან ალბიტოფირებს წარმოადგენენ; ლაფები ადვილად გამოსარჩევი არიან მათთვის დამახასიათებელი ხორცისფერ-მოვარდისფრო და ზოგჯერ მომწვანო ფერით. პიროკლასტოლითებში ა. ბეტექტინი გამოყოფს: 1) პელიტურ ტუფებს, 2) ფერფლისა და მინებრივ ტუფებს, 3) კრისტალურ ტუფებსა და 4) ტუფბრეჭიებს. პელიტური ტუფები ნათლად შრეებრივი არიან და გარეგნულად ზოლებრივ ეშვებს ჰგვანან. ფერფლის ტუფები დამორჩილებულ როლს ასრულებენ და აგრეთვე ეშვებს მოგვაგონებენ. გარეგნულად მეტ შემთხვევაში წითელი ფერისა არიან. კრისტალური და სხვა კლასტური ტუფები, რომლებიც არაშრეებრივი არიან და აშავე დროს ფართო გავრცელებით სარგებლობენ, ფერით თითქმის არ განსხვავდებიან კვარცპორფირებისაგან. ნამდვილ დანალექ ქანებიდან (იგულისხმება ტერიგენული ნალექები) წყებაში ნატეხების სახით წარმოდგენილი არიან ნახშირიანი ფიქლები; გვხვდება აგრეთვე მიკროკლინიანი გრანიტების ნატეხები. ყველა ამათ გარდა ი. კახაძე წყებაში ლაფურ ბრეჭიებსაც აღნიშნავს; მასვე აქვს შენიშნული წყების გაძკვეთი შეცვლილი პორფირიტის ძარღვები.

მდ. ყვირილის შენაკად მდ. ნარულის გასწვრივ განვითარებული „ქვედა ტუფიტების“ წყება შესწავლილი აქვს გ. ძოწენიძეს. მან აქ ტუფიტებში 4 დასტა გამოყო:

- 1) მწვანე ტუფების დასტა—ზედა ნაწილი,
- 2) მურა-მოწითალო ფერის ტუფების—შუა ნაწილი,
- 3) მომწვანო-მოიისფრო ტუფებისა და
- 4) ღია რუხი ტუფების - სულ ქვედა ნაწილი.

გ. ძოწენიძის მიხედვით, პირველი დასტის ტუფები, რომლებიც უშუალოდ ლიასის კვარციანი ქვიშაქვების ქვეშ არიან მოთავსებული, წარმოდგენილი არიან უმთავრესად ფერფლის ტუფებით, რომლებიც კვარც-პორფირების ნატეხებს და ცუდად დაცულ მცენარეულ ნაშთებს შეიცავენ.

მურა-მოწითალო ანუ მეორე დასტის ტუფები უფრო მეტად კრისტალურ-აგლომერატულ ტუფებს წარმოადგენენ და მათი წითლად შეფერვა, ავტორის მიხედვით, იმდროინდელი სუბაერული გამოფიტვით უნდა იყოს გამოწვეული.

მესამე პორიზონტის მწვანე და ზოგჯერ მოიისფრო ტუფები არსებითად ფერფლის ტუფებს წარმოადგენენ. მდიდარი არიან კვარც-პორფირებისა და ალბიტოფირების ნატეხებით; მთავარი მასის გამწვანება მათში მინის გაქლორიტებით არის გამოწვეული.

ტუფების სულ ქვედა ნაწილი, ე. ი. მეოთხე პორიზონტის ტუფები, არა-შრეებრივი არიან და წარმოადგენენ კვარც-პორფირების ფერფლის ტუფებს.

ასეთია ქვედალიასური ვულკანოგენური წყების პეტროგრაფიული ბუნება ძირულის მასივის პერიფერიებზე. მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს წყების შემადგენელი მასალას ერთგვაროვნება და მისი მზავე ბუნება როგორც სალიეთ-ჭიათურის, ისე ნარულის კრილშიც.

მიუხედავად ამგვარი მსგავსებისა, ზოგი მკვლევარი სალიეთ-ჭიათურის კვარც-პორფირებსა და შროშა-ნარულის „ქვედა ტუფიტებს“ ცალკე წყებებად მიიჩნევს; ეს მოსაზრება ძირითადად იმანზეა აგებული, რომ სალიეთ-ჭია-

თურის ზოლის წყებაში უფრო მეტად ლავებია განვითარებული და პიროკლასტოლითები დამორჩილებულ როლს თამაშობენ, მაშინ როცა ყვირილის ქვედა ნაწილში ძირითადად პიროკლასტოლითებია გავრცელებული, რომელთაც რამდენადმე შრეებრიობაც ახასიათებთ, ხოლო ლავები აქ იშვიათად თუ გვხვდება.

აი, ეს არის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები ამ წყებათა შორის; მაგრამ ასეთი განსხვავება ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა ყოველი ვულკანოგენური წყების სხვადასხვა გამოსავალს შორის. ამიტომ ამ წყებათა ერთხანეთისაგან გაყოფა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია; ამიტომაცაა, რომ ახლა ნარულა-ქიათურის წყებას ერთ მთლიან წყებად სთვლიან და სალიეთ-ქიათურის და შროშა-ნარულის ვულკანოგენურ ქანებს ერთი წყების სხვადასხვა გამოსავლებად განიხილავენ [4,5]. ანალოგიური ქვედალიასური ვულკანოგენური წყება ჩრდილო კავკასიაში აღნიშნული აქვს ლ. ვარდანიანს [1], რომელიც ამ წყებას კერატოფირული ჰორიზონტის სახელწოდებით გამოყოფს. დადგენილია, რომ მდ. არი-დონის აუზში კერატოფირული ჰორიზონტი ე. წ. გრაფიტიან ჰორიზონტს მოსდევს, რომელიც გრანიტული დრესვის, კონგლომერატების და ქარსიანი ქვიშაქვებისაგან არის შემდგარი. კერატოფირული ჰორიზონტის შემადგენლობაში ძირითადად შედის კვარციანი და უკვარცო ალბიტოფირების ლავები და მათთან დაკავშირებული კლასტოლითები, რომელთა შორის ყველაზე მეტია ნამდვილი ვულკანური ტუფები და ტუფბრეჭიები. წყება უმთავრესად კონტინენტურ პირობებშია დალექილი. მასში შედაზებით დამორჩილებულ როლს თამაშობენ ტუფოგენური ქვიშაქვები. აღსანიშნავია, რომ ჰორიზონტის შუა ნაწილში ზოგჯერ ნორმული არკოზული ქვიშაქვები გამოიყოფიან (სოფ. ხარისჯინი), რაც ვულკანურ ამოფრქვევათა დაყოვნებაზე მიუთითებს. ხნოვანებით აქაც ეს წყება ქვედალიასურად არის დათარიღებული. საქართველოს მსგავსად, მასაც ზემოდან ფაუნისტურად დათარიღებული შუა ლიასი მოსდევს. ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს სრული პარალელიზაცია გავატაროთ ჩრდილო კავკასიის კერატოფირულ ჰორიზონტსა და საქართველოს ქვედალიასურ მთავე ფეუზივებს შორის, რომელთა მსგავსებას ქიმიური შედგენილობის მხრივ ქვემომოყვანილი ანალიზებიც ადასტურებენ (ცხრ. 1).

ასეთია დღემდე არსებულ გამოკვლევათა შედეგები ამ წყებათა შესახებ, რომელთა მიხედვით ქვედა ლიასში ვულკანიზმის თითქმის მხოლოდ მთავე პროდუქტებია წარმოდგენილი.

მაგრამ სხვა დასკვნებამდე მივედით 1946 წლის ზაფხულის პერიოდში ჩატარებული საველე და კამერალური მუშაობის შედეგად. გამოირკვა, რომ ქვედა ტუფიტები უფრო რთული პეტროგრაფიული შედგენილობით ხასიათდებიან და, გარდა მთავე ქანებისა, მათ შედგენილობაში, ნამდვილად, ვულკანიზმის ფუძე პროდუქტებიც საგრძნობლად მონაწილეობენ.

შორაპან-მარტოთუნის ზოლზე ლიასის ქარსიანი ქვიშაქვების ქვეშ სფერული განწევრების მქონე, ზოგ ადგილას მანდელშტაინური აგებულების, ეფუზიური ხასიათის ქანები გამოდიან.

ცხრილი 1

უანგები	I	II	III	IV
SiO <sub>2</sub>	75,96	72,56	79,02	77,91
TiO <sub>2</sub>	0,05	0,27	კვალი	კვალი
Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	14,12	13,90	10,94	11,86
Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	0,49	0,22	0,62	1,25
FeO	0,36	1,72	0,69	0,29
MnO	0,02	0,10	—	0,02
MgO	0,03	0,61	0,55	0,37
CaO	0,20	0,86	0,39	0,78
BaO	—	—	—	—
Na <sub>2</sub> O	3,84	3,88	1,92	3,09
K <sub>2</sub> O	4,40	4,40	4,79	3,94
H <sub>2</sub> O	—	—	0,30	0,31
h/ნაკ.	0,75	1,53	0,83	0,04
ჯამი	100,22	100,05	100,05	99,98

ანალიზი 1—კერატოფირი, ჩრდილო კავკასია, მდ. ლაუტის ხეობა. II—კერატოფირი, ჩრდილო კავკასია, სოფ. ჯალანკოლი; III—კვარც-პორფირი, კიათურა; IV—კვარც-პორფირი, კიათურა.

მიკროსკოპიულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ეს ქანები დიაბაზებს წარმოადგენენ, რომლებიც კიდეებში შესამჩნევად პოროვანი და ამავე დროს უფრო შეცვლილიც არიან, ვიდრე ცენტრში.

ამ ქანებიდან პერიფერიულ ზოლში წარმოდგენილს, შედარებით წვრილ-მარცლოვან და რამდენადმე დაპრესილ დაფიქლებულ ქანს ქლორიტით გამდიდრება ემჩნევა, რის გამოც მას მწვანე ფერიც აქვს. მიკროსკოპში (ნიმ. №34, 43)—დიაბაზური სტრუქტურა. ქანის მთავარი შემადგენელი მინერალებია ოლიგოკლაზი და ალბიტ-ოლიგოკლაზი (პლგ. № 15—25). დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი აგრეთვე ქლორიტი და მადნეული მინერალის ჩხირისებური გამონაყოფები, რომლებიც პლაგიოკლაზის მარცვალთა შორის არეებს ავსებენ. ქლორიტი სფეროლითურია და მაღალი ინტერფერენციული შეფერვით ხასიათდება. მანდელშტაინურ სახეობებში იგი პორებს ავსებს კალციტთან ერთად. ეს ქანი ჩვენ ალბიტთან დიაბაზს მიეკუთვნეთ.

კიდეებიდან მოშორებით, ცენტრისაკენ, ქანის სტრუქტურა იგივე რჩება, რაც პერიფერიებში, იცვლება მხოლოდ პლაგიოკლაზის ხასიათი: ის უფრო სალია და ფუძე ხდება. აქვე ჩნდება აგრეთვე ფერადი სილიკატის (ავგიტის) სალი უბნებიც.

ცენტრულ ნაწილში დიაბაზური სტრუქტურის მქონე ქანი ძირითადად შემდგარია ლაბრადორის ( $\pm M \angle = 31^\circ$ , პლაგ. №57), ტიტან-ავგიტის, ქლორიტის და მადნეული მინერალისაგან. ლაბრადორის მარცვლების ზომა  $0,8 \times 0,3$  მმ უდრის, საკმაოდ სალია და ამავე დროს ყველაზე მეტად იდიომორფული. ტიტან-ავგიტი იასამნის ფერია და სუსტად პლეოქროული. ქსენომორფულია ლაბრადორთან შედარებით;  $Cng = 54^\circ$ . ბოჰკოვანი აგებულების ქლორიტი საკმაოდ მაღალი ინტერფერენციული შეფერვისაა და კრისტალთა შორის არეებს ავსებს. ყურადღებას იპყრობს ოლივინისთვის დამახასიათებელი ფორმები, რომლებიც ახლა კალციტით არიან ამოვსებული.

მადნეული მინერალი ილმენიტს მიეკუთვნება; აქცესორულად გვხვდება ნემსისებური აპატიტი (ნიმ. № 34B, 34<sup>3</sup>, 34<sup>4</sup>).

აღწერილი ქანის რაოდენობრივ-მინერალოგიური შედგენილობა მოცულობითი პროცენტებით შემდეგია:

1. პლაგიოკლაზი (ლაბრადორი) . . . . . 54
2. ტიტან-ავგიტი . . . . . 19,5
3. ქლორიტი . . . . . 15,6
4. ოლივინის ფსევდომორფოზები . . . . . 3,5
5. ილმენიტი . . . . . 7,4

ამ დიაბაზებს ქვემოთ უშუალოდ მოსდევს დიაბაზ-პორფირიტები. დასაწყისში ეს ქანები მანდელშტაინური აგებულების არიან.

მიკროსკოპში ქანის ძირითად მასას დიაბაზური სტრუქტურა ახასიათებს; შემდგარია ალბიტ-ოლიგოკლაზისა და ქლორიტისაგან. სხვა მუქი სილიკატი მასში არ გვხვდება. ქლორიტი მიწადაწინებს ავსებს, აქვს მაღალი ინტერფერენციული შეფერვა და საკმაოდ მოზრდილ სფეროლითებს იძლევა. ფენოკრისტალები წარმოდგენილი არიან პლაგიოკლაზისა და შეცვლილი ოლივინის რამდენიმე მარცვლით. პლაგიოკლაზი ანდენზინ-ოლიგოკლაზს მიეკუთვნება. მარცვალთა ზომა  $2,2 \times 0,8$  მმ უდრის, ოლივინი მთლიანად შეცვლილია ქლორიტ-სერპენტინული მასით და კალციტით. ქანის პორებში ქლორიტთან ერთად კალციტია გამოყოფილი. მადნეული მინერალი ილმენიტი და ტიტანიტია.

ამგვარ ქანებს შემდეგ სვეტისებრივი განწევრების მქონე შავი ფერის ბაზალტური ქანი შეცვლის. ქანი დიაბაზ-პორფირიტს ეკუთვნის. მისი სრულკრისტალური ძირითადი მასა ლაბრადორის, ავგიტის, ქლორიტისა და მადნეული მინერალის მჭიდრო ნარევეს წარმოადგენს. ავგიტი ლაბრადორის მიმართ ქსენომორფულია. ფენოკრისტალები ლაბრადორით, ავგიტითა და შეცვლილი ოლივინით არიან წარმოდგენილი. ლაბრადორი ( $\perp M \leq 30-34^{\circ}$ ... პლაგ. №55—60) პოლისინთეზურად დამრჩობლილ პრიზმულ მარცვლებს იძლევა (ნიმ. №36, 291). მარცვალთა ზომა  $0,7 \times 0,4$  მმ არ აჭარბებს. ავგიტი სალია და უფრო, ფენოკრისტალების სახით აქა-იქ თუ გვხვდება, უფრო ხშირად ძირითად მასაშია მცირე ზომის მარცვლების სახით. ბევრია ოლივინისთვის დამახასიათებელი ფორმები ჩანაცვლებული სერპენტინითა და ქლორიტით. მადნეული მინერალი მაგნეტიტია. განფენის საგებ გვერდში, კიდესთან მიახლოებისას, ქანი მეტად წვრილმარცვლოვანი ხდება. ქანის ძირითადი მასა ქლორიტთან ერთად დიდი რაოდენობით შეიცავს კალციტს, უკანასკნელის წვრილი ძარღვები ხშირად კვეთენ ქანის ამა თუ იმ უბანს. მინერალოგიური და ქიმიური შედგენილობით ამ გამოსავლის ქანი ბაზალტების ოჯახში ექცევა (იხილეთ ქიმ. ანალიზი, გვ. 155). აქვე ვხვდებით მუქ იისფერ ადვილად მსხვრეველ ტუფების დასტას.

ეს ქანი პლაგიოკლაზიანი პორფირიტის ტუფს წარმოადგენს. პლაგიოკლაზი (ალბიტ-ოლიგოკლაზი) შეცვლილია და მას გაპელიტებისთან ერთად გასერიციტებაც განუცდია. ბევრია აგრეთვე პლაგიოკლაზიანი პორფირიტების ნატეხები, რომელთა ძირითად მასას და ფენოკრისტალებსაც მადნეული მინერალით გამდიდრება განუცდია. ყურადღებას იპყრობს ბიოტიტის დაგრებილი,

მიკრონაოკოვანი ფურცლები, რომლებიც საკმაოდ დიდ ადგილს იკავებენ ქანში და მის ერთ-ერთ მუქ სილიკატურ ნაწილს წარმოადგენენ. ტუფის ცემენტი ქლორიტით გამდიდრებული და რამდენადღე გათიხებული მინერბრივი მასით არის წარმოდგენილი. აქვე აღვნიშნავთ, რომ მსგავსი ტუფები მდ. ნარულის სათავეებს იკავებენ და გ. ძოწენიძის მიერ აღწერილ IV დასტის ქვეშ ექცევიან.

სადღურის მახლობლად ჩრდილო მხარეზე მოვარდისფრო მორუხო, მჭავე ხასიათის ტუფური ფენა გამოჩნდება (ნიმ. № 38). აქ ძირითადად კვარც-პორფირების და კვარციანი ალბიტოფირების ტუფები და ზოგჯერ ტუფბრექჩიები გვაქვს. ამის შემდეგ ისევ სფერული განწევრების მქონე შავი ფერის ლავეები და მათთან დაკავშირებული მანდელშტაინური ქანების მორიგეობა გვაქვს. ყველა ამათ მცირე კუთხით სამხრეთისაკენ დაქანება ემჩნევა. ეს ლავეები პეტროგრაფიულად არსებითად არაფრით განსხვავდება ზემოთ აღწერილ დიამაზპორფირიტისაგან. ერთი კია, რომ აქ ქანს უფრო მეტი შეცვლა განუცდია და იგი ვაცილებით ფუძეც არის.

ამ კრილში სფერული განწევრების მქონე ქანს მიკროსკოპში პორფირული სტრუქტურა უჩანს. ძირითადი მასა სრულკრისტალურია, მდიდარია ქლორიტითა და ავგიტ-პლაგიოკლაზის მიკროლითებით. ფენოკრისტალები ლაბრადორით (№ 56), უფრო ავგიტით ( $Cng = 40-41^\circ$ ) და სერპენტინ-კალციტით მთლიანად ჩანაცვლებული ოლივინით არიან წარმოდგენილი. განსაკუთრებით ბევრია ეს უკანასკნელი, მაგრამ მისი საღი ნაწილები აღარსად ჩანან.

მანდელშტაინურ სახეობაში ქანის შეცვლის პროცესი უფრო შორს წასულა და მუქი სილიკატის ადგილზე ქლორიტ-სერპენტინის მასება გაჩენილა. საღი ავგიტი აღარსად არის და პლაგიოკლაზიც ქლორიტის წვრილი ძარღვებით არის დასერილი. ოლივინის ადგილზე აქაც სერპენტინი და კალციტია გაჩენილი. ყურადღებას იპყრობს პორებში გამოყოფილა სფეროლითური ქლორიტი მანდელშტაინურთან ერთად და ქალციდონის ფეოდები. განსაკუთრებით ბევრია ლიმონიტი და სერპენტინი, რომელთა ერთმანეთთან შერევა ბოვლინგიტის მსგავს წარმონაქმებს იძლევა. აღწერილი ქანები ჩვენ ბაზალტურ პორფირიტს მივაკუთვნეთ.

შემდეგ კვარციანი ალბიტოფირის სხეული გამოჩნდება, რომელიც აქვე ტექტონიკურად ამოწეულ გრანიტის მცირე სხეულს ეხება.

გრანიტის შემდეგ კვლავ ჩანს მკერივი ან მანდელშტაინური ბაზალტური პორფირიტების გამოსავლები. აქ კარბობენ მანდელშტაინური სახესხვაობანი. აღსანიშნავია, რომ ამ ზოლში ქანი ძირითადად დაშლილია, შემადგენელი ნაწილების უმეტესობა ქლორიტით არის შეცვლილი და ლიმონიტით გამდიდრება ემჩნევა.

გამიშვლებაში ერთხანს ხარვეზის შემდეგ ვარდასფერი გრანიტების გამოსავლები იწყება. ამ გრანიტებსა და აღწერილ ბაზალტურ პორფირიტებს შორის ამ უბანში უშუალო შეხება არსად გვაქვს, მაგრამ ჩეზობლად ჩანს, რომ შეცვლილი მანდელშტაინური ბაზალტური პორფირიტები ჯერ გადადიან წითლად შეფერილ გათიხებულ პელიტურ ტუფებში, შემდეგ კი მოიისფრო-მორუხო ფერფლისა და მინერბრივ ტუფებში. ეს უკანასკნელი კი მჭავე ფაციესის



ვულკანურ ქანებს ეკუთვნიან, კვარციანი ალბიტოფირებისა და კვარცპორფირების მასალისაგან შედგებიან და უშუალოდ გრანიტულ მასივს ეხებიან. ასეთია ე. წ. „ქვედა ტუფიტების“ პეტროგრაფიული ბუნება მდ. ყვირილის ხეობის ქვედა ნაწილში.

მდ. ყვირილის ხეობის მარცხენა მხარეზე ზემოთ აღნიშნული ფუძე ქანების გამოსავლები სანახშირის ქედზე გავლით ქანდარამდე გრძელდება. უფრო აღმოსავლეთით ამ ქანთა გამოსავლები აღარსად ჩანს და სოფ. შროშის მიდამოებში ძველი კრისტალური კომპლექსის ქანებს (პორფირულ გრანიტებს და გნეისებს) უშუალოდ კვარციანი ქვიშაქვების წყება მოსდევს. უკანასკნელი ამ უბანზე ფუძის კონგლომერატით იწყება. აღსანიშნავია, რომ კონგლომერატის რიყის ქვებს შორის ზემოთ აღწერილ დიაბაზურ და აგრეთვე შეცვლილი პორფირიტების ნაგორებ მასალას ვპოულობთ. ფუძის კონგლომერატების ზედაპირის 30×40 სმ ფართობიდან აღებულ რიყის ქვებს შორის აღმოჩნდა:

1. ძველი კრისტალური ქანები . . . . . 35% (გრანიტები და გნეისები)
2. კვარცპორფირები და მათი ტუფები . . . 33 „
3. დიაბაზები და შეცვლილი პორფირები . 29 „
4. ძარღვის კვარცი . . . . . 3 „


Σ . . . . 100%

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ განხილულ კრილში შუალიასურ კვარციან ქვიშაქვებსა და ვარდისფერ გრანიტებს შორის მოქცეული ვულკანოგენური წყება, რომლის სიმძლავრე ჩვენი გამოანგარიშებით 1 კმ ნაკლები არ უნდა იყოს, ძირითადად შემდგარია ფუძე ეფუზივებისაგან, რომელთა შორის მთავარ როლს ალბიტოანი და ლაბრადორიანი დიაბაზები, მანდელშტაინური დიაბაზპორფირიტები, ბაზალტები და მათთან დაკავშირებული ტუფები თამაშობენ. მეტავე ხასიათის წყება ამ კრილში უმნიშვნელო ადგილს იკავებს და მხოლოდ ერთ უბანშია გამოვლინებული. წყების უმაღლეს ქანთა პეტროგრაფიული ბუნება აქ მოყვანილი ქიმიური ანალიზებიდანაც ჩანს (ანალიტიკოსი ო. რაზმაძე):

ნიმ. № 36 (სად. მარტოთუბანი)	ნიმ. № 14 (სად. მარტოთუბნის ჩრდილ.)
SiO <sub>2</sub> —48,57	42,90
TiO <sub>2</sub> — 1,68	1,05
Al <sub>2</sub> O <sub>3</sub> —14,38	14,24
Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub> — 6,91	4,57
FeO — 5,67	4,73
MnO — 0,18	0,17
MgO — 4,32	9,28
CaO — 9,52	11,58
Na <sub>2</sub> O — 4,46	3,32
K <sub>2</sub> O — 1,63	0,97
SO <sub>3</sub> — 0,27	0,10
P <sub>2</sub> O <sub>5</sub> — 0,16	0,12

$H_2O^-$ — 0,28	4,85
$H_2O^+$ — 2,08	2,08
$\Sigma$ . . . . 100,11	99,99

მაგმური ფორმულები ფ. ლევისონ-ლესინგის მიხედვით:  
 ნიმ. № 36. ნიმ. № 41.



რიცხვითი დახასიათებანი ა. ზავარიცკის მიხედვით:  
 ნიმ. № 36 ნიმ. № 41

$a = 12,3$	$f' = 42,4$	$a = 8,84$	$f' = 25,4$
$c = 3,5$	$m' = 27,4$	$c = 4,76$	$m' = 47,5$
$h = 27,2$	$c' = 30,2$	$b = 33,8$	$c' = 27,1$
$s = 57,000$	$n = 81$	$s = 52,6$	$n = 81,9$

$Q = -14,5$	$Q = -16,76$
-------------	--------------

ამავე ქანთა მინერალოგიური შედგენილობა მოცულობითი პროც-ით:

ნიმ. № 36. ა) ფენოკრისტალები—34,5%	}	პლაგიოკლაზი . 59
		ავგიტი . . . . 9
		ოლივინი . . . 32
ბ) ძირითადი მასა—65,5%	}	პლაგიოკლაზი . 58,5
		ავგიტი . . . . 20,0
		ქლორიტი . . . 13,5
		მაგნეტ. ლიმონიტი 8,0
ნიმ. № 41. ა) ფენოკრისტალები—39%	}	პლაგიოკლაზი . 55,0
		ავგიტი . . . . 19
		ოლივინი . . . . 3,5
		ქლორიტი . . . 15,1
		ილმენიტი . . . 7,4
ბ) ძირითადი მასა—61%	}	პლაგიოკლაზი . 43,3
		ავგიტი . . . . 9,2
		ქლორიტი . . . 30,5
		მაგნეტიტი . . 11,2
		კალციტი . . . 5,8

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ქვედა ტუფიტებში“ ამგვარი შედგენილობის ქანთა კომპლექსი აღწერილი არ ყოფილა. მართალია, აღრევე პ. თოფურიაში თავის გამოკვლევაში [6], რომელიც რკვიის გრანიტულ ინტრუზივს შეეხება, მარტოთუბნის მილამოებში სხვა ქანებთან ერთად პორფირიტის მოიხსენია, მაგრამ მისი შესწავლა მას არ უწარმოებია. ასევე შეიძლება ითქვას პ. გამყრელიძისა და ს. ჩიხელიძის [2] გამოკვლევის შესახებ, რომელთაც პირველად აღნიშნეს და სათანადოდ გეოლოგიურ რუკაზეც გამოსახეს „პორფირიტ-დიაბაზის განფენი მდ. ყვირილის მარცხენა მხარეზე—სოფ. სანახშირე-ქან-

დარის რაიონში, რაც ჩვენ მიერ ჩატარებული ექსკურსიებითაც დადასტურდა. აღნიშნულ ავტორებს არ უწარმოებიათ ამ ადგილების ქანთა შესწავლა და ამიტომ მათ მიერ აღნიშნული განფენის პეტროგრაფიული ბუნება არ იყო დეტალურად გამოკვლეული.

გამოკვლევა, რომელიც ჩვენ ქვედა ტუფიტების გავრცელების რაიონში ჩავატარეთ, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქვედა ტუფიტები ყოველთვის მთლიანად მჟავე ფაციესით კი არ არის წარმოდგენილი, არამედ ზოგ ადგილას მასში არსებით მონაწილეობას იღებენ ფუძე დიაბაზური ქანებიც.

წყების შედგენილობაში გარჩეულ უნდა იქნეს:

I. მჟავე ფაციესი: 1. კვარც-პორფირები და კვარციანი ალბიტოფირები.  
2. ამავე შედგენილობის სხვადასხვაგვარი სტრუქტურის ტუფები და ტუფბრეჩიები.

II. ფუძე ფაციესი: 1. ალბიტოანი და ლაბრადოროანი დიაბაზები.  
2. დიაბაზ-პორფირიტები და ბაზალტები, პორფირიტები, მანდელშტაინური ბაზალტური პორფირიტები.

ჩვენი დაკვირვებით, მჟავე ფაციესის ვულკანოგენურ წყებას სტრატოგრაფიულად უფრო დაბალი მდებარეობა უკავია, ვიდრე ფუძეს.

ამგვარად, კავკასიის ზოგ ადგილებში ცნობილი ლიასური ასაკის ფუძე ვულკანიზმის მსგავსად, საქართველოშიც ლიასურში მჟავე პროდუქტების ამონთხევასთან ერთად ვულკანიზმის ფუძე პროდუქტების არსებობაც დადგენილ ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

Г. С. ДЗОЦЕНИДЕ и Н. И. СХИРТЛАДЗЕ

## НОВЫЕ ДАННЫЕ О ПЕТРОГРАФИИ НИЖНЕЛЕЙАСОВОЙ ВУЛКАНОГЕННОЙ ТОЛЩИ ГРУЗИИ

### Резюме

В пределах Дзирульского и Храмского массивов известна вулкано-генная толща, налегающая непосредственно на палеозойский гранитный массив. В Дзирульском массиве она несогласно перекрывается фаунистически охарактеризованными отложениями среднего лейаса или более молодыми осадками.

В районе сел. Шроша и Мартотубани толща была выделена П. Гамкредидзе и Г. Джигаури, а затем П. Гамкредидзе и С. Чихелидзе под названием свиты „нижних туфитов“. Второй мощный выход этой толщи находится в окрестностях г. Чиатура и изучен А. Г. Бетехтиным.

По стратиграфическому положению между средним лейасом и палеозойским гранитным массивом, а также исходя из некоторых других соображений [9], возраст толщи определяется как нижнелейасовый, но, по мнению некоторых геологов, не исключен также ее верхнетриасовый возраст.

Следует отметить, что Л. А. Варданянц на Северном Кавказе также выделил под названием кератофирового горизонта толщу, состоящую из кварцевых и бескварцевых альбитофиров и их туфов; возраст толщи определяется как нижнелейасовый.

Распространенная в Дзирульском массиве толща также состоит из кварцевых альбитофиров и кварцевых порфиров и их пирокластолитов.

В Чиатурском выходе лавы и массивные неслоистые туфы преобладают над рыхлыми, слоистыми туфами, а в Шроша-Мартотубанском выходе, наоборот, лавы играют резко подчиненную роль и местами хорошо заметна слоистость. Поэтому некоторые геологи считали эти две толщи самостоятельными и разновозрастными образованиями.

По существу же указанная выше разница между Чиатурской кварц-порфировой толщей и нижними туфитами Шроша-Мартотубани такова, какая всегда наблюдается между разными выходами всякой вулканогенной толщи. Поэтому в последнее время вышеназванные две толщи считаются двумя выходами одной нижнелейасовой вулканогенной толщи. Приведенные на стр. 152 химические анализы показывают полное сходство химического состава между породами из нижних туфитов (анал. III и IV) и кварцевыми альбитофирами из кератофирового горизонта Северного Кавказа (анал. I, II).

Таким образом, имеющиеся до сих пор данные указывают о наличии в нижнелейасовой вулканогенной толще лишь кислых продуктов вулканизма.

Проведенные нами в 1946 году полевые работы показали, что в окрестностях станции Мартотубани в сложении толщи нижних туфитов, наряду с кислыми, значительное участие принимают и основные эффузивные породы. Краткая характеристика толщи такова:

Севернее сел. Сагвине по р. Квирила выходит пачка яснослоистых серых туфов байосской вулканогенной толщи с пологим падением на Ю. После небольшого перерыва в обнажении под ними появляется пачка красных мраморовидных известняков с таким же залеганием. Затем выходят красновато-фиолетовые туфы и туфогенные песчаники, содержащие богатую фауну аммонитов. Туфы и туфопесчаники слагаются из материала авгитовых порфитов. Ниже этих пород залегает пачка красновато-серых брекчиевидных известняков, в которые внедрена пластовая интрузия кварцевого диорита.

Под брекчиевидными известняками согласно залегает пачка буроватых мелкозернистых кварцевослюдистых песчаников.

Эти песчаники перекрывают темную, почти черного цвета мандельштейновую эффузивную породу, имеющую хорошо выраженную сферическую отдельность. Периферические части этого тела под мик-

роскопом оказались альбитово-хлоритовым диабазом, в котором пироксен почти совсем не встречается; из центральной же части порода оказалась лабрадоровым диабазом, содержащим заметно фиолетовые титан-авгиты с  $CNg = 54^\circ$ .

За диабазом следует диабаз-порфирит, состоящий из альбито-хлоритовой основной массы, а фенокристаллы представлены плагиоклазом ряда олигоклаза-андезина и серпентиновыми псевдоморфозами по оливину.

Затем выступает черная базальтовая порода с прекрасной столбчатой отдельностью. Микроскопически порода оказалась авгитово-лабрадоровым диабаз-порфиритом с многочисленными серпентиновыми псевдоморфозами по оливину.

В окрестностях ст. Мартотубани выходят темнофиолетовые легко рассыпающиеся туфы плагиоклазового порфирита, недалеко же от них обнажаются кварцпорфировые туфы, среди которых залегает плотный кварцевый порфир небольшой мощности.

Выше имеются выходы опять тех же черных диабазов, аналогичных вышеописанным. Лишь в одном месте встречен небольшой выход гранита, на котором залегает кварцевый альбитофир; гранит здесь обнажен в виде тектонического клина.

Диабазовые породы продолжают до главного выхода р. восточных гранитов, но непосредственного контакта диабазов с гранитами не видно из-за перерыва в обнажении.

На левом берегу р. Квирила выходы основных пород продолжают через сел. Санахшире до сел. Кандара. Восточнее же, в районе сел. Шроша, нижние туфиты не выходят и на древнем кристаллическом массиве непосредственно залегает свита кварцевых песчаников, начинающаяся слоем базального конгломерата. Галька этого конгломерата состоит как из гранитного и кварцпорфирового материала, так из диабазовых пород, вполне аналогичных вышеописанным диабазам из Мартотубанского разреза. Источником этого диабазового материала могла быть лишь свита нижних туфитов, так как в отложениях древнее среднего лейаса других проявлений основного вулканизма, кроме отмеченных нами в нижнем лейасе, в Грузии не известно.

Наличие порфирита около станции Мартотубани было ранее отмечено П. Топурия [6]. Еще раньше эта же порода, как долейасовый вулканический покров — „порфирит-диабаз“, была выделена на карте П. Гамкрелидзе и С. Чихелидзе [2]. Но не было отмечено, что здесь мы имеем мощную, основную фацию нижнелейасового вулканизма, как это показано нами в настоящем очерке.

На основании вышесказанного фактического материала петрографический состав нижнелейасовой вулканогенной толщи Дзирульско-го массива рисуется в следующем виде:

1) кислая фация—кварц-порфиры и кварцевые альбитофиры и их пирокластолиты,

2) основная фация—альбитовые и лабрадоровые диабазы, диабазовые и базальтовые порфириты, часто мандельштейновые.

Таким образом, аналогично известному в некоторых местах Кавказа проявлению нижнелейасового вулканизма, в Грузии также устанавливается наличие, наряду с кислыми, и основных продуктов нижнелейасового вулканизма.

#### დაბოლოებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Варданянц Л. А.—Горная Осетия в системе Центрального Кавказа. Тр. ЦНИГРИ, вып. 25, Ленинград, 1935.
2. Гамкрелидзе П. Д. и Чихелидзе С. С.—ძირულის ხეობის ნაწილის გეოლოგიისათვის. საქ. გეოლოგიური ინსტიტუტის შრომებ. ტ. I, ნაკვ. 2, თბილისი, 1932.
3. Джанелидзе А. И.—О возрасте красных известняков Дзирульского массива. Сообщ. АН Груз. ССР, т. УШ, № 4, Тбилиси, 1946.
4. Дзоценидзе Г. С.—Домиоценовый эффузивный вулканизм Грузии. Изв-т геологии и минер. АН Груз. ССР, Монографии, № 1, Тбилиси, 1948.
5. Кахадзе И. Р.—Грузия в юрское время. Тр. Геолог. института АН Груз. ССР, сер. геолог., т. Ш (VIII), Тбилиси, 1947.
6. Топурия П. А.—Рквийский интрузив порфировидного гранита в Дзирульском массиве. Бюлл. Геод. ин-та Грузии, т. Ш, вып. 4, Тбилиси, 1948.

ბ. კოჭენიძე, ნ. სხირტლაძე, ი. ჩიქელაშვილი

## ძირულის მასივის ლიასური ნალექების მკვებავი სუბსტრატის ლითოლოგიის შესახებ

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წინამდებარე შრომაში ძირულის მასივის ლიასის წინადროინდელი სუბსტრატის პეტროგრაფიული შედგენილობის საკითხია განხილული და მოცემულია ცდა ლიასური ნალექების მკვებავი არის თავისებურებათა გარკვევისა. საკითხის ამ მხრივ განხილვა პირველ ყოვლისა მოითხოვს თანამედროვე მასივის პეტროგრაფიული შედგენილობის ცოდნას, რისთვისაც გამოვიყენეთ ლიტერატურული წყაროები, ხოლო ლიასური ნალექების მკვებავი არის ხასიათის დადგენისათვის ჩვენ მიერ ჩატარებულ იქნა მასივის ქანთა მძიმე და მსუბუქი ფრაქციების მინერალოგიური შედგენილობის შესწავლა დიფერენციალური (ქანების ცალკე ნიმუშების დაქუცმაცების) გზით და ფლუვიონტეგრაფიული (მდინარეთა ალუვიონის შესწავლა) ხერხით.

მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი დიფერენციალური ხერხით ჩვენვე შევისწავლეთ, მცირე ნაწილი კი ქ. ჩუბინიშვილის მიერ დამუშავებული მასალიდან გვაქვს აღებული.

მასივის ფარგლებში მომდინარე მდინარეთა ალუვიური ნალექების მინერალოგია ე. სანბურს აქვს შესწავლილი. მისი გამოკვლევა, როგორც ძირითადად მდ. ძირულის ხეობის ალუვიურ ნალექებს შეეხება, მეტად საინტერესო შედეგებს იძლევა და ჩვენს შრომაში საჭიროების მიხედვით არის გამოყენებული.

### თანამედროვე ძირულის მასივის გეოლოგიური აღნაგობის ძირითადი ხაზები

ძირულის მასივის მკვლევარები [1, 3, 5, 6, 7, 8] ამჟამად მის შედგენილობაში შემდეგ ფორმაციებს ასახელებენ:

I. მეტამორფული კომპლექსი, შემდგარი: ა) კრისტალური ფიქლებისა და ბ) ფილიტების წყებისაგან. კომპლექსში შემავალი წყებები უძველეს გეოსინკლინურ ნალექებს წარმოადგენენ და ხნოვანებით კამბრიულზე და კამბრიულისწინა დროზე არიან მიკუთვნებული.

II. კალედონიურ ოროგენეზისთან დაკავშირებული ინტრუზივები. ესენი, ს. ჩიხელიძის [9] მიხედვით, შემდეგი თანამიმდევრობით არიან წარმოშობილი: ა) კვარციანი დიორიტები, ბ) ჰიპერბაზიტები და პირველადი გაბროები, გ) ვარდისფერი გრანიტები მათთან დაკავშირებული გაბრო-დიბაზებითა და აპლიტ-პეგმატიტებით.

**მეტამორფული კომპლექსი**

კრისტალური ფიქლები. კრისტალური ფიქლების წყების დიდი ნაწილი შემდგომი ინტრუზიული პროცესების დროს მაგმის ინტენსიური ინექციით მიგმატიტებად გადაქცეულა. კრისტალური ფიქლების ის ნაწილი, რომელსაც ეს პროცესი არ შეხებია, გავრცელებით დამორჩილებულ როლს თამაშობს და მცირე ზომის იზოლირებული, მეტ-წილად ლინზისებრი, სხეულების სახით არის წარმოდგენილი. ამგვარ უბნებში ძირითადად ქარსიან ფიქლებს ვხვდებით, რომელთა შორის გამოირჩევიან ბიოტიტიანი, მუსკოვიტ-ბიოტიტიანი, კვარციტული, გრანატ-ქარსიანი და ნაკლებ მეტამორფული მუსკოვიტ-სერიციტიანი და ქლორიტ-სერიციტიანი ფიქლები (ქარტალის წყალი, ქვადაურა, ბაბლიხევი, მოლითი და სხვ.).

ს. ჩიხელიძე [9] ამავე კომპლექსში ამფიბოლიტებს და ნორმულ პარაგენისებსაც გამოყოფს. აღსანიშნავია, რომ კრისტალური ფიქლების ეს სახესხვაობანი კონტაქტური მინერალებიდან გრანატს, სილიმანიტსა და კორდიერიტს შეიცავენ.

ნორმალურ ქარს-ფიქლებში გ. სმირნოვი, ნ. თათრიშვილი, თ. კახაშვილი და ს. ჩიხელიძე [5, 6] შემდეგ მინერალებს ასახელებენ:

ცხრილი 1

ნიმუშების №№ და სადაურობა	№ 143 მდ. ძირულასა და საბანგლას წყალგამყოფზე %-ობით	№ 141 სოფ. ლიჩი %-ობით	№ 133/35 სოფ. ზარანი %-ობით	სოფ. მერხეთურას სათავეები %-ობით
მინერალები				
კვარცი	25,5	46,5	55,5	41,0
ქლოგიოკლაზი	2,0	17,0	19,0	—
მუსკოვიტი	32,8	14,5	18,0	40,7
ბიოტიტი	31,4	25,8	6,0	5,3
მადნეული მინერალები	5,5	0,2	1,5	5,0
გრანატი	2,8	—	—	—

ფილიტების წყება. ამ წყებაში, ს. ჩიხელიძის [8] გამოკვლევის მიხედვით, ფიქლების თითქმის ყველა სახესხვაობას ვხვდებით. აქ არიან სუსტად სახეშეცვლილი თიხოვანი და ნახშირიანი ფიქლები და ინტენსიურად მეტამორფიზებული ქარს-ფიქლებიც.

ფილიტების წყებაში ავტორი სამ ჯგუფს არჩევს:

1) ნორმული ფიქლები, 2) ინეცირებული ფიქლები და 3) მწვანე ფიქლები.

პირველ ჯგუფში მეტამორფიზმის ინტენსივობის მიხედვით 3 ქვეჯგუფი გამოიყოფა:

ა) სუსტად მეტამორფიზებული, საკუთრივ ფილიტები, წარმოდგენილი ასპიდური, გრაფიტიზებული, კვარციანი-სერიციტიანი და კვარც-ქლორიტ-სერიციტიანი ფიქლებით;



ბ) საშუალოდ მეტამორფიზებული კვარციან-სერიციტიანი ფიქლები, რომელთა შორის გამოირჩევიან: ალბიტიანი, ქლორიტიანი, მუსკოვიტიანი და კარბონატიანი სახესხვაობანი.

გ) ინტენსიურად მეტამორფიზებული ქარსიანი ფიქლები, რომლებიც ძალიან ახლოს დგანან ტიპიურ კრიტალურ ფიქლებთან. შედგენილობის მიხედვით აქაც „ბ“ ჯგუფის ანალოგიური ტიპები გვაქვს.

ნორმალური ფიქლების ჯგუფს მასივის აღმოსავლეთ პერიფერიაზე კვარციტები და გამარმარილოებული კირქვები ემატება.

ნორმალური ფილიტების შედგენილობაში შემდეგი მინერალური კომპონენტები ღებულობენ მონაწილეობას: კვარცი, სერიციტი, ალბიტი, პელიტური და ორგანული ნივთიერება, მცირეოდენი ქლორიტი, პირიტი და აგრეთვე ერთეული მარცვლები აპატიტის, ტურმალინის, ეპიდოტ-ცოიზიტის, მაგნეტიტის და მეორადი რკინის ჟანგის ჰიდრატი.

მეორე ჯგუფის ინეცირებული ფიქლების ძირითად სახესხვაობაში, მიუხედავად გრანიტული ან სხვა მაგმური პროდუქტების ინტენსიური გავლენისა, ფიქლების პირველადი მინერალოგიური შედგენილობა მაინც უცვლელი რჩება და ისინი, ზემოთყვანილის ანალოგიურად, კვარცის, ალბიტის, მიკროკლინის და მუსკოვიტისაგან არიან შემდგარი.

მესამე ჯგუფის მწვანე ფიქლები ძველი დიაბაზური ქანების გარდაქმნის გზით წარმოშობილან. შემადგენელი კომპონენტების მიხედვით მათში შემდეგი ტიპები გამოირჩევა: უკვარცო ქლორიტიანი და კვარციან-ცოიზიტიანი ამფიბოლიტები და აქტინოლითური ფიქლები. ქანების ეს ჯგუფიც გრანიტული მასალით არის ინეცირებული და ამის გამო კვარცითა და მიკროკლინით გამდიდრებას განიცდის [8].

**კალედონიურ ოროგენეზისთან დაკავშირებული ინტრუზივები  
(ძველი ინტრუზივები)**

\* 1. კვარციანი დიორიტები. ამ ჯგუფის ქანები საკმაოდ რთულ აგებულებას იჩენენ, მათი დიდი ნაწილი დაგენისებული სახესხვაობით არის წარმოდგენილი და კრისტალურ ფიქლებში გარდამავალ ტიპებს იძლევა. ზოგ უბანში კვარციან დიორიტებს განუცლიათ ვარდისფერი გრანიტების ზეგავლენა, რის შედეგად წარმოშობილია ვარდისფერ გრანიტებსა და კვარციან დიორიტებს შორის გარდამავალი შერეული ტიპი.

დაგენისებული კვარციანი დიორიტების შემადგენელი კომპონენტებია (ათი ნიმუშის საშუალო):

კვარცი	33,7%	კალიშპატი	1,3%
პლაგიოკლაზი	38,1 „	მადნეული,	
ბიოტიტი	19,3 „	ქლორიტი, აპატიტი, ეპიდოტი	2,6%
მუსკოვიტი	5,0 „		
		ჯამი	100%

ანალოგიურ შედგენილობას გვიჩვენებენ ნორმული კვარციანი დიორიტები, რომელთა რაოდენობრივ-მინერალოგიური შედგენილობა მოყვანილია ქვემოთ:

კვარცი	24,5%
პლაგიოკლაზი	60 "
ბიოტიტი	14 "
კალიშპატი	0,7 "
მადნეული, აპატიტი	0,8 "
ჯამი 100%	

2. ჰიპერბაზიტები და პირველადი გაბროები. ქრონოლოგიურად კვარციან დიორიტებს ფუძე ქანების ინტრუზივები მოჰყვებიან. მათ კვარციან დიორიტებთან შედარებით გაცილებით ნაკლები გავრცელება აქვთ და თითქმის ყოველთვის მცირე ინტრუზივების სახით გვხვდებიან. ქანების ამ ჯგუფში ერთმანეთისაგან ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: ა) სერპენტინიტები და ბ) გაბროიდული ქანები.

ა) სერპენტინიტები უმთავრესად ფილიტებში არიან მოქცეული; უკანასკნელში საერთოდ ხშირია ჰიპერბაზიტის შრეძარღვეული სხეულები, რომლებიც მერ შემთხვევაში სერპენტინიტით არიან წარმოდგენილი. ამ ქანების გამოსავლები ძირითადად მასივის აღმოსავლეთ ნაწილშია თავმოყრილი (ქეშორის დღე, რცხილა-ბაგირი, თეთრი მინდორი და ლოპანის წყალი).

სერპენტინიტის შედგენილობაში შემდეგი სახეობანი ლეზულობენ მონაწილეობას: ხრიზოტილი, ანტიგორიტი, სერპოფიტი და ბასტიტი, გარდა ამისა მცირე რაოდენობით ვხვდებით ქრომიტს, პიკოტიტს და მაგნეტიტს.

გაბროიდული ქანები დაიკისებურ, ზოგჯერ შტოკისებურ სხეულებს იძლევიან. ისანი უმთავრესად მასივის აღმოსავლეთ ნაწილში არიან გავრცელებული.

3. კილასონია [3] გაბროიდულ ქანებში ორ ქვეჯგუფს გამოყოფს: გაბრო-ამფიბოლიტებს და ნამდვილ გაბროებს.

ს. ჩხელიძის აზრით ამავე ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ძველი ხნოვანების გაბრო-დიაბაზებიც.

გაბრო-ამფიბოლიტების შედგენილობაში შედიან: ლაბრადორი, მეორადი ალბიტი, ვასტინგსიტი, აქტინოლითი, სერიციტი, ეპიდოტი, ცოიზიტი, ბიოტიტი, ქლორიტი, პრენიტი, კალციტი, მაგნეტიტი, ილმენიტი, მცირეოდენი კვარცი და აპატიტი.

ნამდვილ გაბროებში სამი სახესხვაობა გამოიყოფა: ოლივინპიროქსენიანი გაბრო, პიროქსენჩატყუარიაანი გაბრო და გაბროპეგმატიტი; ყველას შედგენილობაში შედის: ოლივინი, დიოქსიდი, რქატყუარა, ლაბრადორი, აქტინოლითი, ქლორიტი, პრენიტი, ცოიზიტი, ეპიდოტი, მაგნეტიტი, პირიტი, შპინელი და აპატიტი. ანალოგიური შედგენილობის არიან გაბრო-დიაბაზებიც.

3. ვარდისფერი გრანოიტოიდები და მათთან დაკავშირებული აპლიტ-პეგმატიტები. ასაკით ეს ქანები კვარციანი დიორიტების და ფუძე ინტრუზივების შემდგომი არიან.

ისე როგორც კვარციანი დიორიტების შემთხვევაში, აქაც რამდენიმე სახესხვაობაა წარმოდგენილი. ს. ჩიხელიძის [8] და პ. თოფურიას [7] მიხედვით, ამ ჯგუფში ძირითადად გვხვდება პორფირული და ლეიკოკრატული გრანიტები, გნეისისებრი გრანოდიორიტული სახესხვაობები, აპლიტ-მიკროგრანიტები, წვრილმარცვლოვანი მუსკოვიტიანი გრანიტი და პეგმატიტები. უკანასკნელი სამი ტიპი ძარღვეულ სხეულებს იძლევა და ჰევეს როგორც ძველ კომპლექსს, ისე ვარდისფერი გრანიტების ძირითად სახესხვაობებს.

ვარდისფერი გრანიტოიდების მთელი ეს კომპლექსი ძირულის მასივში ფართო გავრცელებით სარგებლობს, მაგრამ მისი ინტრუზივები უფრო მძლავრად მასივის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში არიან წარმოდგენილი. აღმოსავლეთ ნაწილში ვარდისფერი გრანიტოიდების კომპლექსი ფართოდ არის გავრცელებული ლოპანის წყლის და ქერათხევის აუზში, დასავლეთით კი ამ ინტრუზივებს ყვირილის ხეობაში, რკვიის რაიონში და შროშა-საქისრულას ზოლზე ვხვდებით.

ამ ჯგუფში შემავალ ნორმალურ ანუ, როგორც მას უწოდებენ, ალასკიტური ტიპის გრანიტში შემდეგი კომპონენტები არიან წარმოდგენილი: კვარცი, კალიშპატი (მიკროკლინი), ბიოტიტი, იშვიათად რქატყუარა და მუსკოვიტი; აქცესორული მინერალებიდან—აპატიტი, მაგნეტიტი და სტენი; მეორადი—ქლორიტი, სერიციტი, პელიტური ნივთიერება და იშვიათად ეპიდოტი ან კალციტი. სრულიად ასეთივე შედგენილობა აქვს ძარღვის ქანებს—აპლიტებს, მიკროგრანიტებს და მუსკოვიტიან გრანიტებს, რომლებიც ძირითადი ტიპისაგან მხოლოდ სტრუქტურითა და ტექსტურით განსხვავდებიან.

გნეისისებრ გრანოდიორიტულ ტიპში მცირდება კვარცისა და კალიშპატის რაოდენობა; პლაგიოკლასი ძირითადად ანდეზინია, იშვიათად კი ალბიტოლი-გოკლასაც ვხვდებით. ამ სახესხვაობაში ინექციური პროცესების შედეგად შედგენილობის მხრივ დიდ სიჭრელეს აქვს ადგილი, მაგრამ ასეთი ქანები უფრო ხშირად მიგმატიტებს უკავშირდებიან, სადაც ვარდისფერი გრანიტის მიკროზოლები და ლინზები ადრე ინეცირებულ-მიგმატიტური ქანის ზოლებთან მორიგეობს.

ასეთია ძირითადად მასივის ძველი სუბსტრატის პეტროგრაფიული ხასიათი.

მაგრამ ქანების ზოგადი პეტროგრაფიული ხასიათის ცოდნა ნალექი ფორმაციების მკვებავი წყაროს ლითოლოგიური შედგენილობის დადგენისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაშია საკმარისი, როდესაც ნალექები პსეფიტური მასალითაა წარმოდგენილი და სუბსტრატიდან მოტანილი კლასტური კომპონენტების მთავარი მასა ქანების ნატეხებია და არა ცალკეული მინერალები. ხოლო თუ დანალექი ქანები პსამიტურ-პელიტური მასალისაგან შედგება, მკვებავი სუბსტრატის ლითოლოგიური ბუნების გარკვევისათვის აუცილებელია მისი შემადგენელი ქანების ან ფორმაციებისათვის დამახასიათებელ მძიმე და მსუბუქ მინერალთა ასოციაციების ცოდნა, რომ, დანალექ ქანებში მინერალთა ამა თუ იმ ასოციაციის დადგენისას შესაძლებელი იქნეს მათი დაკავშირება მკვებავი სუბსტრატის ისეთივე ასოციაციის შემცველ ქანებთან.

ამგვარად, მკვებავი სუბსტრატის ქანების მძიმე და მსუბუქი ფრაქციების მინერალების ცოდნა ძირითადი პირობაა დანალექი ქანების შესწავლისას ზოგი პალეოგეოგრაფიული დასკვნის გამოსატანად.

მკვებავი სუბსტრატის მძიმე და მსუბუქი ფრაქციების მინერალური შედგენილობის გარკვევისათვის ორი გზა არსებობს: ერთია ეგრეთ წოდებული დიფერენციალური მეთოდი, როდესაც ყოველ საკვლევ ქანს წვრილად დაამტვრევენ, დაყოფენ მძიმე და მსუბუქ ფრაქციებად და შეისწავლიან უკანასკნელთა მინერალურ შედგენილობას. ამ მეთოდის ნაკლი ისაა, რომ შესწავლილ ნიმუშთა მცირე რაოდენობის შემთხვევაში მიღებული შედეგები შესაძლოა საკმაოდ განსხვავდებოდნენ სინამდვილეში ამ ქანისათვის დამახასიათებელი საშუალო შედგენილობისაგან.

მეორე მეთოდია ინტეგრალური მეთოდი, როდესაც შეისწავლება ალუვიური ქვიშა მცირე მდინარის ან ლელისა, რომელიც მხოლოდ ერთ რომელიმე ტიპის ქანს ან ფორმაციას რეცხავს. ასეთ შემთხვევაში მდინარის ქვიშა უკვე წარმოადგენს მეტ-ნაკლებად საშუალო სინჯს, შედგენილს ქანის დიდი ფართიდან და, ცხადია, მიღებული შედეგები უფრო ახლოს იქნება სინამდვილესთან.

ჩვენ მიერ ჩატარებულია ძირულის მასივის მეზოზოურისწინა ქანთა მძიმე და მსუბუქი ფრაქციების მინერალთა ორივე მეთოდით შესწავლა, რომლის შედეგებიც ქვემოთ არის მოყვანილი.

### დიფერენციალური ხერხით კვლევის შედეგი

მასივის შემადგენელი ძირითადი ტიპების დიფერენციალური ხერხით დამუშავება შემდეგ სურათს იძლევა (ცხრილი 2).

მოყვანილი ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ კრისტალური ფიქლების მძიმე ფრაქცია ბიოტიტის დიდი შემცველობით ხასიათდება და მისი ძირითადი კომპონენტიც ეს უკანასკნელია.

ფილიტები საკმაოდ განსხვავდებიან კრისტალური ფიქლებისაგან, ისინი მადნეული მინერალის და ქლორიტის ჭარბი შემცველობით ხასიათდებიან.

გნეისისებრი კვარციანი დიორიტები კრისტალური ფიქლებისაგან ბევრად არ განირჩევიან, რადგანაც მათში კრისტალური ფიქლების რელიქტური მასივები დიდ ადგილს იკავებენ; ამიტომაცაა, რომ ბიოტიტი აქაც საკმაოდ რაოდენობით გვხვდება, მაგრამ მათთვის აპატიტის შესამჩნევი რაოდენობაცაა დამახასიათებელი; შესაძლოა, რომ ეს უკანასკნელი საკუთრივ კვარციანი დიორიტების მაგმის ნაწარმოებს ეკუთვნოდეს.

აღნიშნული ქანებიდან მკაფიოდ გამოიყოფიან გრანიტ-მიგმატიტები, რომელთათვის ეპიდოტ-ცოიზიტის დიდი კონცენტრაცია და მდგრადი მინერალის მნიშვნელოვანი შემცველობაა დამახასიათებელი. ვარდისფერი გრანიტოიდები ზემოხსენებული ქანებისაგან დიდად არ განსხვავდებიან, თუმცა

№ ჩიხზე	ჩიხსუშვების	ქანის დასახელება	ქანის ალების ადგილი	მიძე ფრაქციების შემადგენელი კომპონენტების რაოდენობა % /% -ით											შენიშვნა			
				სპისტილი	აფიბოლიტი	ამფიბოლიტი	ფილიტი	ფილიტი	ფილიტი	ფილიტი	ფილიტი	ფილიტი	ფილიტი	ფილიტი		ფილიტი		
117		კრისტ. ფიკალი	მეტნეფრა	5,6	2,1	2,2	2,9	10,2	—	—	80,3	—	—	—	—	—	—	—
2	25	"	ნადაბური	—	—	12	<1	26,5	0,5	—	77	—	—	—	—	—	—	—
3	558	"	დუმბალი	3,3	—	—	7	—	0,5	—	168,6	—	—	—	—	—	—	—
4	66	ამფიბოლიტი	უწლვი	65	—	5	—	—	95	—	—	—	—	—	—	—	—	—
5	9	ამფიბოლიტი	ჭურათევი	59	—	—	—	—	3	—	—	—	—	—	—	—	—	—
6	7	"	ჭურათევი	0,25	16,6	7,8	7,9	—	20,6	7,8	0,9	28,6	—	—	—	—	—	—
7	6	ფილიტი	ბეინევი	0,2	21,3	24,6	5,2	—	26	—	9,1	—	—	—	—	—	—	—
8	63	ფილიტი	ბეინევი	1,7	85,5	—	2	—	4	—	6	—	—	—	—	—	—	—
9	7	ფილიტი	ჩორჩანა	0,5	73	4	—	—	—	—	5	—	—	—	—	—	—	—
10	71	ფილიტი	უწლვი	—	18	10	1	—	3	—	42	7	—	—	—	—	—	—
11	120	ფილიტი	ჭურათევი	21,3	3	5,5	—	—	2	—	—	—	—	—	—	—	—	—
12	183	გრაზიტ-მიგმატი	ბრილი	4	—	6,3	12,3	—	81,3	—	—	—	—	—	—	—	—	—
13	131	მიგმატი	ბეინეფრა	1	17,6	—	20,3	14	—	—	39,8	—	—	—	—	—	—	—
14	302	სერიციტული მუხებურა	მუხებურა	3,6	—	—	—	0,6	2,1	—	0,8	—	—	—	—	—	—	—
15	53	გენისი	გაგასა	21	—	—	7	8	—	—	40	—	—	—	—	—	—	—
16	192	დაგნესტული გრანიტი	რიჯოთის უღ.	13	—	—	7,5	<1	—	—	91	—	—	—	—	—	—	—
17	14	ბანატი	"	26,6	—	—	3	26,5	0,5	1	68,5	1,5	—	—	—	—	—	—
18	351	ბანატი	"	4,4	—	4	17	—	—	—	79	—	—	—	—	—	—	—
19	337	გაბრო	მუხებურა	34	—	5	—	—	1	—	93	1	—	—	—	—	—	—
20	—	სტრაგენიტი	ლოპანი	47	—	12	—	—	3	—	80	5	—	—	—	—	—	—
21	14	გარდისფ. გრან.	ვერტევილის წმ.	24	—	72,7	—	13,9	1,1	3	0,6	5,6	—	—	—	—	—	—

ქარსი მწვანე ფერისაა რკატუფრა ტრემოლიტური 249/თ. ჩვეულებრივი 65%

ქარსი მწვანე ფერის არის რკატუფრა მწვანე. ქარსი ბიოტიტითაა წარმოდგენ.

ქარსი ბიოტიტითაა წარმოდგენილი ქარსი მწვანე ფერის არის, ცირკონი ძლიერ პატარა კრისტ. სახით რკატუფრა მწვანე ფერისაა ჩაქრობის კუთხე 16—170 რკატუფრა მწვანე ფერისაა, ფონინი რაოდენობით არის მუსკოვიტი და ბიოტიტი.

ამ ქანებში, სხვებისაგან განსხვავებით, აპატიტის შესამჩნევ რაოდენობას ვნახულობთ.

მეორე ცხრილიდან საშუალოდ ვღებულობთ

ცხრილი 3

ქანების დასახელება	კრისტალური ფიქლები	ფილიტები	გნეისის მსგავსი კვარციანი დიოტიუმი ქარსით მდიდარი	განიტ-მიგმატიტები	ვარდისფერი გრანიტები	გაბრო-ამფიბოლიტები და ლიტი
შემადგენელი მინერალები						
მადნეული	8	40	5	6	20	3,5
მდგრადი მინერალები	1,5	2,6		12	7	
აპატიტი	—	—	19	—	9	—
რქატყუარა	< 1	3,1	< 1	—	< 1	8,5
ავგიტი	—	14,1	—	—	< 1	—
ბიოტიტი	80,3	14,3	49	—	35	< 1
მუსკოვიტი	—	10,3	10	—	—	—
ეპიდოტ-ცოიზიტი	—	—	0,5	81,3	—	—
გრანატი	< 1	—	15	—	1,1	1,5
ტიტანიტი	—	—	—	—	< 1	4
ტურმალინი	—	—	—	—	< 1	—
შპინელი	—	—	—	—	< 1	—
ქლორიტი	—	6,3	—	—	—	—
სერპენტინი	—	—	—	1,7	11	—
კარბონატი	—	—	—	—	—	—
არაგამჰვირვალე	8	25	—	—	5	—

გაბროები და გაბრო-ამფიბოლიტები მასივის სხვა ქანებისაგან ადვილად გამოსარჩევი არიან იმის გამო, რომ მათი მძიმე ფრაქცია ყოველთვის რქატყუარია.

**თანამედროვე მდინარეთა ალუვიური ნალექების შესწავლის შედეგი**


ძირულის მასივის ფარგლებში ნოქცეულ მდინარეთა ალუვიური ნალექების მინერალოგია ე. ს ა ნ ბ უ რ მ ა [4] შეისწავლა. ავტორს შესწავლის მთავარ ობიექტად მდინარე ძირულა და მისი შენაკადები აქვს აღებული. მთავარი მდინარის ხეობაში ნიმუშების აღების ადგილი და მათში კომპონენტების ცვალებადობა 1-ლ სურათზე და მე-4 ცხრილშია მოცემული.

მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ მძიმე ფრაქციის მინერალთაგან რაოდენობის მხრივ მთავარი მნიშვნელობა ბიოტიტს, ჩვეულებრივ რქატყუარას, ავგიტს, ეპიდოტ ცოიზიტს აქვთ. მათი ცვალებადობა ხეობის გასწვრივ წარმოდგენილ დიაგრამაზე ჩანს (ნახ. 2).

ცხრილი 4


მძიმე და მსუბუქი ფრაქციის მინერალური შედგენილობა (%-ით) მდ. ძირულის მთავარი ხეობის გასწვრივ და მის შენაკადებში

შემადგენელი კომპონენტები	ნიმუშის №№ და ადგილის ადგილი																
	მთ. პერანას კალთა	სოფ. ბზიარნეული	სოფ. ბუკვეთი	სოფ. ნადაბური	სოფ. ციციკური	სოფ. ხუნევი	სოფ. შერთყვილის კალა	სოფ. ვაშლევი	სოფ. შერთყვილა	სოფ. ბორითი	სოფ. უბისა	შ.რ.შა	ძირულა				
	1	2	3	4	5	7	10	11	12	14	15	16	18				
მინერალები > 2,8-ზე	მაგნეტიტი და ილმენიტი	8	10	14	4	5	4	23	20	14	16	14	13	12			
	რკინის ჰიდროქსიდი	18	8	11	17	4	3	7	7	3	3	1	2	4			
	გრანატი	<1	—	<1	1	—	<1	<1	<1	—	—	—	—	<1			
	მდგრადი მინერალი	<1	3	1	3	1	5	1	2	2	2	<1	1	1			
	რუტილი	<1	—	<1	—	—	—	—	<1	—	<1	—	—	<1			
	ტურმალინი	—	—	—	—	—	—	1	1	—	<1	—	1	<1			
	აპატიტი	—	<1	—	—	—	—	—	—	—	—	<1	—	—			
	მწვანე ქარსი (ბიოტიტი)	<1	3	1	27	44	28	5	7	1	45	64	13	25			
	ჩვეულებრივი რქატუარა	10	21	29	34	20	34	40	47	5	11	12	40	36			
	ტრემოლიტი	1	5	4	2	—	1	1	1	—	—	—	10	6			
	ჰიპერსტენი	2	6	<1	<1	—	1	<1	<1	—	<1	—	—	—			
	ავგიტი და დიოპსიდი	49	33	29	1	9	8	12	2	8	3	6	12	3			
	ეპიდოტ-ცოიზიტი	4	4	8	7	10	7	9	9	65	14	4	8	10			
	ანატაზი	<1	—	—	<1	—	<1	—	<1	—	—	—	—	<1			
	უფერო ქარსი	<1	<1	<1	2	4	9	—	—	—	6	—	—	—			
გაუმჭვირვალე არამადნეული	5	3	2	1	2	—	—	—	—	—	—	—	—				
მინერალები < 2,8-ზე	კვარცი	7	20	30	25	15	20	35	30	15	20	21	12	25			
	მინდვრის შპატი	22	45	27	40	25	40	36	35	64	30	29	43	46			
	ქარსი	—	4	3	25	30	25	13	—	5	35	30	30	12			
	ქლორიტი	8	6	3	—	—	—	1	—	1	—	—	—	—			
	კალციტი	—	—	—	—	30	15	—	—	—	—	—	—	—			
	ქანის ნატეხები	60	25	40	10	—	—	15	20	15	15	20	10	17			



ნახ. 1

მძიმე ფრაქციის კომპონენტთა ცვალებადობა მდ. ძირულისა და მისი შენაკადების გასწვრივ (ე. სანბურის მიხედვით)



ნახ. 2

ზეობაში მთავარ კომპონენტთა ცვალებადობის დიაგრამა (ე. სანბურის მასალების მიხედვით) I—მწვანე ქარსი, ბიოტიტი; II—ჩვეულებრივი რქატყუარა; III—ავგიტი; IV—ეპიდოტ-ციოზიტი

ეს ცვალებადობა გვერდითი შენაკადების მიერ მასალის შემოტანით აიხსნება. ასე მაგ., მწვანე ქარსის მატება ორ უბანზე გვერდითი შენაკადების მიერ ქარსით მდიდარი კრისტალური ფიქლების გარეცხვით არის გამოწვეული. ასევე უნდა ითქვას რქატყუარაზე და სხვა კომპონენტებზე.




უფრო საინტერესო შედეგებს იძლევა მთავარი შენაკადების ალუვიონის შესწავლა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ შენაკადი მხოლოდ რომელიმე ერთ გეოლოგიურ ფორმაციას რეცხავს. ე. სა ნ ბ უ რ ს [4] სწორედ ამ თვალსაზრისით აქვს შესწავლილი ალუვიონი მდ. ძირულის მრავალი შენაკადისა, რომლებიც სხადასხვა პეტროგრაფიული შედგენილობის ქანებს კვეთენ; მათგან ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მდინარის ალუვიური ნალექების შედგენილობა მოგვეყავს ცხრილის სახით, რომელშიც მოცემულია აგრეთვე მკვებავი არის ლითოლოგიური თავისებურება.

ცხრილი 5

ნიმუშების № № და აღების ადგილი		1	6	8	9	13	17
		ჩონთო	რიკოთის წყალი	ხუნევი	მეჩხეთურა	დუშალა	შაქარულა
მკვებავი არის ლითოლოგიური ხასიათი		ბაიოსის პორფირიტული წყება	ბაიოსის პორფირიტული წყების გრანოლოზიტები, კრისტალური ფიქლები, გაბრილები და კვ. დიორიტები	ძირითადად მიგრატაწილობრივ გრანიტები	უმთავრესად გაბრილები, ნაწილობრივ რიგ გრანიტები	კრისტ. ფიქლები და დანევის. კვარ. დიორიტები	გაბრილები და გრანიტები
		კომპონენტები					
შინჯარალები ხვედრითი წონით > 2,5-ზე	მაგნეტიტი და ილმენიტი	8	10	7	9	1	2
	რკინის ჰიდროქსიდი	18	2	4	3	2	12
	გოლანტი	<1	—	—	—	<1	<1
	მდგრადი მინერალი	<1	2	1	3	2	2
	რუტილი	<1	—	—	<1	—	1
	ტურმალინი	—	—	—	<1	1	<1
	მწვანე ქარსი	<1	20	3	—	72	31
	რქატყუარა	10	25	8	46	2	25
	ტრემ-ლითი	<1	5	<1	<1	4	10
	აფგიტი და დიოპსიდი	49	12	6	1	—	7
ეპიდოტ-ციოზიტი	4	20	70	11	—	<1	
ანატაზი	<1	—	—	<1	<1	4	
უფერო ქარსი	<1	—	—	23	13	1	
გაუმჟღავნებელი არამადნ.	5	—	—	4	—	4	
შინჯარალები ხვედრითი წონით > 2,5-ზე	კვარცი	7	30	10	12	5	10
	მინდვრის შპატი	22	43	65	55	20	35
	ქარსი	—	15	7	20	60	35
	ქლორიტი	8	—	3	—	—	—
	კალციტი ქანის ნატეხები	60	12	15	15	15	20

ცხრილიდან ჩანს, რომ მკვებავი არის ლითოლოგიის შეცვლა მკვეთრად აღიბეჭდება ალუვიონის მინერალოგიურ შედგენილობაზე, რაც უფრო თვალსაჩინოდ ჩანს მოყვანილ დიაგრამებზე.



ნახ. 3

მე-5 ცხრილში წარმოდგენილი ნიმუშების მიხედვით მთავარ კომპონენტთა ცვალებადობის დიაგრამა (ე. სანზურის მასალების მიხედვით). I—ავჯიტი, II რქატყუარა, III—ეპიდოტ-ციოზიტი, IV—მწვანე ქარსი

მოყვანილი დიაგრამების მიხედვით, ძირითადი კომპონენტებიდან კრისტალური ფიქლებისათვის მწვანე ქარსია დამახასიათებელი (ნიმ. № 13-ის დიაგრამა), გაბროებისათვის ჩვეულებრივი რქატყუარა (ნიმ. № 17-ის დიაგრამა), ხოლო მიგმატიტისათვის ეპიდოტ-ციოზიტი (ნიმ. № 8-ის დიაგრამა).

ყოველივე ზემოთქმულიდან ირკვევა, რომ ლიასურისწინადროინდელი ქანები შემდეგი მინერალოგიური ასოციაციით ხასიათდებიან: მწვანე ქარსი, ჩვეულებრივი რქატყუარა, ეპიდოტ-ციოზიტი და მეტად მცირე რაოდენობით მდგრადი მინერალი და აპატიტი. რაც შეეხება სხვა მდგრად მინერალებს: გრანატს, ტურმალინს, რუტილს და სხვას, მათ აქ უმნიშვნელო რაოდენობით ვხვდებით და მკვებავი არის ხასიათის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვთ.

ასეთია ძირითადად ამჟამად დენუდაციის არეში მოქცეული ლიასისწინადროინდელი ქანების პეტროგრაფიული ბუნება.

მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს შევეცადოთ, ზოგად ხაზებში მაინც, გავარკვიოთ ლიასური ნალექების მკვებავი არის ლითოლოგიური შედგენილობა.

## ლიასური ნალექების მკვებავი სუბსტრატის ლითოლოგია

ლიასის ტერიგენული ნალექების მკვებავი არის ლითოლოგიური ბუნების თავისებურება პირველ ყოვლისა ამ ნალექების ჩვეულებრივი პეტროგრაფიული შესწავლის გზით შეიძლება იქნეს გარკვეული. მასივის ფარგლებში წარმოდგენილი ნალექებიდან ამ მხრივ საყურადღებო აღმოჩნდნენ ქვიშაქვების ფაციესი და მასთან დაკავშირებული ფუძის კონგლომერატები, რომლებიც თითქმის ყველა ტექტონიკურად აუშლელ ჭრილშია წარმოდგენილი.

რიგ უბნებში კონგლომერატის რიყის ქვების შესწავლამ გვიჩვენა, რომ კენჭების 70—80% კარგად დამრგვალებულ კვარცხორფირებს და ნაწილი მის ტუფებს მიეკუთვნება. კენჭების დანარჩენი ნაწილი მიკროპეგმატიტებზე, ძარღვის კვარცხე და იშვიათად კვარციან დიორიტებზე მოდის. გარდა ამისა, ორხევის და ბუნიევის ხეობებში ნაგორებ კენჭებს შორის მეტად გამკვრივებული, წვრილმარცვლოვანი კვარციანი ქვიშაქვებიც შეგვხვდა. ეს ქვიშაქვები კვარციტული ჰაბიტუსის არიან, შედგებიან მკაფიოდ ტალღობრივ კვარცისაგან და სერიციტული ცემენტისაგან (ნიმ. № 366კ). ცემენტი საკმაოდ ბევრია და კვარცის მარცვლების კოროზიას ახდენს. ქანში მინდვრის შპატის ნიშნებიც კი არა ჩანს. ამავე კონგლომერატებში (ორხევი) კვარცხორფირული წყების ნაგორებ კენჭებს შორის ყურადღებას იპყრობს მორუხო ფერის კარგად დამრგვალებული რიყის ქვა (ნიმ. 366ც), რომელიც მიკროსკოპში ტიპური ვიტროფირული ტუფი აღმოჩნდა, მაგრამ საყურადღებო აქ ისიცაა, რომ ტუფში კარგად დამრგვალებული, მჭიდრო აგებულების კვარციანი ქვიშაქვის მარცვლებიც არის მოყოლილი. ქვიშაქვის ეს მარცვლები კვარციტულ იერს ატარებენ. აშკარაა, რომ ეს მარცვლები შემცველ მინებრივ ტუფზე ადრინდელი დანალექი წყებიდან არიან წარმომდგარი. თითქმის ყველა უბანში კონგლომერატების ცემენტი არკოზული მასალითაა წარმოდგენილი და კონგლომერატების ზემოთ მომდევნო არკოზული ქვიშაქვებისაგან არსებითად არ განსხვავდება; ამავე დროს ცემენტის მასის მთავარ შემადგენელ კომპონენტებს ეფუზიური და გრანიტული კვარცი წარმოადგენს. მინდვრის შპატებიდან საკმაოდ საღი მიროკლინი და ოლიგოკლაზი გვხვდება. ქარსების ჯგუფიდან უმთავრესად მუსკოვიტს ვხვდებით. ამრიგად, კონგლომერატის რიყის ქვები და მათი ცემენტიც თითქმის მთლიანად მთავრე ქანების—კვარცხორფირების, გრანიტებისა და კვარციანი დიორიტების—დაშლით არის წარმოშობილი.

კონგლომერატების ზევით მდებარე ქვიშაქვები სუფთა არკოზებს როდი წარმოადგენენ, მათში გრანიტულ და კვარციან დიორიტულ მასალასთან ერთად კვარცხორფირების და იშვიათად კვარციტული ფიქლის ნატეხებს ვპოულობთ. ამიტომ ჩვენ მით არკოზულ-გრანულოვანი ქვიშაქვებს ვუწოდებთ; ისინი ძირითადად კვარც-პორფირებისა და გრანიტ-დიორიტების დაშლით არიან მიღებული.

სტრატиграფიულად ზემოთ მომდევნო პსამიტ-ალევიტული ქვიშაქვები ქანის ნატეხებს აღარ შეიცავენ; მათში მთავარი შემადგენელი კომპონენტები კვარცი და ქარსი არიან; მინდვრის შპატი ძლიერ ცოტაა და ამავე დროს შეცვლილიც. ამ ქვიშაქვების ცემენტი მეტ შემთხვევაში ქლორიტულია, იშვია-


თად კი თიხურ-სერიციტული. ქვიშაქვის მთავარი მასა აქაც იმგვარივეა, როგორც ქვეშ მდებარე არკოზული ქვიშაქვებისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა კვარცისა და მუსკოვიტისაგან შემდგარი საკმაოდ წვრილმარცვლოვანი ხასიათის მასალა გვაქვს. კვარცი აქაც ორგვარი ხასიათისაა—ეფუზიურული და გრანიტული. კარგად ჩანს, რომ ამ ქვიშაქვების მასალის წყარო გრანიტები, კვარციანი დიორიტები და კვარცპორფირული წყებია.

რაც შეეხება კირქვიან ფაციესს, აქ, მართალია, ძლიერ ცოტას, მაგრამ მაინც ვხვდებით გრანიტული მასალის აშკარა ნიშნებს.

სხვანაირი სურათი გვაქვს ამ მხრივ მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე გავრცელებულ ქვიშაქვებისა და მერგელოვან-არგილიტურ წყებაში. აქ ქვიშაქვების მთავარი მასალა არკოზულია—წარმოდგენილი მოზაიკური კვარცით, კალიშპატით, ოლიგოკლაზით, მუსკოვიტით და ზოგჯერ ბიოტიტით; ეფუზიურული კვარცი მხოლოდ ერთ უბანში იქნა ნახული. ჩრდილო-აღმოსავლეთ ზოლში ყველგან ეფუზიურული კვარცის და საერთოდ კვარცპორფირული მასალის არარსებობა და აგრეთვე უხეშმარცვლოვანი ქვიშაქვების მხოლოდ არკოზული და არაგრაუვაკური ბუნება, სადაც მსხვილ ნაგორებ მასალაში მხოლოდ გრანიტული ელემენტებია წარმოდგენილი, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ ზოლში წარმოდგენილი ლიასური ნალექებისათვის მასალა ძირითადად გრანიტების გარეცხვის ხარჯზე წარმოიშვებოდა და, მაშასადამე, ამ დროს აქ მხოლოდ გრანიტები იყო გაშიშვლებული. ერთ ჭრილში ეფუზიურული კვარცის პოვნა შესაძლოა ავხსნათ გრანიტებთან დაკავშირებული ძარღვული კვარცპორფირების გარეცხვით, რადგან ამ მასალის მხოლოდ ცალკე უბანში პოვნა მისი წყაროს უმნიშვნელო გავრცელებაზე მიუთითებს. ამგვარად, როგორც მოყვანილი ფაქტები გვიჩვენებენ, კვარცპორფირული წყება მასივის ამ ნაწილში თავიდანვე არ ყოფილა წარმოდგენილი. ამასთან დაკავშირებით ეხლა შეიძლება განვიხილოთ ამ წყების გეოგრაფიული გავრცელების საკითხი. ჩვენს ხელთ არსებული მასალის ანალიზი ამ კითხვაზე საკმაოდ გარკვეულ პასუხს იძლევა.

მასივის დასავლეთ პერიფერიაზე კვარცპორფირულ ანუ ქვედა ტუფოგენურ წყებას ამჟამადაც ფართო გავრცელება აქვს მდ. ნარულის, ყვირილის და ძირულის ხეობებში. ამავე დროს ლიასური ნალექების მდინარეული ქვიშაქვების ფაციესი მდიდარია კვარცპორფირული მასალის საკმაოდ დამრგვალებული კენჭებით, ეს გარემოება კი ამ წყების შუალიასისწინა დროში უფრო ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს. შროშის ზოლიდან აღმოსავლეთ და სამხრეთ მიმართულებებით კვარცპორფირული წყების გამოსავლები ამჟამად არსად გვაქვს, მაგრამ ამ წყების ნაგორები მასალა ლიასის ფუძის ფორმაციაში ყველგან საკმაოდ მდიდრად არის წარმოდგენილი. საკმარისი იქნება მიგუთითოთ, რომ მარტო ორხევისა და ქარტალის ლელის, მოლითის ქრილებში და სურამის რაიონში ლიასის ფუძის კონგლომერატული მასალის 80% კვარცპორფირებისა და მათი ტუფებისაგან შედგება. რადგან ამ ხასიათის მასალა აღმოსავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ უბნებში უწყვეტლივ გვაქვს, ამიტომ, ჩვენი აზრით, მასივის ამ პერიფერიებზე წარსულში შუალიასისწინა კვარც-

პორფირული წყების, ანუ ქვედა ტუფიტების, საკმაოდ ფართო გავრცელება უნდა დაფიქსირდეს. რაც შეეხება მასივის ჩრდილო პერიფერიას, იქ ეს წყება ამჟამად ფართო გავრცელებით სარგებლობს, ხოლო ლიასის წინ, აღმოსავლეთი მიმართულებით, როგორც ჩანს, მდ. დუმალის ხეობამდე აღწევდა (ნახ. 4).



ნახ. 4. 1—კვარცპორფირული წყების გამოსავლები; 2—წყების გავრცელება ლიასურ დროში

ახლა ვნახოთ, რა შედეგს იძლევა ლიასური ნალექების ტერიგენული კომპონენტების ზინერალოგიური ანალიზი. ეხლავე უნდა აღვნიშნოთ, რომ შესწავლილ უბნებში მინერალთა თითქმის ერთგვაროვანი ასოციაცია გვაქვს. მძიმე ფრაქციების მინერალებიდან წარმოდგენილი არიან: პირიტი, ჰემატიტი, მაგნეტიტი, ლიმონიტი, გრანატი, ტურმალინი, რუტილი, შპინელი, აპატიტი, ტოპაზი, ანატაზი, სტავროლითი, მარგარიტი, ბარიტი, ავგიტი, რქატყუარა, ეპიდოტ-ციოზიტი, ბიოტიტი, ქლორიტი, კარბონატი (სიდერატი).

მსუბუქი ფრაქციიდან წარმოდგენილია კვარცი, კალიშპატი (მიკროკლინი) პლაგიოკლაზი, მუსკოვიტი, ქლორიტი.

მინერალთა ამ სიაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მადნეულ მინერალებს, რომელთა დიდი ნაწილი შემცველი ნალექების სინგენეტურია, უმთავრესად გრანიტული და გრანოდიორიტული ქანების დამახასიათებელ მინერალთა ასოციაცია გვაქვს. გამონაკლისს წარმოადგენენ სტავროლითი, გრანატი და მარგარიტი, რომლებიც მეტამორფული კომპლექსის ქანებისათვის არიან დამახასიათებელი.

გრანიტებისა და გრანოდიორიტებისათვის დამახასიათებელ ასოციაციებში მინერალურ სახეთა მეტი წილი უმნიშვნელო რაოდენობითაა წარმოდგენილი და საშუალოდ 1% ნაკლებია, ამიტომაც მათი საშუალებით რაიმე პალეოგეოგრაფიული საკითხის გადაწყვეტა ძნელია; ასეთი მინერალები არიან ტურ-ალინი, რუტილი, შპინელი, აბატიტი, ტოპაზი, ანატაზი, ბარიტი, რქატყუარა და სხვ., რომლებიც ერთეულ მარცვლებად თუ გვხვდებიან.

აღწერილი უბნებისათვის დამახასიათებელ მინერალთა მეტ-ნაკლებად მუდმივი ასოციაცია ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია მოცემული (ცხრილი 6).


ცხრილი 6  
მძიმე ფრაქციის ზოგიერთი დამახასიათებელი კომპონენტის ცვალებადობა (%-ით) ლიასის დანალექ წყებში

მინერალები		აბიტი	სხვადასხვა მდ-ნეული	მდგრადი მიწ-რალი	ავეიტსი	რქატყუარა	ეპილოტ-ციოზიტი	სტაგროლიტი	მარგარიტი
1.	მდ. ნარულა	34	3,6	1,6	0,7	0,3	1,1	2,84	—
2.	მდ. ყვირილა	1,54	67,1	6,6	4,9	1,8	0,5	—	—
3.	სოფ. წიფლაგაქე	1,1	30,6	44	2	0,1	1,2	1,5	3,3
4.	გლინავის ღვლე	8,58	18,5	14,1	0,2	0,2	0,7	—	—
5.	სოფ. შროშა	10,4	32,6	23,5	0,2	0,3	0,7	—	—
6.	მდ. საქასრია	17,7	60	9,5	0,8	0,7	0,17	—	—
7.	მდ. ბეინელრა	0	41,4	16,5	1,8	0	8,1	—	—
8.	მდ. ჩხრაღეთი	45,9	24,2	17,17	0	0,55	0	—	1,6
9.	მდ. ლაღვანთასწყალი	19,2	5,76	6,4	1,2	0,9	0,4	—	—
10.	მდ. ვახანისწყალი	30	22	7	2	0,7	0,07	—	—
11.	მარელისის ქედი	15,4	46,2	11,6	0,11	0,3	—	—	—
12.	მდ. ქარტალი	18,8	34,8	23,12	0,2	0,9	0,05	—	—
13.	მდ. ორხევი	7,8	58,9	23,1	5	0,08	0,34	—	—
14.	სოფ. ხევა-კობი	65,6	12,8	11,7	0,8	0,5	1,13	—	—
15.	სოფ. კაცხი	0	32,3	2,2	0,2	—	—	—	—
16.	სოფ. სალიეთი	0,08	89	2,3	6,5	—	0,2	—	—
17.	მდ. დუმალა	46	11,9	18,1	0	6	1,08	5,5	—
18.	მდ. კარტნაულა	40	18,8	27,6	0,3	0,15	0,4	—	0,6
19.	ძირულა-ჩონთო	42,05	20,8	20,6	0,6	0,1	0,8	—	—
20.	მდ. ტერათხევი	21	36,5	8,9	0,15	0,15	3,04	—	—
21.	მდ. ოტრია	20,6	29,2	28,8	0,13	0,4	0,9	—	—
22.	სოფ. გვირგვინა (მდ. ლოპ. წყ.)	18,65	52,4	5,2	3,7	1,1	0,8	—	—
23.	მდ. ფრონე	44,3	45	3,2	3,0	—	1	—	—

ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ ავეიტსი, რქატყუარას და ეპილოტ-ციოზი-ტის ჯგუფის მინერალებს უმნიშვნელო რაოდენობასთან ერთად გავრცელებაში არაკანონზომიერება ახასიათებთ. ასე მაგ., ავეიტსის რაოდენობა მეტ შემთხვევაში 1%-ზე ნაკლებია, მაგრამ ყვირილის ხეობაში, ბეინეგში, ლაღვანთაში, ვახანში, ორხევიში, სალიეთში, გვირგვინაში და ფრონეზე მისი რაოდენობა ოდნავ იზრდება და ზოგჯერ 5—6%-მდე აღწევს; ავეიტსის რაოდენობის ზრდა ამ უბნების ლიასურ ნალექებში ზედალიასურში ტუფური მასალის გამოჩენით

არის გამოწვეული. ტუფური მასალის არსებობა კი ექვს არ იწვევს, რადგან ზოგ უბანში უდავოდ ტუფოგენური ქანების შრეებიც არის აღნიშნული.

ავგიტის რაოდენობის ცვალებადობა უბნების მიხედვით თანდართულ დიაგრამაზეა მოცემული. რაც შეეხება რქატყუარას, იგი ავგიტთან შედარებითაც კი ძლიერ ცოტაა და მხოლოდ ორგანაა 1%-ზე მეტი, ამასთან ორივე შემთხვევაში იგი ავგიტთან ერთად ტუფურ მასალასთან არის დაკავშირებული, სრულად არაკანონზომიერი განაწილება ახასიათებს ეპიდოტ-ცოიზიტს, რომლის რაოდენობა ბევრგან ნულამდე ჩამოდის და სულ რამდენიმე უბანშია 1%-ზე მეტი.



ნახ. 5


მძიმე ფრაქციაში ავგიტის რაოდენობის ცვალება (პროცენტობით) მასივის პერიფერიების სხვადასხვა უბანში, მასშტაბი 1 მმ=1%

საყურადღებოა ის გარემოება, რომ მათ შესამჩნევი რაოდენობით იქ ვხვდებით, სადაც ამჟამადაც მიგმატიტების გამოსავლები გვაქვს. ეს გარემოება, ზემოთაც გვქონდა აღნიშნული ძირულის თანამედროვე მდინარეთა ალუვიონის მინერალოგიური დახასიათების დროს.

როგორც ჩანს, ლიასისწინა სუბსტრატში მიგმატიტები უბნობრივად იყვნენ გაშიშვლებული და სწორედ ისინი წარმოადგენდნენ ეპიდოტ-ცოიზიტის წყაროს, რადგან მათ გარდა სხვა ქანების მძიმე ფრაქციებში ჩვენ მიერ ეპიდოტ-ცოიზიტი არ ყოფილა აღნიშნული. ანალოგიური სურათი ჩანს სტავროლიტისა და მარგარიტის გავრცელებაში. ეს კომპონენტები მხოლოდ ზოგიერთ უბნებში გამოიყოფიან. მათი ეპიდოტ-ცოიზიტის მსგავსად სპორადული გავრცელება მიგვითითებს ლიასის წინ მეტამორფული კომპლექსის შეზღუდულ გავრცელებაზე. ალბათ ნაწილობრივ მაინც ამავე მიზეზით უნდა აიხსნას ლიასის ნალექებში ბიოტიტის მეტისმეტი სიმცირე, რადგან კრისტალური ფიქლების მთავარი კომპონენტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ ბიოტიტია.

12. გეოლ. ინსტ. შრომება, მინ.-პეტრ. სერია, ტ II


მადნეულ მინერალებს (პირიტი, ჰემატიტი და ლიმონიტი) თითქმის ყველგან საკმაოდ რაოდენობით ვხვდებით. ისინი უმთავრესად ალევრიტული ქვიშაქვებისა და კირქვიანი ფაციესისათვის არიან დამახასიათებელი. მათი რაოდენობა



ნახ. 6

მძიმე ფრაქციაში მარგარიტის რაოდენობრივად ცვალებადობა (პროცენტობით) მასივის პერიფერიების სხვადასხვა უბანში, მასშტაბი 1 მმ = 1%

ნობრივი ცვალებადობა უბნების მიხედვით წარმოდგენილ დიაგრამაზეა მოცემული. მკვებავი არის თავისებურების გარკვევისათვის ამ კომპონენტებს ნაკლები მნიშვნელობა აქვთ, რადგანაც პირიტი და ჰემატიტი შემცველი ნალექების



ნახ. 7


მძიმე ფრაქციაში სტავროლითის რაოდენობრივად ცვალებადობა (პროცენტობით) მასივის პერიფერიების სხვადასხვა უბანში, მასშტაბი 1 მმ = 1%



სინგენეტური არიან, ზოლო ლიმონიტი, პირიქით, მათი დაჟანგვის ხარჯზეა გაჩენილი. ზოგიერთი მათგანის გენეზისზე ჩვენ ცალკე გვაქვს გამოთქმული მოსაზრებანი, ამიტომ მათ შესახებ აქ აღიარას ვამბობთ.

მძიმე ფრაქციის მინერალთა შორის ყველაზე მეტ ინტერესს მდგრადი მინერალი იწვევს. ეს მინერალი, მის საგრძნობლად გაზრდილ რაოდენობასთან ერთად, მორფოლოგიური თვალსაზრისითაც საინტერესოა.

ჩვენ მიერ შესწავლილ ნალექებში მდგრადი მინერალი ძირითადად ორგვარია. მის ერთ ნაწილს გრძელპრიზმული აგებულება და ბოლოებზე შკაფი-ოდ გამოსახული პირამიდული წახნაგებით შემოფარგვლა ახასიათებს; ზოგჯერ



ნახ. 8

მძიმე ფრაქციაში პირიტის რაოდენობრივად ცვალებადობა (პროცენტობით) მასივის პერიფერიების სხვადასხვა უბანში, მასშტაბი 1 მმ 1/6

ოვალურ ბუშტულებს და პრიზმული კრისტალების ჩანართებს შეიცავს. მდგრადი მინერალის ასეთი კრისტალების წახნაგებს გლუვი და გამჭვირვალე ზედაპირი აქვთ. წიბოები და კუთხეებიც მკვეთრად აქვთ გამოხატული.

მდგრადი მინერალის მეორე სახესხვაობა, რომელიც რაოდენობით პირველს სჭარბობს, მოკლე პრიზმული ჰაბიტუსისაა, პირამიდული წაწვეტება ბოლოებზე მასაც ემჩნევა, მაგრამ წიბოები აღარსად უჩანს. ამათ გვერდით ისეთი მარცვლებიც გამოირჩევა, რომელთაც იდეალურად მომრგვალებული ფორმა აქვთ. ასეთი ფორმები უმთავრესად წვრილ კრისტალებს ახასიათებს.

ჩვენ მიერ შესწავლილ მთავე კრისტალურ ქანებში დამრგვალებული მდგრადი მინერალი ვერსად ვიპოვეთ და ამიტომ ჩვენთვის ეხლაც საძებარია მისი წყარო. ჩვენი აზრით, ამ მინერალის მორფოლოგიური თავისებურება შესაძლოა მისი გორვით დამრგვალების შედეგი იყოს და არა მაგმური კოროზიისა. თუ

კი ეს ასეა, მაშინ დამრგვალებული მდგრადი მინერალის წყარო მასივის შემადგენელ კრისტალური ქანები კი არ არიან, არამედ რომელიღაც ძველი დანალექი წყება, რომელიც ლიასურამდე არსებობდა. ამ აზრის სასარგებლოდ ის ფაქტიც ლაპარაკობს, რომ ჭერათხევის კრილში გრანიტზე უშუალოდ განლაგებული არა არკოზული, არამედ კვარციანი ქვიშაქვები. ცხადია, გრანიტული მასივის დეზინტეგრაციის პროდუქტების იქვე მახლობლად დალექვის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა ამგვარი არაარკოზული ქვიშაქვის წარმოშობა. ამიტომ სავსებით ლოგიკურია დასკვნა, რომ ეს კვარციანი ქვიშაქვები წარმოიშვნენ რომელიღაც ძველი დანალექი წყების გარეცხვის შედეგად. ამ ძველი წყების არსებობის სასარგებლოდ ლაპარაკობს ლიასური ნალექების ფუძის ფორმაციაში კვარციანი ქვიშაქვების რიყის ქვების პოვნა და აგრეთვე კვარცპორფირული წყების ვიტროფირულ ტუფებში ამგვარივე ქვიშაქვების კენჭების დადგენა (გვ. 173). რაც შეეხება სრულწახნაგოვან სახეობას, იგი კვარცპორფირული წყებისათვის არის დამახასიათებელი, რაც დასტურდება კვარცპორფირების მძიმე ფრაქციებში შესამჩნევი რაოდენობით ასეთი მინერალის პოვნით, რაც ჩვენ მიერ ზემოთ იყო ნაჩვენები.

მასივის საზღვრეთ-დასავლეთ და აღმოსავლეთ პერიფერიულ ზოლში ძირითადად გვაქვს მდგრადი მინერალი, რომელსაც ყველა კუთხე კარგად აქვს შენარჩუნებული და გადაშლევების ნიშნები არ ეტყობა. ჩრდილო-აღმოსავლეთ ზოლში კი ეს მინერალი დამრგვალებულია. თუ მოვიგონებთ ზემოთქმულს, რომ დაუშუშავებელი მდგრადი მინერალის წყარო კვარცპორფირული წყებაა, მაშინ უდავო იქნება დასკვნა, რომ კვარცპორფირული წყება არ იყო გავრცელებული მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე, ხოლო მისი პერიფერიის დანარჩენ ნაწილში ეს წყება მნიშვნელოვან ფართს ფარავდა.

ახლა საჭიროა რამდენიმე სიტყვა ითქვას ზოგიერთი სხვა კომპონენტის შესახებ.

დიფერენციალური და ფლუვიონტეგრალური მეთოდის გამოყენებით დადგენილ იქნა ზოგიერთი კომპონენტის მჭიდრო გენეტური კავშირი ამა თუ იმ ტიპის ქანთან. მაგ., კრისტალური ფიქლებისათვის დამახასიათებელი ფრაქცია ბიოტიტისა, ვაბროებისა და ამფიბოლიტების კი — რქატყუარაინი.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ამ კომპონენტთა რაოდენობა ლიასურ ნალექებში უმნიშვნელოა, ხოლო ზოგჯერ კი სრულიადაც არ გვხვდება. ბიოტიტის არარსებობა გაუფერბარი რჩება, რადგან მისი შემცველი ქანები ლიასისწინა დროში არსებობდნენ და ირეცხებოდნენ კიდევ. მაშ როგორ უნდა აეხსნათ ბიოტიტის არარსებობა ამ ქანებში. ექვს გარეშეა, რომ ბიოტიტის ერთი ნაწილი გაუფერულდა და მუსკოვიტს დაემსგავსა. ამ გარემოებამ კი მის ცალკე გამოყოფას ხელი შეუშალა, ისე რომ მათი ერთმანეთისაგან გამოცალკეება ძნელი ხდება. ბიოტიტის ნაწილი მუსკოვიტთან ერთად გვაქვს ნაანგარიშევი. ბიოტიტის გაუფერულების მრავალი ფაქტი ჩვენ მიერ არის აღწერილი როგორც შლიფებში, ისე ფრაქციებში. ამ მინერალის მეორე და ამავე დროს მთავარი ნაწილი დაიშალა და მეორადი ქლორიტი მოგვცა. ამგვარი ქლორიტული მასები კი მეტად დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილი

კვარცქარსიანი ქვიშაქვების ცემენტში. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ზოგიერთ უბანში მსუბუქი ფრაქციის მინერალური შედგენილობის ცვალებადობის ცხრილი, საიდანაც კარგად ჩანს ქლორიტული მასების სიჭარბე.

ცხრილი 7

მსუბუქი ფრაქციის ხასიათი ძირულის მასივის ლიასური ნალექების ზოგიერთ ადგილში

ადგილის დასახელება	ნიმუშის №	მინერალები ნალექთა ტიპი	კვარცი	კალიშაბტი	ბლაგიოკლასი	თიხაქლორიტული მასები	ორგანული ნივთიერება	კარბონატი	თიხის აგრეგატული მინერალი	მუსკოვიტი
ნარულის ხეობა	№2	წითელი კირქვა	—	—	2%	—	—	—	98	—
	2 <sup>1</sup>	კრისტალური კირქვა ზოლის სახით	—	—	15%	85%	—	—	—	—
	4	მერგელ. ტუფური მას.	2%	—	1%	—	—	97%	—	—
	5	ქარსიანი ალფერიტული ქვიშაქვა	2	—	3	95	—	—	—	—
	6	კლასტური თიხიანი კირქვა	—	—	3	97	—	—	—	—
	8	ქვიშიანი კირქვა	5%	—	1%	90	—	—	—	4%
	9	ალფერიტული ქვიშაქვა	25	—	2%	—	—	2%	51	20
	11	კირქვიანი ალფერიტული ქვიშაქვა	17	—	16%	50%	—	—	—	17
14	არკოზული გრაუვაკური ქვიშაქვა	30	5	2	51%	—	—	—	12	
შროშის უბანი	98	არკოზ. კონგლომერატები	35%	10%	6%	42%	—	—	—	7%
	99	"	20%	10%	8%	54%	10	3	—	5
	100	წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვა	—	—	—	96	—	—	—	4%
	101	ფიქლებრივი თიხა	10	2	—	73	—	2	—	8
	102	არკოზ. კონგლომერატი	30	20	16	23	—	—	—	11
	103	თიხა ცეცხლგამძლე	—	—	—	100%	—	—	—	—
	104	არკოზ. კონგლომერატი	20	19	10	41	—	—	—	10%
	105	არკოზ. ქვიშაქვები	18	8	4	66	—	—	—	4
	106	"	31	6	11	45	—	—	—	7
	106 <sup>1</sup>	"	12	5	8	65	4	—	—	6
	107	არკოზ. კონგლომერატი	41	12	13	26	—	—	—	8
	107 <sup>2</sup>	ნახშირიანი ქვიშაქვები	45	6	13	28	—	—	—	8
	107 <sup>3</sup>	"	15	—	5	65	5	—	—	—
	108 <sup>1</sup>	რუხი კვარც-ქარსიანი ქვიშაქვები	30	5	8	40	3	—	—	—
108 <sup>2</sup>	"	35	5	20	30	5	—	—	10	
109	კვარც-ქარსიანი ქვიშაქვა	28	15	10	33	5	—	—	10	
110	"	30	7	10	40	2	—	—	17	
113	რუხი კვარციან-ქარსიანი ქვიშაქვა	50	5	10	25	—	—	—	10	
114	მოწითალო ქვიშაქვები	30	2	12	—	—	—	38	18	
114 <sup>2</sup>	კირიანი ქვიშაქვები	15	—	5	00	—	—	70	10	
შროშის ტერიტი	116	ოდნე ქვიშიანი კირქვა	15	—	—	—	75	—	—	—
	117	წითელი კირქვა	20	20	—	—	60	—	—	5
	120	"	20	—	—	—	—	80	—	—

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
ლტრის ხევი	130	კვარციანი ქვიშაქვა	45	28	5	18	—	—	—	10
	131	ქვიშიანი მერგელი	7	—	2	88	—	—	—	3
	132	არგილიტი	2	—	—	98	—	—	—	—
	133	მარცვლოვანი კირქვა	—	—	2	98	—	—	—	—
	134	სერიციტული არგილიტი	—	—	უმ. რ.	100%	—	—	—	—
	135 <sup>1</sup>	ალვერიტული ქვიშაქვა	25	—	18	57	—	—	—	—
	136	არგილიტი	5	—	1,5	85,9	—	—	—	4
	139	ალვერიტული ქვიშაქვა და თიხა	13	—	2	78	—	—	—	7
	140	კვარც-არკოზული ქვიშაქვა	30	5	15	45	—	—	—	5
	ორზვის ხეობა	366	კონგლომერატის ცემენტი	10	—	2	78	—	—	—
367		არკოზული ქვიშაქვა	16	1	4	65	—	—	—	14
368		რუხი მომწვანო ქვიშაქვა	18	2	—	70	—	—	—	10
369		საშუალომარცვლოვანი ქვიშაქვა	22	14	—	53	—	—	—	11
372		კვარც-ქარსიანი ქვიშაქვა	28	7	6	—	6	—	45	8
347		ქარსიანი ქვიშაქვა	20	10	8	—	10	—	42	10
375		"	38	18	16	18	—	—	—	10
376		"	40	5	10	35	10	—	—	—
377		კვარციანი ქარსიანი ქვიშაქვა	46	5	10	32	—	—	—	7

რაც შეეხება ლიასურ ნალექებში ამებიოლის არარსებობას ან მის უმნიშვნელო რაოდენობას, ეს იმიტ უნდა აიხსნას, რომ ლიასის წინ მისი შემცველი გაბროული ქანები, რომელთაც ამჟამად მცირე ფართი უჭირავთ, კიდევ უფრო უმნიშვნელოდ იყვნენ გაშიშვლებული.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ლიასისწინადროინდელი სუბსტრატი შემდგარი უნდა ყოფილიყო კვარციანი დიორიტების, გრანიტოიდების, კვარცპორფირების, რომელიდაც დანალექი წყებისა და კრისტალური ფიქლებისაგან. უკანასკნელთ, მიგმატიტების ჩათვლით, შედარებით სხვებთან უმნიშვნელო ადგილი ეკავათ. ამიტომ ლიასური ნალექების ძირითად მკვებავ წყაროს კვარცპორფირები, ამჟამად გადაარეცხილი დანალექი წყება, კვარციანი დიორიტები და გრანიტები წარმოადგენენ.

დასასრულ, საჭიროა აღინიშნოს, რომ ლიასურ ნალექებში ძირულის მასივის გადაარეცხვის პროდუქტების როლის გამორკვევასთან დაკავშირებით ჩატარებულ სუბსტრატის ქანების მძიმე ფრაქციების მინერალურ შესწავლას მნიშვნელობა აქვს საერთოდ საქართველოს ბელტის პალეოზოოურის შემდგომი ნალექების მკვებავი წყაროს ხასიათის გარკვევისათვის. ამ მხრივ ეს ნაშრომი აუცილებელი საფეხურია საქართველოს დანალექი ქანების პეტროგრაფიული შესწავლის საქმეში.

Г. С. ДЗОЦЕНИДЗЕ, Н. И. СХИРТЛАДЗЕ, И. Д. ЧЕЧЕЛАШВИЛИ

## О ЛИТОЛОГИИ ПИТАЮЩЕЙ ОБЛАСТИ ЛЕЙАССКИХ ОСАДКОВ ДЗИРУЛЬСКОГО МАССИВА

### Резюме

В работе излагаются результаты изучения минералогического состава тяжелых и легких фракций пород, слагающих Дзирульский массив, и дана попытка выяснения литологических особенностей питающей области лейасских отложений, развитых вокруг этого массива.

Общая петрографическая характеристика пород Дзирульского массива приведена по имеющимся богатым литературным источникам. Минералогический же состав фракций главным образом изучен нами как дифференциальным, так и флювиоинтегральным методами; однако частично были использованы также материалы К. Г. Чубинишвили, ранее проводившей исследование тяжелой фракции некоторых коренных пород Дзирульского массива, и Е. В. Санбур [4], детально изучившей минералогию аллювия р. Дзирула и ее притоков.

### ОСНОВНЫЕ ЧЕРТЫ ГЕОЛОГИЧЕСКОГО СТРОЕНИЯ СОВРЕМЕННОГО ДЗИРУЛЬСКОГО МАССИВА

В строении Дзирульского массива принимают участие метаморфический комплекс и интрузивы разного состава.

Метаморфический комплекс состоит из кембрийских и докембрийских геосинклинальных осадочных образований и по степени метаморфизма делится на две свиты: кристаллических сланцев и филлитов. Первая из них большей частью превращена в мигматиты, а не подвергшиеся мигматитизации части образуют лишь небольшие изолированные линзообразные тела, состоящие преимущественно из слюдястых сланцев, редко содержащих гранат, силлиманит и кордиерит. Отмечается также наличие амфиболитов и парагнейсов.

В филлитовой свите, по С. Чихелидзе [8], встречаются разности от слабо измененных глинистых и углистых сланцев до интенсивно метаморфизованных слюдястых сланцев. В состав филлитов входят следующие минеральные компоненты: кварц, серицит, альбит, пелитовое и углистое вещества, небольшое количество хлорита и пирита, а также единичные зерна устойчивого минерала, апатита, турмалина, эпидота-цоизита, магнетита и вторичного лимонита.

Среди филлитов встречаются инъецированные гранитом разновидности, также состоящие из вышеперечисленных минералов, но частично обогащенные кварцем, альбитом, микроклином и мусковитом.

В филлитовой толще изредка встречаются зеленые сланцы, образовавшиеся за счет диабазо-порфировых пород. Среди них выделяются разновидности: хлоритовые, кварцево-цоизитовые, амфиболитовые и актинолитовые.

Интрузивные породы представлены разными типами. Гнейсовидные кварцевые диориты состоят из кварца, кислого плагиоклаза, биотита (ок. 19%), мусковита. Калишпата в ней около 1%. Из аксессуарных—магнетит, устойчивый минерал, апатит, а также вторичные—эпидот и хлорит. В некоторых участках эти кварцевые диориты испытали влияние последующей интрузии розовых гранитов и дали переходные к гранитам разновидности.

Интрузии гипербазитов и габбро являются более молодыми, чем кварцевые диориты и имеют незначительное распространение. В серпентинитах, кроме серпентина, встречаются хромит, пикотит и магнетит.

Среди габбровых пород различаются: габбро-амфиболиты, оливинново-пироксеновые и пироксено-роговообманковые габбро и габбро-пегматиты.

Наиболее молодыми в домезозойском комплексе являются интрузивы розовых гранитов и связанные с ними пегматиты и аплиты. Все они характеризуются наличием в их составе кварца, микроклина, биотита, редко роговой обманки и мусковита; из аксессуарных—apatита, устойчивого минерала, магнетита и сфена; из вторичных—хлорита, серицита и редко эпидота и кальцита.

Такова краткая петрографическая характеристика домезозойских пород Дзирульского массива, служившего одной из питающих областей для мезозойских и более поздних осадочных формаций Грузинской глыбы.

Но знание общей петрографической природы пород для установления источников сноса достаточно лишь в том случае, если изучаемые осадочные толщи состоят из крупнообломочного материала. Если же слои слагаются из псаммитового или более мелкого кластического материала (что наблюдается чаще), то лишь знание минералогического состава тяжелых фракций пород питающих областей дает возможность выполнить вышепоставленную задачу.

В результате дифференциального изучения установлено, что тяжелая фракция кристаллических сланцев характеризуется большим содержанием биотита, филлитов—рудного минерала и хлорита, гнейсовидных кварцевых диоритов—биотита и апатита, мигматитов—эпидота-цоизита и группы устойчивых, розовых гранитов—apatита и группы устойчивых, габбро и габбро-амфиболитов—роговой обманки.

Изучение аллювия притоков р. Дзирула подтвердило данные, приведенные выше.

Таким образом, продукты размыва долейасских формаций Дзирульского массива характеризуются следующей ассоциацией минералов: зеленая слюда,

обыкновенная роговая обманка, эпидот-цоизит и небольшое количество группы устойчивых и апатита. Гранат, турмалин, рутил и др. встречаются в незначительном количестве.

Полученные результаты позволяют дать попытку выяснения литологического состава питающей области для лейасских отложений.

Изучение петрографического состава галек базальных конгломератов в разных разрезах среднего лейаса показало, что они на 70—80% представлены кварцевыми порфирами и, реже, их туфами; незначительное количество же приходится на микропегматиты, жильный кварц и кварцевые диориты.

Цемент конгломератов также представлен аркозовым материалом с значительным участием эффузивного кварца. Как видим, конгломератовый горизонт образовался за счет размыва кислых пород: кварцевых порфиров, гранитов и кварцевых диоритов.

Кроме того следует отметить, что в Орхеви и Бжиневи была встречена галька плотного кварцитовидного песчаника, а также витрофирового туфа; последний с своей стороны содержит мелкие обломки плотного кварцевого песчаника. Нет сомнения, что эти обломки песчаников заимствованы из какой-то, ныне размывтой, древней осадочной толщи.

Залегающие над конгломератами крупнозернистые песчаники состоят из того же материала, но иногда содержат также обломки кварцитовых сланцев.

Вышележащие псаммитово-алевритовые песчаники уже не содержат обломков пород. Они главным образом состоят из эффузивного и гранитного кварца, слюды и небольшого количества сильно измененного полевого шпата. Как видим, характер области питания остается тот же. В известняковой фации также встречается незначительное количество гранитного материала.

На северо-восточной периферии массива в песчаниках и мергелисто-аргиллитовых слоях устанавливается наличие лишь аркозового материала, а эффузивный кварц отсутствует, что объясняется распространением на этой периферии лишь гранитоидов, не перекрытых кварц-порфировой толщей.

Аналогичный анализ других местонахождений среднего лейаса дает возможность сделать вывод, что нижнелейасская кварцпорфировая толща в досреднелейасское время была распространена на всем Дзирульском массиве, кроме его центральной части и северо-восточной периферии.

В лейасских отложениях изученных участков встречается ассоциация тяжелых минералов, характерная для гранитоидных пород. В незначительном количестве присутствуют ставролит, гранат и маргарит, заимствованные из кристаллических сланцев. В некоторых местах повышается количество авгита и роговой обманки, что связано с появлением в верхнелей-

асских отложениях туфового материала. Количество эпидота и цоизита редко превышает 1<sup>0</sup>/<sub>с</sub>, повышение их количества наблюдается там, где в настоящее время имеются выходы мигматитов; последние, как видно, и в лейасское время были обнажены в виде небольших участков. Такой же вывод получается и для кристаллических сланцев.

Из минералов тяжелой фракции с точки зрения палеогеографии особый интерес вызывает группа устойчивых, которая встречается как в виде хорошо образованных кристаллов с резко выраженными гранями, ребрами и углами, так и в виде заметно окатанных зерен. Последние наблюдаются лишь в лейассе северо-восточной периферии массива.

Округленную форму указанных минералов иногда объясняют магматической коррозией. В нашем случае это объяснение не применимо, так как в изученных нами тяжелых фракциях кристаллических пород Дзирульского массива такие минералы не были встречены. По нашему мнению, причиной округленной формы является их окатанность и, поэтому, источником этого минерала нужно считать не магматические породы, а долейассовую осадочную свиту, которая вероятно была распространена на северо-восточной периферии Дзирульского массива. В пользу этого допущения говорит факт наличия в лейассе по р. Чератхеви не аркозовых, а кварцевых песчаников, образование которых возможно лишь путем переотложения более древних осадочных пород. Вероятно из последних заимствован обломок кварцевого песчаника, встреченного в базальном конгломерате лейасса.

Что касается неокатанных минералов группы устойчивых, то они в большом количестве содержатся в тяжелой фракции пород кварц-порфировой толщи. Последняя снабжала этими минералами более молодые лейасские осадки. Почти полное отсутствие в аналогичных осадках северо-восточной периферии Дзирульского массива неокатанных минералов группы устойчивых указывает, что кварц-порфировая толща на этой периферии не была развита. Это подтверждает полученный выше другим путем вывод по этому вопросу.

#### შეჯამებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Азизбеков Ш.—Материалы к петрографии центральной части Дзирульского кристаллического массива. Тр. Геол. Института Аз. Фил. АН СССР, т. XII, 63, Баку.
2. Белянкин Д. и Петров В.—Петрография Грузии. Изд. АН СССР. Серия 1. Региональная петрография. II, 1945.
3. კლაძინია ჰ.—ძირულის კრისტალური მასივის გაბრლივებული ქანები. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 10, 1944.



4. ვ. საბბურ ი.—ძირულის ხეობის ალუვიური ნალექების მინერალოგიისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. X, № 3, 1949.
5. Смирнов Г., Татришвили Н., Казахашвили Т.—Геолого-петрографический очерк северо-восточной части Дзирульского массива. Тр. Петр. Института АН СССР, вып. 11. Москва, 1937.
6. Смирнов Г., Татришвили Н., Казахашвили Т.—Геолого-петрографический очерк юго-восточной части Дзирульского массива. Тр. Груз. Отд. „ВИМС“а, Тбилиси, вып. 11, 1938.
7. Гопурия П.—Рквийский интрузив порфировидного гранита в Дзирульском массиве—საქ. გეოლოგიური ინსტიტუტის მოამბე, ტომი III, ნაკ. 4. თბილისი, 1938.
8. ჩიხელიძე ს.—გეოლოგიური დაკვირვებები ძირულის მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები, გეოლ. სერია, ტომი IV (IX) 3, თბილისი, 1948.

დაიბეჭდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკად.  
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით



რედაქტორი ა. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე

ტექნიკური }  
კორექტორი } თ. იოსელიანი

კონტრ. კორექტორი—შ. თაბუკაშვილი

შეკვ. 431. უფ. 17055. ტირ. 1000.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.11.50.  
ანაწილების ზომა 7×11. საბ. ფურც. 12.  
საადრიცხო-საგამომც. ფურცელი 15.

**შპსი 15 მან.**

---

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა,  
აკაკი წერეთლის ქუჩა, 3/5